

საგარეო

პრაქტიკა ● მუშაობა ● უზღვევითობა

1

1999

IUS

TBILISI GEORGIA



სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1

1999

გამოდის 1926 წლიდან

იანვარი-თებერვალი

პრაქტიკა • მეცნიერება • კუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ჯამლეთ ბაბილაშვილი
- ვლადიმერ ბარათაშვილი
- ბელა ბერძენიშვილი
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ნინო ბურჯანაძე
- ოთარ ვაშყელიძე
- ავთანდილ დემეტრაშვილი
- ბესარიონ ზოიძე
- გივი ინჟირველი
- მზია ლეკვიშვილი
- ნოდარ ნებერიძე
- თევდორე ნინიძე
- ნუზარ საჯანია
- მინდელ სააკაშვილი
- გიორგი ტყეშელაძე
- მინდია უბრახელიძე
- რომან შენგელია
- შალვა ჩიკვაშვილი
- ლადო ჭანტურია

ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა,

გაერთიანებული საყურადღებო

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მიხამართით: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.

ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880, ინდექსი 76185.

ფასი სახელუბარსებო.



ამტუალური თემა

გია ხუბუა — ფედერალიზმის ცნების საკითხისათვის 3

ინგა ლომსაძე — ნარკომანია — ეროვნული უბედურების წყარო 7

მოსაზრება

გიორგი თოდრია, მალხაზ ბაძღუა — ანტიკორუფციური საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობა! 11

სამართლის თეორია

ლაშა-გიორგი კუტალია — უმოქმედობის თეორიული დასაბუთების მეთოდოლოგიური თვალსაზრისი 15

მეურნეობა და სამართალი

ზვიად გაბისონია — საინვესტიციო და სხვა ეკონომიკური დავების განხილვის ზოგიერთი კომპეტენციურ-პროცედურული საკითხი 21

ამირან კომახიძე — საზღვაო ნავსადგომთა სადგურებში (პორტებში) სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცების გამოძიების მეთოდის საკითხები 29

კომპიუტერი და სამართალი

მურთაზ მადრაძე — საინფორმაციო სისტემები სამართალდამცავ ორგანოებში 34

თვალსაზრისი

ავთანდილ თევზაძე — დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ 37

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ქეთევან ერემაძე — „სინდისის და რელიგიის თავისუფლება“ — ინდივიდში პიროვნების განმპირობებელი ერთ-ერთი ბუნებრივი უფლება 43

ლელა ჯანაშვილი — ესპანეთის რეგიონალიზმის ტენდენციები 51

ლალი ლოთიკაშვილი — სამართალში მიცემის, როგორც დამოუკიდებელი პროცესუალური სტადიის დამკვიდრების საკითხები 55

სამართლის ისტორია

არჩილ ლორია — მოქალაქეობის ინსტიტუტის განვითარება ისტორიულ წარსულში 60

პოლონ კალანდია — გადასახადთა სახეობანი ძველ კოხეთსა და ლაზიკაში 66

გიორგი ნადარეიშვილი — რამდენიმე ქართული იურიდიული ანდაზის შინაარსის გაგებისათვის 72

მილოცვა

მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე (რევაზ კოლოშვილი) 77

ღირსეულს ღირსეული ჯილდო (შოთა ფაფიაშვილი) 78

ხსოვნა

ბენო ხომერკი 79

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზარი 80.
ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 22.01.99 წ., ხელმოწერილია დასაბუთებლად 8.03.99 წ.,
ფორმატი 70X108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 6,5. შეკვ. 91. ტირაჟი 490.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „ხამშობლო“,
თბილისი-380096, მერაბ კოსტავას 14

გია სუბუა

ფედერალიზმის ცნების საკითხისათვის*

ფედერალური კონსტიტუციის მოქმედების საფუძვლის საკითხი აშშ-ში დიდხანს იყო მეცნიერული დებატების საგანი.¹⁸ ასევე გერმანიაშიც განსაკუთრებით აქტუალური იყო კონსტიტუციის სახელშეკრულებო ხასიათი ჩრდილოეთ გერმანიის კავშირისა და 1871 წლის გერმანიის რაიხისათვის.¹⁹ კანადურ ფედერალიზმში დღემდე არსებული პრობლემების და სირთულეების გამო, კონსტიტუციის სახელშეკრულებო ხასიათი დღემდე არის აქტიური დისკუსიის საგანი. აქ განვიხილავთ ე. წ. Compact Theory.²⁰ ავსტრალიაში კონსტიტუცია განმარტებულია, როგორც Political compact ავსტრალიის შტატებს შორის.

ფედერალური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოში ემყარება ხელშეკრულებას ან სულ ცოტა მისით უნდა იყოს განმტკიცებული. ეს ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში დაწერილ კონსტიტუციაშია ფიქსირებული და ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების დაცვის მიზნით, გართულებულია მათი შეცვლა.

მნიშვნელოვანი და არსებითი ნიშანი ფედერაციული სახელმწიფოსათვის არის ის, რომ იგი ახდენს ცენტრალური (ნაციონალური) და სუბნაციონალური (დეცენტრალიზებული) პოლიტიკური ერთობების ინტეგრირებას. ამავე დროს, ამა თუ იმ ფედერაციული ერთობის წევრი ინარჩუნებს თავის კონსტიტუციის ქონის უფლებას. ფედერალურ ურთიერთობათა აუცილებელი წინამძღვარია მონაწილეების თავისუფალი ნება ამ გაერთიანებაში ინტეგრირებისა. საპირისპირო გზა, ანუ გამოსვლა ფედერაციის შემადგენლობიდან, ე. წ. „სეცესიის უფლება“ ფედერაციულ სახელმწიფოში დაუშვებელია.

ფედერალიზმი არის ისტორიული კატეგორია და მამასადამე, პოლიტიკური სისტემის უაღრესად ინდივიდუალური ორგანიზაციული სტრუქტურა ანუ როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, „ფედერალიზმი“, როგორც ასეთი, არ არსებობს, არამედ არსებობს ფედერალიზმის განსხვავებული გამოვლინებები განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ ისტორიულ პირობებში. სხვადასხვა სიტუაციებში, სხვა ამოცანებით და სხვა ფუნქციებით იგი განსხვავებული შინაარსის მატარებელია.²¹ ეს გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფედერალიზმის განსხვავებულ სახეებთან დაკავშირებით. ფედერალიზმის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი მაქს ფრენკელი გამოყოფს ფედერალიზმის დაახლოებით 250-მდე განსხვავებულ ცნებას.²²


ეს გარემოება, ზოგიერთ ავტორს აიძულებს დაასკვნას, რომ უმჯობესია, საერთოდ, თავი ავარიდოთ ფედერალიზმის იმთავითვე არასრულყოფილი ცნების დამუშავებას და შემოვიფარგლოთ ფედერალურად განსაზღვრული ფენომენის მხოლოდ აღწერილობით.

თვით ევროპაში, ფედერალიზმი გამოიყენება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით. მაგალითად, როგორც ფედერალური დანასიათებულია დიდი ბრიტანეთი,²³ საფრანგეთის დეცენ-

F7036

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 9-10, 1998.

18 Haenel, Die vertragsmäsigen Elemente der deutschen Reichsverfassung, S. 1 ff.
19 იქვე, გვ. 27.
20 Beck (ed.) The Shaping of Canadian Federalism: Central Authority or Provincial Right?, S. 30.
21 Heiderose Kilper/Roland Lhotta. Föderalismus in der Bundesrepublik Deutschland. Opladen 1996, S. 23 ff.
22 Max Frenkel. Föderalismus und Bundesstaat. Band I, Föderalismus, Peter Lang, 1984, S. 80 ff.
23 Bothe, M. Die Kompetenzstruktur des modernen Bundesstaates in rechtsvergleichender Sicht, 1977, S. 29.



ტრალიზებული მოდელი, როგორც ადმინისტრაციული ფედერალიზმი,²⁴ იგივე შეიძლება ითქვას ესპანეთზე და იტალიაზე.²⁵ მართალია, ბელგიას, გერმანიას და ავსტრიას მათი კონსტიტუციები განმარტავენ, როგორც ფედერალურს, მაგრამ მათ შორისაც არსებითი განსხვავება სახეზეა.

იგივე შეიძლება ითქვას ფედერალიზმის სახელმწიფო-სამართლებრივ დოქტრინაზეც. გერმანულმა იურიდიულმა მეცნიერებამ, მართალია, ბევრი გააკეთა ფედერალიზმის თეორიის განსავითარებლად, მაგრამ ამავე დროს მისი სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ იგი უფრო შეტად ფიქსირებული იყო სუვერენულ სახელმწიფოთა მიერ ფედერალური ერთიანობის ჩამოყალიბებაზე. მას ნაკლებად ჰქონია მხედველობაში საწინააღმდეგო (და, როგორც წესი, პრაქტიკაში უფრო ხშირი პროცესი) უნიტარული სახელმწიფოს ფედერირებისა. ამიტომაც, რომ მოვლენები, რომელიც განვითარდა ავსტრიაში, ბელგიაში, ესპანეთის ავტონომიური განვითარება ძნელია ახსნილ იქნას გერმანული ფედერალიზმის თეორიის მიხედვით.

შედარებითი სამართალმცოდნეობის თვალსაზრისით უფრო მისაღებია ე. წ. სტრუქტურული ფედერალიზმის თეორია, რომელიც შემუშავებულ იქნა „ინსბრუკის სკოლის“ მიერ და რომელიც მსოფლმხედველობრივად, პოლიტიკურად, ნაციონალურად და სამართლებრივად „ნეიტრალურია“. ეს თეორია მოიცავს ხუთ ელემენტს:

— **კავშირის ელემენტს:** ავტონომიური პოლიტიკური ერთეულების კავშირისათვის უფრო დამახასიათებელი უნდა იყოს კოორდინაცია და კოოპერაცია, ვიდრე იერარქია. ფედერალიზმი ნიშნავს ხანგრძლივ, სტაბილურ კავშირს ავტონომიურ და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედი ჯგუფებისა უფრო დიდ, საერთო მიზნებით და საერთო ორგანოების მეშვეობით დამოუკიდებლად მოქმედ გაერთიანებასთან.

ეს ელემენტი არ გვხვდება დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში, სანამ ავტონომიური რეგიონები არ მიიღწევენ დამოუკიდებლობის ფედერალურ სტანდარტებს (მაგ., ესპანეთი, სპეციალური სტატუსის მქონე რეგიონები, პროვინციები იტალიაში);

— **მრავალფეროვნება ერთიანობაში,** როგორც ფედერალიზმის ერთ-ერთი მიზანი. ფედერალიზმის წანამძღვარია პლურალიზმი. ფედერალიზმი ცხოვრობს დაუსრულებელ პლურალიზმში, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ერთიანობასა და კავშირის ცენტრიპეტალურ ძალებს და, მეორე მხრივ, მონაწილე სუბიექტების პოლიტიკურ მრავალფეროვნებასა და ცენტრიფუგალურ ძალებს შორის. ფედერალიზმი ნიშნავს პოლიტიკურად და სამართლებრივად ავტონომიური ერთეულების, პატარა გაერთიანებების ინტეგრაციას. ამასთან, ეს ერთიანობა მყარდება არა უნიფიცირების, არამედ ინტეგრაციის გზით;

— **კოოპერაციული თანამშრომლობის ნიშანი:** ავტონომიურ ერთეულთა წესრიგი ემყარება შიდა დემოკრატიას, მონაწილეთა თანასწორობას და დამოუკიდებლობას და არა იერარქიას და ბატონობას, უპირატესობას. აღნიშნული სრულებითაც არ გამოირიცხავს ფედერალურ სისტემაში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა;

— **სუბსიდიარიტეტი:** ზემდგომ გაერთიანებას, კავშირს, უნდა გადაეცეს მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომელთა შესრულებაც აღემატება უფრო პატარა გაერთიანებათა შესაძლებლობებს ან საერთო ინტერესშია;

— **ავტონომიურ გაერთიანებებს შეუძლიათ ქმედითი მონაწილეობა მიიღონ უფრო დიდ პოლიტიკურ წესრიგში.** ეს მონაწილეობა, ასევე გულისხმობს კომპეტენციათა და განსაკუთრებით, ფინანსების გამიჯვნას.²⁶

ფედერალიზმი მუდამ განვითარების პროცესშია. ის არ არის რაღაც ერთხელ უკვე მოცემული, მზა „სიდიდე“. არც ერთი თეორია ფედერალიზმის შესახებ არ არის „წმინდა“, „ერთადერთი სწორი“. ეს შეეხება მოძღვრებებს „დუალური“ ან „სეპარატული ფედერალიზმის“ შესახებ, „კოოპერაციული ფედერალიზმის“, „უნიტარული საკავშირო სახელმწიფოს“, „ფედერალური ფედერალიზმის“ შესახებ.²⁷

24 Cahiers français, L'etat de la decentralisation, 1992, S. 95. ციტ. ვაიდმანის დასახ. ნაშრომიდან.

25 J. J. Gonzalez Encinar, Ein asymmetrischer Bundesstaat, in: Nohlen/Gonzalez Encinar (Hrsg.), Der Staat der Autonomen Gemeinschaften in Spanien, 1992, S. 227.

26 Perenthaler, P. Föderalismus und Regionalismus: ein Ansatz zur Überwindung ihrer Gegensätze, in: Huber/Perenthaler, Föderalismus und Regionalismus, in europäischer Perspektive, 1988, S. 15.

27 Peter Häberle. Das Grundgesetz zwischen Verfassungsrecht und Verfassungspolitik. Ausgewählte Studien zur vergleichenden Verfassungslehre in Europa. Baden-Baden, 1996, S. 390.

სახელმწიფოთა კავშირს (კონფედერაციას) და ფედერალურ სახელმწიფოს შორის არსებული განსხვავების მეცნიერულ ანალიზში განსაკუთრებით დიდია მე-19 ს-ის ბოლოს და მე-20 ს-ის დასაწყისის გერმანული თეორიის დამსახურება. ინგლისურ ლიტერატურაში განსხვავება ფედერალიზმის ამ ორ ფორმას შორის, ყოველთვის არ კეთდებოდა. თუ ეს კეთდებოდა, ცნებებს confederation ან confederacy შეესაბამებოდა სახელმწიფოთა კავშირი, ხოლო federation ან federal — საკავშირო სახელმწიფო.

შესაბამისი ფრანგული ცნებებია — confederation და federation. ამასთან, საინტერესოა, რომ საფრანგეთში, მე-19 ს-მდე, წინასართი „con“ გამოიყენებოდა მისი დღევანდელი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ და მოწოდებული იყო აღენიშნა ფედერალური ტენდენციების განმტკიცება.

ფრენკელის აზრით, ძირითადი განსხვავება ფედერაციასა და კონფედერაციას შორის ემყარება კავშირის სამართლებრივ საფუძვლებს, ფედერალურ სახელმწიფო მოხელეთა დამოკიდებულებას ცალკეული მოქალაქეებისადმი და წევრ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივ მდგომარეობას.²⁸

კონფედერაცია ეფუძნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ამავდროულად მათი საქმიანობის საფუძველია და მისი შეცვლა მოითხოვს ყველა წევრის თანხმობას. კონფედერაციის წევრებს შეუძლიათ გამოსვლა ამ ხელშეკრულებითი ურთიერთობიდან (სეცესიის უფლება). კონფედერაციულ კავშირში მყოფი სუბიექტი, ასევე ინარჩუნებს უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს დავა სხვა გაერთიანებულთან, ასეთის წარმოშობის შემთხვევაში. კონფედერაციული ხელისუფლება და კონფედერაციის წევრ სახელმწიფოთა ხელისუფლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. შესაბამისად, სახეზეა, როგორც კონფედერაციის, ასევე მისი წევრების სუვერენიტეტი.


ხელშეკრულება, რომელიც კონფედერაციას უდევს საფუძვლად, არის პოლიტიკურ გაერთიანებათა შეთანხმება. მისი შინაარსის განმარტების უფლება მინიჭებული აქვს ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს. ჩრდილოეთ ამერიკის კონფედერაციის კავშირის მე-2 მუხლი აღიარებდა, რომ შტატები ინარჩუნებდნენ თავიანთ სუვერენიტეტს, თავიანთ თავისუფლებას, თავიანთ დამოუკიდებლობას. ეს მომენტი, ცალკეულ ავტორებს უბიძგებს, რომ კონფედერალიზმში დაინახონ ანარქიზმის იურიდიული გამოხატულება. მითუფრო, რომ გოდვინის, პრუდონის, ბაკუნინის, კრაპოტკინის მოძღვრებებში განვითარებული იდეა ანარქიზმისა სრულებითაც არ უარყოფს პოლიტიკური ხელისუფლების აუცილებლობას. ეს ავტორები ამ პოლიტიკურ ხელისუფლებას აყალიბებენ, სწორედ რომ კონფედერაციულად. საერთო პოლიტიკური ხელისუფლების გვერდით, ისინი უშეგებენ თითოეული პოლიტიკური ერთობის თითოეული წევრის პოლიტიკური ხელისუფლების სუვერენიტეტს.

ანარქისტები უარყოფენ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხვა გაერთიანებას, რომელიც დაფუძნებულია იძულებით კავშირზე. მაგრამ ისინიც არ უარყოფენ ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებულ, კონვენციონალური ბუნების მქონე კავშირს, რომელიც დამყარებულია თავისუფალ შეთანხმებაზე. განსხვავება ავტორიტარულ და ანარქიულ კავშირებს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მნიშვნელობით. თუ ხელშეკრულება განხილული იქნება, როგორც მხოლოდ საფუძველი კავშირის წარმოშობისა, და ხელშეკრულების დამდები მხარეები კარგავენ თავიანთი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს ამ კავშირიდან გამოსვლის უფლებას, მაშინ სახეზეა ავტორიტარული ორგანიზაცია. თუკი ხელშეკრულებით, კავშირის არსებობა-არარსებობა ყოველთვის მის მონაწილეებზეა დამოკიდებული, მაშინ საქმე გვაქვს ანარქიულ მდგომარეობასთან, რომელიც იურიდიულად კონსტრუირებულია, როგორც კონფედერალიზმი.

ფედერალურ სახელმწიფოში, განსხვავებით კონფედერაციისაგან, სახელმწიფოს საქმიანობის საფუძველია კონსტიტუცია. ფედერალური სახელმწიფოს საქმიანობა შეზღუდულია ცალკეულ, საერთო საკითხების შესრულებით. პრინციპული მნიშვნელობისაა კავშირის დამფუძნებელი დოკუმენტის შეცვლის წესი და წევრ სახელმწიფოთა სეცესიის უფლება.

ერთი სახელმწიფო შეიძლება მიეკუთვნებოდეს რამდენიმე სახელმწიფოთა კავშირს ანუ კონფედერაციას. კონფედერაცია ანუ სახელმწიფოთა კავშირი წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოთა ინსტიტუციონალურ კავშირს ცალკეულ ერთობლივ კომპეტენციათა შესრულების მიზნით. როგორც წესი, ის არის მყიფე გაერთიანება, არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და ყალიბდება განსაზღვრული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად და არა ხანგრძლივი

28 იხ. ფრენკელის დასახ. ნაშრომი, გვ. 109.



ვადით.²⁹ კონფედერაციის მაგალითია შვეიცარია 1803-1815 და 1815-1848 წლებში, აშშ 1776-1787 წლებში, გერმანიის კავშირი 1815-1866 წლებში, შეერთებული ნიდერლანდები 1579-1795 წლებში³⁰ ან ბრიტანული Commonwealth of Nations.

სამართლებრივად, განსხვავება სახელმწიფოთა კავშირს ანუ კონფედერაციასა და ფედერაციულ სახელმწიფოს შორის ჩანს შემდეგ ძირითად პუნქტებში:

— სახელმწიფოთა კავშირი ანუ კონფედერაცია, განსხვავებით ფედერაციისაგან არ არის სახელმწიფო; სახელმწიფოს ნიშნები დამახასიათებელია მხოლოდ კონფედერაციაში შემავალი წევრი სახელმწიფოებისათვის. კონფედერაციული კავშირი არ ახორციელებს უშუალოდ მოქალაქეების მიმართ სახელმწიფო ხელისუფლებას. მას არ აქვს უფლება გამოსცეს და აღასრულოს მოქალაქეებისათვის უშუალოდ სავალდებულო კანონები;

— სახელმწიფოთა კავშირი ანუ კონფედერაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, ფედერაციული სახელმწიფო კონსტიტუციას. საკავშირო ხელშეკრულების შეცვლა მოითხოვს კავშირის წევრთა საერთო თანხმობას, ფედერალური კონსტიტუცია კი შეიძლება უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე შეიცვალოს;³¹

— კონფედერაციული კავშირი, რადგანაც იგი ეფუძნება მთავრობათა კავშირს, არ აყალიბებს კონფედერაციისათვის საერთო ორგანოთა გადაწყვეტილებების შესრულების ქმედით, ეფექტიან მექანიზმებს. გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს, კონფედერაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ მისი წევრების კეთილ ნებასთან;

— კონფედერაციულ სახელმწიფოში ერთმანეთის პარალელურად არსებობს რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება. ფედერაციულ სახელმწიფოში კი არსებობს მხოლოდ ერთი სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება. ამავე დროს, სპეციფიკურია მისი ფორმირების მექანიზმი, რაც განასხვავებს მას უნიტარულ სახელმწიფოში ჩამოყალიბებული სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლებისაგან.

კონფედერაციულ ხელისუფლებას არ გააჩნია სახელმწიფო-სამართლებრივი საშუალებები თავისი ნების იძულებითი წესით განსახორციელებლად. იგი თავის წევრებთან იმყოფება ისეთ-სავე სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც გვხვდება კერძო სამართლის სფეროში. ეს არის სახელშეკრულებო და არა კორპორაციული ურთიერთობა.

კონფედერაცია ყოველთვის მიჩნეული იყო, როგორც გარდამავალი ფორმა სახელმწიფოთა შემდგომი ინტეგრაციის ან სახელმწიფოს სრული დეზინტეგრაციის პროცესში. კონფედერაციის საწინააღმდეგო მთელ რიგ არგუმენტებს ვხვდებით ჯერ კიდევ ამერიკელ ფედერალისტებთან. არსებითად, „ფედერალისტი“ დაიწერა იმისათვის, რომ დაერწმუნებინა ჩრდილოეთ-ამერიკული შტატები კონფედერაციული კავშირის არასიცოცხლისუნარიანობასა და ფედერაციულ ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობაში. ანალოგიური ხასიათის ლიტერატურა მრავლად მოიძებნება შვეიცარიულ, გერმანულ, ავსტრიულ ლიტერატურაში.³²

თანამედროვე მსოფლიო იცნობს ისეთ გაერთიანებებსაც, რომელიც არ შეიძლება დახასიათებულ იქნას არც როგორც სახელმწიფოთა კავშირი (კონფედერაცია) და არც ფედერაცია. ამის მაგალითია, თუნდაც ევროკავშირი. აღსანიშნავია, რომ ცნებების თვალსაზრისითაც აქ ყველაფერი არ არის გარკვეული. ამიტომაც, რომ გამოიყენება როგორც ევროკავშირის, ასევე ევროგაერთიანების ცნებები.³³ იგი ასევე ხშირად განიმარტება როგორც საერთაშორისო, ამავე დროს „სუბრანაციონალური“ ორგანიზაცია ან „პრეფედერალური წარმონაქმნი“.³⁴

29 W. Lang, Der internationale Regionalismus. Integration und Desintegration von Staatenbeziehungen in weltweiter Verflechtung, 1982, S. 107 f.


30 შეერთებული ნიდერლანდები იწოდებოდნენ აგრეთვე „გენერალურ შტატებად“. ისინი 1579 წელს გაერთიანდნენ უტრეხტის უნიაში და წარმოადგენდნენ ერთგვარ შუალედურ ფორმას საკავშირო სახელმწიფოსა და კონფედერაციას შორის. როგორც ფედერაციული რესპუბლიკა იგი ჯერ კიდევ მე-17-მე-18 საუკუნეებში იყო ინტენსიური მეცნიერული განხილვის საგანი. მონტესკიე მას მიიჩნევდა ფედერალური სისტემის ნიმუშად.

31 Schweizerisches Bundesstaatsrecht. Ein Grundriss. Von Ulrich Häfelin und Walter Haller. 3., neu bearbeitete Auflage, 1993, S. 58.

32 F. Esterbauer, Kriterien föderativer und konföderativer Systeme. Unter besonderer Berücksichtigung Österreichs und der Europäischen Gemeinschaften, 1976, S. 29 ff.

33 R. Streinz, Europarecht, 2. Aufl. 1995, Rn. Ff.

34 Subsidiarität und Föderalismus in der Europäischen Union, 1992, S. 121 f.



აშკარაა, რომ ევროკავშირი, მასში შემავალი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის შეზღუდვის თვალსაზრისით, უფრო შორს წავიდა, ვიდრე სახელმწიფოთა კავშირი, მაგრამ ამავე დროს, იგი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ევროკავშირთან ამ თვალსაზრისით აკლია ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნები, როგორცაა ტერიტორიული უზენაესობა, პერსონალური უზენაესობა, ძალაუფლების მონოპოლია, უფლება იძულებაზე და ტოტალური პასუხისმგებლობა ორგანიზირებული თანაცხოვრებისათვის.³⁵ შეიძლება ითქვას, ის არის ფედერალური წარმონაქმნი „sui generis“.


ინგა ლომსაძე

ნარკომანია—მროვნული უკედურების წყარო

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება ნარკომანიის მკვეთრი ზრდა. ტერმინი „ნარკომანია“ მიუთითებს ავადმყოფურ შერჩევას სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი. ნარკომანია არის დაავადება, რომელიც ვითარდება ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატური მოხმარების შედეგად და ხასიათდება ავადმყოფში გარკვეული ნიშნების, სინდრომების ერთობლიობით და რომელიც იწვევს ნარკოტიკებისადმი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას, ქცევის შეცვლას და სხვა პათოლოგიურ შედეგებს. ნარკომანიის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია, ხოლო ნარკომანთა რაოდენობა და ნარკომანიის სახეები სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად განსხვავებულია. ნარკოტიკებით ვაჭრობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს მე-20 საუკუნის დამდეგს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში ყურადღება მიექცა ნარკომანიას, ვინაიდან თვალნათლივ გამოჩნდა ის დიდი ბოროტება, რაც მას მოაქვს ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობანი ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგ., 1973 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა მიმართა აშშ კონგრესს ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ, რომ „ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება ეს არის ერთ-ერთი საშიში და დამანგრეველი ფაქტორი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს თვით აშშ საზოგადოებას. ის მრავალი ათასი ნარკომანი, რომელიც აშშ-ია, აყენებენ მძიმე ტანჯვას არა მარტო თავის თავს, არამედ მათ გარშემო მყოფ საზოგადოებას და რომ ამ სენს უნდა გამოვუცხადოთ სასტიკი ბრძოლა“. ნებისმიერ ერს, ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოს ფარგლებში, თუკი მას აქვს თავისი ისტორია და აქვს მომავალი, გააჩნია უამრავი საშუალება, რათა პიროვნებას სწორი არჩევანი გააკეთებინოს და აარჩევინოს ისეთი გზა ცხოვრებისა, რომელიც სიკეთეს და ბედნიერებას მოუტანს მას და მის ოჯახს. ნარკომანიის გავრცელების მსრივ მნიშვნელოვანი ადგილია აშშ, დასავლეთ ევროპა, ნარკომანიის ზრდა აღინიშნება საფრანგეთსა და შვეიცარიაში, ფართოდ გავრცელდა იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ირანში, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებში. დამუშავებულია და ცხოვრებაში ტარდება ნარკოტიკულ საშუალებათა საერთაშორისო ვაჭრობის წესები, მკაცრი კონტროლია დაწესებული ნარკოტიკების ექსპორტის უფლების ლიცენზიების გაცემის

35 T. Stein, Europäische Integration und nationale Reservate, in: D. Merten (Hrsg.), Föderalismus und Europäische Gemeinschaften unter besonderer Berücksichtigung von Umwelt und Gesundheit, Kultur und Bildung, 1990, S. 91, 96.



უფლებზე და მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოხერხდა, ნარკოტიკებით ვაჭრობის არალეგალური ბაზრების ლიკვიდაცია. ამ მდგომარეობას ხელს უწყობს ის, რომ მსოფლიოში არის რაიონები, სადაც ოპიუმის შემცველ ყაყაჩოს მოყვანაზე რეალური კონტროლის დაწესება ჯერ კიდევ შეუძლებელი ხდება. უნდა ითქვას, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობა დანაშაულის სრულიად თავისებური სახეა. ამ დანაშაულში ნარკომანი ნარკოტიკებით მოვაჭრის თანამონაწილეა. ნარკომანია მატულობს ურბანიზაციის, განათლების და მატერიალური უზრუნველყოფის ზრდასთან ერთად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო წარმოების და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით 1990 წელს მიიღო პოლიტიკური დეკლარაცია, მოქმედების მსოფლიო პროგრამა, რითაც მიმდინარე ასწლეულის 90-იანი წლები ნარკომანიასთან ბრძოლის ათწლეულად გამოაცხადა. ნარკომანიის გავრცელება, ერთი მხრივ, წარმოშობს კონტრაბანდისტულ ვაჭრობას და ნარკოტიკების შავ ბაზარს. მეორე მხრივ, ნარკომანია წარმოშობს დამნაშავე ნარკომანთა მთელ ჯგუფს, რომელიც ძვირადღირებული მანკიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მზადაა ნებისმიერი დანაშაული ჩაიდინოს. ნარკომანი თავისი თავის გამგებელი აღარ არის. იგი მონაა უმოწყალო სენისა, რომელიც მას უფსკრულისაკენ მიაქანებს. მოჩვენებითი ბედნიერების დევნაში იმის მაგიერ, რომ კრიზისს თავი როგორმე დააღწიოს, ძალზე ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის. ნარკომანია ეროვნული უბედურების წყაროა. მის ვერაგულ ქსელში სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანია ჩათრეული. ეს ყველაფერი კი თვითმკვლელობას უფრო ჰგავს. და ამ თვითმკვლელთა შორის ძალზე ბევრი ახალგაზრდაა. ნარკომანიასთან ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის საზოგადოების ფართო ფენებს, მათ აქტივობას, სამედიცინო, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა მოქმედება ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული დიდი ძალაა. უკანასკნელ წლებში საქართველოში სახეზეა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, მისი არასამედიცინო გამოყენებისა და შედეგად, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკვეთრი ზრდა, რამაც ეროვნული კატასტროფის წინაშე დაგვაყენა.

ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური პირობების დაუკმაყოფილებლობა, უმუშევრობა, მცირე ხელფასი, პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა, აგრეთვე ზედმეტი ქონების დაგროვება და სრული უზრუნველყოფა, თავისუფალი დრო, ფუფუნება, ცხოვრებისადმი ღრმა ინტერესების შესუსტება, მიდრეკილება მოგზაურობისა და გართობისადმი აღძრავს ადამიანში სურვილს, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს თვითდაკმაყოფილების და სიამოვნების მომგვრელი საშუალებანი. თუ გავითვალისწინებთ კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს, რომელთა თანახმად ნარკოტიკულ კარიერას ადამიანი მოზარდობის ასაკიდან იწყებს, მაშინ გასაგები გახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის წრე, რომელშიც არის ახალგაზრდა. სწორედ ამ პერიოდში იგი იწყებს აქტივობას ოჯახის ფარგლებს გარეთ ე. წ. ნარკომანულ დაჯგუფებაში. ნარკომანია, როგორც სოციალური მოვლენა არ არის შემამსუბუქებელი პირობა ნარკომანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასებისა. პირიქით, საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა; ნარკომანმა ჩადენილ დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს მთელი სიმკაცრით. ნარკოტიკებისადმი პირველი მიმართვა, მათ შორის, რომელიც ნებაყოფლობით ღებულობს, ისეთი მოტივის შედეგად ხდება, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა და სურვილი. ნარკომანთა ზუსტი რაოდენობის დადგენა მსოფლიო მასშტაბით სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში მიღებული შემამსუბუქებელი კრიტერიუმის მიხედვით, ნარკომანად ითვლება ის ავადმყოფი, რომელიც თვითონ მიმართავს ექიმებს სამკურნალოდ ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოხერხდება მისი გამოვლინება

ნარკოტიკების მოხმარებისა და გავრცელების სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის დროს. ადამიანის ნარკომანიისაგან დაცვა შეუძლია მხოლოდ მის ადამიანურ, მორალურ, სულიერ ღირებულებათა იდენტიფიკაციას მის არსთან. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნორმის ფარგლებშიც კი, ადამიანის ნერვიული სისტემა მნიშვნელოვან გადახრებს განიცდის და ეს გადახრები ცუდი აღზრდის პირობებში შეუძლებელს ხდის სულიერ ღირებულებათა ჭეშმარიტ დამკვიდრებას პიროვნებაში. საზოგადოების როლი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული პირის, ამიტომ გაეროს ინსტრუქციები მუდმივად უსვამენ ხაზს, რომ მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცალკეულ პირთა გაერთიანებული ძალისხმევით შეიძლება დადებითი შედეგების მიღწევა. მავანმა და მავანმა შეიძლება თქვას, უზნეობააო ნარკომანებზე და კაცთმოძულეებზე მსჯელობის დროს მათ ერთდაგვარ დაცვაზე საუბარი. საკითხის გადაწყვეტის გზების ძიების დროს აუცილებელია პრობლემის სიღრმისეული გააზრება, მისი გამომწვევი მიზეზების მიკვლევა და არა მხოლოდ შედეგის მიხედვით დასკვნების გამოტანა, არამედ მათი ანალიზი, სხვადასხვა მოსაზრებათა შეჯერება. არასტაბილურობა, უზნეობა და ნარკომანია მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. განსაკუთრებით უზნეობაა ნარკომანიის გამართლება, საჭიროა ამ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ერთდროული ბრძოლა. აუცილებელია პრობლემის მიმართ ახლებური მიდგომის გზების გამონახვა. მართალია, ნარკომანიასთან ბრძოლის მეთოდები და ფორმები იცვლებიან, მაგრამ ზოგიერთი, ალბათ უნდა გამოვიყენოთ, ზოგიერთი კი — უარყოფით. ნარკომანს აქვს თავისი წრე, თავისი საზოგადოება, რომელშიც ნარკოტიკი გახდა ერთადერთი შემაკავშირებელი საშუალება. სწორედ ამაშია ნარკომანის გულგრილი დამოკიდებულების ფესვები ყოველგვარი სასიცოცხლო ინტერესებისადმი.

ამერიკელი მკვლევარის ი. ჩეინის აზრით, ნარკომანიის სამყარო, ეს არის სამყარო უიმედობისა და უპერსპექტივობის, სამყარო, რომელიც მოკლებულია ღირებულებებს და ადამიანურ ღირსებებს, სადაც ადამიანები ერთმანეთს თელავენ, სამყარო, სადაც იქმნება ხანმოკლე ალიანსები და არამყარი ურთიერთობანი, რომლის საფუძველია ერთმანეთის ნდობა, ურთიერთგაგება და ურთიერთდახმარება, სამყარო, სადაც უნდა დაიტაცო ყველაფერი, თუ არ გინდა დარჩე ცარიელი, სამყარო, რომელშიც თუ გინდა თავი დაიცვა, რომ შენ არავითარი საქმე არა გაქვს ირგვლივ მყოფთა შორის და შენ არ ეძებ მათთან კონტაქტს. ასეთ სამყაროში კი ნარკოტიკები ქმნიან თავისუფლებისა და სინამდვილიდან გაქცევის ილუზიას. ეს არის ტრაგიკულად რეალური სამყარო. ი. ჩეინის აზრით, მართლაც არის ამ სიძნელეებისაგან განთავისუფლებისაკენ მიმავალი გზები, მაგრამ მათი მოძებნა ძნელია და იგი მხოლოდ გამონაკლისების სვედრია.

თანდათანობით სირთულეების დაძლევით მყარდება წონასწორობა ინდივიდის ინტერესებსა და სოციალურ გარემოს შორის. ღირებულად ითვლება ყველაფერი, რაც ხელს უწყობს სოციალური სიმდიდრის მიღწევას. ადამიანის ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის გონებას, რაღაც უფრო მაღალს, შეუძლია იბატონოს და წამყვანი როლი ითამაშოს მის ცხოვრებაში, და არ დაუშვას, რომ ვნება, ლტოლვა, რაღაც უფრო დაბალი, ბატონობდეს მასზე. აღზრდის უმთავრეს პირობად უნდა იქცეს მაღალი შეგნებულობისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრება, ურთიერთსიყვარული და მოვალეობის შეგნება, გაცნობიერებული მოქალაქეობრივი პოზიციის დამკვიდრება და ადამიანში ადამიანურის მთელი ძალით გაღვიძება. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მართლმსაჯულების უმკაცრესი ზომებიც კი ვერ ამცირებს ნარკომანთა რიცხვს. ნარკოტიკების მიწოდება არის არა უბრალო გამომწვევი მიზეზი, არამედ აუცილებელი პირობა მისი მოხმარებისა და ამიტომ აუცილებელი პირობის



გამოთიშვა არ გამოირცხავს თავისთავად გამომწვევ მიზეზს. ნარკოტიკების ბო-
 როტად გამოყენების ზრდა, ქვეყანას სერიოზულ საზრუნავს უქმნის და მოითხოვს
 ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. საქართველო არა თუ
 გამოწვავს, არამედ თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ნარკომაფიის აქ-
 ტიური მოქმედების ასპარეზია, რადგან ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო
 გადაზიდვის გზების ნაწილი სწორედ საქართველოზე გადის. იმისათვის, რომ ნარ-
 კომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპიული ნივთი-
 ერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა სათანადოდ იყოს ორგანიზებუ-
 ლი, საჭიროა მას ჰქონდეს მყარი სამართლებრივი, ფინანსური და მატერიალური
 ბაზა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ მიმართულებით მსოფლიოში დაგროვილი
 გამოცდილება, საერთაშორისო პრაქტიკა, თანამედროვე მეცნიერების მიღწევები,
 საჭიროა საქართველოს მთელი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა, სახელ-
 მწიფოს პოლიტიკაში სათანადოდ უნდა იყოს შეთანხმებული აღზრდა და იძუ-
 ლება, მკურნალობა და დასჯა. ამრიგად, ნარკომანიის, ნარკოტიკების უკანონო
 ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში უნდა განხილვებოდეს, როგორც
 ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.



ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების აუსილავლობაა!

რეფორმების პერიოდის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კორუფციის გავრცელება განაპირობებს მოსახლეობაში შიშისა და უნდობლობის დამკვიდრებას. მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში თანდათან მწიფდება უკმაყოფილება კორუფციის თავიდან აცილების არსებული ხერხების მიმართ. ყველასათვის აშკარაა, რომ სახელმწიფო ორგანოები „ეთამაშებიან“ კორუფციას და არ შეუძლიათ მასზე მოახდინონ სერიოზული ზეგავლენა. ამიტომ საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო და სხვა მოხელეთა მოსყიდულობისადმი ზიზღისა და შეურიგებლობის საერთო სულისკვეთება.

კორუფცია საზოგადოების განსაკუთრებული მდგომარეობაა და მას შეიძლება დაუპირისპირო მხოლოდ საწინააღმდეგო მდგომარეობა — კორუფციის თავიდან აცილება, როგორც საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების აქტიური გამოხატვა. არა სახელმწიფო აპარატს, არამედ სწორედ საზოგადოებას ძალუძს სძლიოს საკუთარ სენს. ჩვენი უმწეო მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს ააშკარავებს პრობლემას — პრობლემას კორუფციის თავიდან აცილებისა, როგორც სოციალური მოძრაობის კანონზომიერებას, რაც მიმართულია მოხელეთა მოსყიდულობის გამომწვევი მიზეზების და პირობების წინააღმდეგ. კორუფციის თავიდან აცილება სწორედ სოციალური მოძრაობაა, რასაც უნდა დაემორჩილოს როგორც სახელმწიფო აპარატი, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაში ასახულია ცალკეული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეგრეთ წოდებული, „საწესდებო“ ამოცანები. დროა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, უწყებებმა, უმაღლესმა მოხელეებმა შეიგნონ, რომ მოსყიდულობის წინააღმდეგ უნდა არსებობდეს ერთი ძალა — მთელი საზოგადოების პოზიტიური მოძრაობა, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს თითოეული ადამიანი და მთელი საზოგადოება.

მმართველობის ისტორიული ტიპის შეცვლამ ჯერ კიდევ ვერ შეცვალა ბიუროკრატიული ფსიქოლოგია და მართვის ძველრეჟიმული სტილი. დემოკრატიულობის ილუზია, ევროპული ცხოვრების წესის უმაღლეს ფასეულობებზე მოჩვენებითი ორიენტაცია — არარეალობის რეალობაა, რითაც ამართლებენ ტოტალიტარული რეჟიმის წიაღში გამოზრდილ მმართველობის აზროვნებას. ამიტომ კორუფციის თავიდან აცილების ნაცვლად ცდილობენ იგი შეცვალონ კორუფციის ცალკეული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლით. და ეს აშკარა ფაქტია.

ბიუროკრატიის აზრით, ცხოვრების ნორმები აუცილებლად უნდა წესდებოდეს და მკვიდრდებოდეს მართო სახელმწიფო გადაწყვეტილებებით: მოხელეთა ბრძანებებით დისციპლინის გაძლიერების შესახებ, კანონით კორუფციის შესახებ და სხვა. ძალისხმევის მთელი აურზაური, როგორც წესი, ისაზღვრება იგივე სახელმწიფოს დონისძიებებით, მიმართული იმ მოვლენების წინააღმდეგ,

რომლებიც წარმოიშვება თვით აპარატში. სამწუხაროდ, ასეთი ათვლის წერტილი იძლევა საფუძველს აღიქვა კორუფციული დანაშაულობა და სხვა ამგვარი გადახრები, როგორც მოვლენები, რომლებიც მოკლებული არიან რომელიმე ერთიან არსს. ასეთი თვალსაზრისით კორუფციული მოვლენების სამყარო ჩანს როგორც გამოვლენილი ფაქტების რაოდენობრივი ცვალებადობა, რომლებსაც აქვთ თავისი კონკრეტული და არა ღრმა საერთო მიზეზები. მოკლედ, ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო აპარატის ინტერესებს, ცხადდება როგორც შემთხვევითი და უსაფუძვლო. აქედან ილუზია უფრო მეტად ძლიერდება: ის რაც შეადგენს ყველა კორუფციული მოვლენის საფუძველს — როგორც მიაჩნიათ, არ არსებობს, ვინაიდან მიმდინარეობს ბრძოლა ცალკეული ფაქტებისა და მათთვის არასასურველი თანამდებობის პირების წინააღმდეგ. კორუფციის თავიდან აცილების ნაცვლად კორუფციის მოვლენებთან ბრძოლა კეტავს გზებს მისი ბუნების შემეცნებისაკენ.

იმისათვის, რომ რეალურად მოვახდინოთ ზემოქმედება კორუფციაზე, უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა დავაღწიოთ, ეგრეთ წოდებულ მოხელეთა მოსყიდულობის ცალკეული ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის ტყვეობას და მთელი ძალისხმევა მივაპყროთ ყველა კორუფციული მოვლენის გათვალისწინებასა და შესწავლას. საჭიროა ჩაწვდომა მოხელეთა მოსყიდულობის ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებში, როგორც საზოგადოების განსაზღვრული მდგომარეობისა. მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ და ვემსახუროთ სოციალურ პრინციპს: ერთი თანამდებობის პირის შეცვლა მეორით არ ცვლის კორუფციის ბუნებას, თუ არ არის განადგურებული თვით პროცესი, რომლითაც ხდება მოსყიდულობის როლისა და მისი პოტენციური შემსრულებლების მუდმივი აღწარმოება.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ჯერ კიდევ საბჭოთა წლის წინ კორუფციის თავიდან აცილების იდეა დაუკავშირა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, მათი გარანტიის საკითხს. („საქართველოს რესპუბლიკა“ № 17, 1996 წლის 30 იანვარი, გვ. 3).

ამრიგად, დანაშაულობის თავიდან აცილება იგულისხმება, როგორც ინტერესთა მოძრაობა, როგორც სოციალური მოძრაობა, რომელიც არ შეიძლება და არც უნდა იყოს შებოჭილი სახელმწიფო აპარატის მარწუხებში. ასეთი მოთხოვნის შესრულება ძალუძს მხოლოდ კორუფციის თავიდან აცილების საზოგადოებრივ მოძრაობას. საჭიროა ამ საზოგადოებრივი მოძრაობის კონსოლიდაციის ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს საზოგადოების საუკეთესო ძალებს. ამ ცენტრის მეშვეობით საზოგადოებამ უნდა იგრძნოს თავისი ინტერესების რეალიზაციის გარანტია, რომელიც თავისუფალი იქნება ბიუროკრატიზმისა და სახელმწიფო აპარატის კორუფციული ნაწილის ზეწოლისაგან.

კორუფციის თავიდან აცილების საზოგადოებრივმა მოძრაობამ მეთოდოლოგიურად და ორგანიზაციულად უნდა გადაწყვიტოს საერთო სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ხასიათის ამოცანები.

პრევენტიული საქმიანობის ორგანიზაციის საერთო სოციალური ამოცანებია:

- კორუფციისა და მისი გამომწვევი მიზეზების კანონზომიერების ანალიზი;
- ანტიკორუფციული კრიმინოლოგიური კანონმდებლობის შემუშავება;
- კორუფციის თავიდან აცილების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;

- კორუფციის თავიდან აცილების ღონისძიებათა კოორდინაციის ფორმებისა და მეთოდების შემუშავება;
- საზოგადოების ინსტიტუტების, იურიდიული პირების დახმარების გამოყენება;
- სპეციალიზირებული დანაყოფების კადრების კონსულტაციებისა და ლექციების სახით მომზადება;
- მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობის ინფორმირებულობის სისტემის ჩამოყალიბება.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური ამოცანებია:

- იმ ნორმატიულობის ანალიზი, რომელშიც აქტების განსხვავება ან სპეციალურად შექმნილი ვაკუუმი ხელს უწყობს კორუფციის განვითარებას;
- მოხელის შემოსავლებზე და ხარჯებზე კონტროლის ფორმების შემუშავება;
- მოხელის პიროვნების და კორუფციის ლატენტურობის ფაქტორების შესწავლა;

- იურიდიული დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც დაზარალებდნენ თანამდებობის პირთა და მოხელეთა უკანონო მოქმედებებისაგან.

კორუფციის თავიდან აცილების საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა იღებდეს მონაწილეობას პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობაში რამდენიმე რიმატულიებით. პირველი — საკანონმდებლო აქტების მომზადებისას — მათ კრიმინოლოგიურ ექსპერტიზაში. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასკვნები ამა თუ იმ ნორმატიული დებულების ეფექტიანობის შესახებ კორუფციის თავიდან აცილების პროცესში. შეგნებულად და უნებლიედ დაშვებულმა შეცდომებმა კანონის მუხლების ფორმულირებისას შეიძლება ხელი შეუწყოს კორუფციის განვითარებას, რაც საზოგადოებისათვის ძალზე საშიშია. მეორე — მოძრაობას თავისი დასკვნებით შეუძლია რეალური დახმარება აღმოუჩინოს პარლამენტს საკადრო საკითხების გადაწყვეტაში. მესამე, თანამდებობის პირთა საკომიტეტო მოსმენები შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანი, თუ ისინი შეიარაღებული იქნებიან კორუფციული სიტუაციის ანალიზით იმ უწყებაში, რომელი უწყებიდანაც მოწვეული არის მოსმენაზე ესა თუ ის მოხელე.

კორუფციის თავიდან აცილების საზოგადოებრივმა მოძრაობამ უნდა აღმოუჩინოს დახმარება ქვეყნის პრეზიდენტს. როგორც სახელმწიფო ინსტიტუტს — ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია რეალური ზემოქმედება მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, თუ ანალიტიკური მონაცემები მისთვის იქნება მომზადებული არა მარტო უწყებების აპარატების მიერ, რომლებიც, როგორც წესი, არ არიან დაინტერესებულნი თავიანთი ყველა ნაკლოვანების გამომჟღავნებით, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ. ასეთი ინფორმაცია შესაძლებლობას ბისცემს პრეზიდენტს შეადაროს აპარატის მიერ მომზადებული მონაცემები, საზოგადოების მიერ მომზადებულ მონაცემებთან.

ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით აღმასრულებელ ხელისუფლებაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სამსახურის შექმნის შემთხვევაში, რომელზეც უკანასკნელ პერიოდში მიმდინარეობს ბევრი მსჯელობა, აღნიშნულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ უნდა ითანამშრომლოს და ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს კორუფციულ სამართალდარღვევათა დროული თავიდან აცილების მიზნით. ასეთივე პოზიციით გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამართალდამცავი ორგანოების კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურებთან ურთიერთთანამშრომლობა.

ასევე კორუფციის თავიდან აცილების საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს სახალხო დამცველისა და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დახმარების აღმოჩენა და თანამშრომლობა:

— კორუფციული სიტუაციის განვითარების პროგნოზირებაში შესაძლო მოქალაქეთა უფლებების დარღვევათა თავიდან აცილების მიზნით;

— საკონსტიტუციო აქტების კონსტიტუციურობის პროგნოზირებაში, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის განვითარებას.

მოძრაობის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერესდება მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის ან დარღვევის ლოკალური ასპექტებით. ასეთ ხედვას მათი მხრიდან შედეგად მოსდევს არასრული, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივი რეკომენდაციების შემუშავება. უფრო მეტიც, ამ ორგანიზაციებს ხშირად საერთაშორისო არენაზე გამოაქვთ ზერელე, შეუმოწმებელი ინფორმაციები. საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალ-ცალკე მოღვაწეობის თავიდან ასაცილებლად, მოძრაობას შეუძლია ითამაშოს კონსოლიდაციის როლი. ამ მიმართულებით მას შეუძლია ჩამოაყალიბოს კორუფციის თავიდან აცილების საერთო ამოცანები.

ამრიგად, სხვადასხვა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ ობიექტური ინფორმაციის მიღება კორუფციული სიტუაციის თავიდან აცილების პრობლემებზე.

ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს თითოეული ადამიანის, მთელი საზოგადოების მომზადება და კონკრეტული მოქმედებით მონაწილეობა კორუფციის თავიდან აცილების პროცესში, აღნიშნული იდეა და არა ბრძოლა მის ცალკეულ გამოვლინებებთან უნდა იყოს განხილული, როგორც საზოგადოების კონსოლიდაციის, მისი პროგრესული განვითარების მაჩვენებელი, როგორც თვისება მისი კულტურული თვითმყობადობისა, ძველის წგრევის და ცხოვრების ახალი ფორმების განვითარების პერიოდში.

**გიორგი თოდრია,
მალსაზ ბაპალუა.**



ლაშა-გიორგი კუტალია

უმოქმედობის თეორიული დასაბუთების ათეოლოგიური თვალსაზრისი

ფორმალურად მოქმედებისა და უმოქმედობის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმ ნორმის შინაარსში, რომლის რეგულირების ობიექტიცაა სათანადო ქმედება. ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით, მავალეზელი ნორმისა — მხოლოდ უმოქმედობით ანუ გარკვეული დადებითი მოქმედების შეუსრულებლობით. მაგრამ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამ შედარების სისწორე ერთხმად არ არის გაზიარებული. კ. ენგიშის აზრით, „არა ნორმის შინაარსი განსაზღვრავს, თუ რა არის მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ პირიქით, ნორმის ხასიათი როგორც მავალეზელი ან ამკრძალავი ქცევის წესისა თვითონვე დგინდება იმისდა მიხედვით, თუ რა შეადგენს მის შინაარსს — მოქმედება თუ უმოქმედობა“.¹ ეს მიუღებელია. ნორმის შექმნის პროცესში თავდაპირველად ირკვევა განსაზღვრული ქმედების აკრძალვის ან დავალდებულების აუცილებლობა და მხოლოდ აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ქმედება აკრძალვისა და დავალდებულების მიხედვით უნდა დაიყოს მოქმედებად და უმოქმედობად. მოქმედება იკრძალება არა იმიტომ, რომ ის მოქმედებაა, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სისხლისსამართლებრივად დაუშვებელია, ე. ი. პირველადი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეუწყნარებლობაა, ხოლო ქმედების ფორმა (მოქმედება და უმოქმედობა) მეორადია. ამიტომ არა ქმედების ცალკეული სახე განსაზღვრავს ნორმის შინაარსს, არამედ თვით ნორმის ამკრძალავი და მავალეზელი ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მოქმედება და უმოქმედობა.

კ. ვოლფს მიაჩნია, რომ მსგავსი დიფერენციაცია, რომელი მხარეც არ უნდა დაედოს მას სათავედ, მეტად პირობითი და, ამასთან, ყოველად არაპრაქტიკაბელური დიფერენციაციაა, რადგან, მისივე თქმით, მავალეზელ და ამკრძალავ ნორმებს მარტივად ძალუძთ ერთმანეთის ფუნქციათა შეთავსება. აკრძალვა „ნუ დაფარავ გადასახადს!“ და მავალეზელი ნორმის დისპოზიცია „გადაიხადე გადასახადი!“ კ. ვოლფის თანახმად შინაარსობრივი იგივეობით უნდა გამოირჩეოდეს.² მაგრამ თუ ეს ორი მოთხოვნა გავაერთიანეთ ბოლოში: „გადაიხადე გადასახადი!“, უნდა მივიღოთ, რომ გადასახადის ყოველგვარი გადაუხდელობა ამავე დროს მისი დაფარვაც ანუ კონკრეტული დანაშაულებრივი უმოქმედობაც არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. გადასახადის გადაუხდელობა გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა გამამხდელი თუმც არ ფარავს, მაგრამ ურჩად არიდებს თავს მის გადახდას. ამასთან, აკრძალვა „ნუ

1 K. Engisch, Vom Weltbild des Juristen, Heidelberg 1950, S. 37.

2 K. Wolff, Verbotenes Verhalten, Wien und Leipzig 1923, S. 143.


დაფარავ გადასახადს!“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დატვირთვის მქონეა და მისი ინტეგრირება სხვა სამართლებრივ ნორმაში გაუმართლებელია.

არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ გ. ჰუსერლის მიდგომა, რომელიც ამტკიცებს: „მავალბელი და ამკრძალავი ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა უღევს საფუძვლად გარკვეულ ქცევას (ქმედებას): მართლწესრიგის თანხმობა თუ უარყოფა, „პოზიტიური“ თუ „ნეგატიური“ სამართლებრივი ნება. და ვალდებულების ამ პოზიტიურობისა თუ ნეგატიურობისათვის უმნიშვნელოა, ნაგულისხმევი ქცევა, მეტასამართლებრივი შეხედულებით, პოზიტიურია (მოქმედება) თუ ნეგატიური (უმოქმედობა)“.³ ეს შემოგანხილული უკიდურესობის საპირისპირო, მოქმედებისა და უმოქმედობის სამართლებრივი მნიშვნელობის უარყოფელი უკიდურესობაა. ის, რომ გ. ჰუსერლი, კ. ენგიშისაგან განსხვავებით, სამართლის ნორმის შინაარსის განსაზღვრას ქმედების ფორმის პირველადობას არ უქვემდებარებს, მისი მოსაზრების უცილოდ დადებითი მხარეა. მაგრამ ამ უკანასკნელი მომენტის (ქმედების ფორმის) სრული ნეგირების არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება. სამართლებრივი, ისევე როგორც ნებისმიერი სახის მოვლენა, მუდამყამს ერწყმის ინერციულად მომიჯნავე მოვლენათა მთელ რიგს, როგორც შინაარსის, ისე ფორმისა და რეალიზების თვალსაზრისით. ფენომენტაშორისი ლოგიკური კავშირის აუცილებლობას ს. ჯევონსი ასე მოიხსენიებს: „...იშვიათად თუ შევძლებთ მოვლენის ერთიან იზოლაციასა და აბსოლუტურ მხოლოებაში დანახვას. მაგალითად, თუ ექსპერიმენტატორს სითბოსაგან სითხის დილატაციის გაზომვა სურს, ის ათავსებს მას მინის თერმომეტრულ მილაკში და თვალყურს ადევნებს სითხის სვეტის ამალვებას. მაგრამ სითხის გახურება ობიექტურად შეუძლებელია მინის სინქრონულად გახურების გარეშე, საიდანაც ირკვევა, რომ სასრული ცვლილება სითხისა და მინის პარალელურ დილატაციათა შორის მიღებული სხვაობაა. უფრო დაწვრილებითი ანალიზი სხვა მოქმედების გათვალისწინებასაც გვაიძულებს, კერძოდ, სითხის შეკუმშვისა და ბირთვის გაფართოების, რაც სვეტის გადიდებით მიღებული წნევის პროგრესირების შედეგია“.⁴ იგივე განუყოფელ კავშირშია ნორმის ამკრძალავი და მავალბელი შინაარსი მოქმედებასა და უმოქმედობასთან. უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა. ამის უმნიშვნელობის აღიარება ნიშნავს ვალიაროთ, რომ სისხლის სამართლისთვის სისხლის სამართლის ნორმის რეალიზება-მოქმედებაც კატეგორიულად უმნიშვნელოა. სხვა საკითხია, თუ რაოდენ იმსახურებს სისხლის სამართლის ინტერესს მოქმედებისა და უმოქმედობისადმი როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება. ქმედების ფორმათა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ცნობა ჯერ სულაც არ მოწმობს, რომ მათდამი ფსიქიკური დამოკიდებულებაც სისხლისსამართლებრივად ასევე მნიშვნელოვანია.

ქმედების ფორმისა და ნორმის შინაარსის ურთიერთობას საკმაოდ საინტერესოდ აღგვიწერს ფინალისტი ა. კაუფმანი: „ვალდებულების ლოგიკით, რომელსაც ჩვენი კვლევა ემყარება, დგინდება, რომ „თითოეული ვალდებულება შეასრულოს მოქმედება ხ“ იგივეა, რაც „მოქმედება ხ საყოველთაოდ სავალდებულოა“. ხოლო „მოქმედება a არ უნდა შესრულდეს“ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი „ვალდებულება შეასრულოს არა მოქმედება a“ და არა იმას, რომ მოქმედება a-ს შესრულება სავალდებულო არ არის“.⁵ ე. ი. დანაშაულებრივი უმოქმედობა ა. კაუფმანისათვის არის არა საკუთრად „უმოქმედობა“, არამედ „სხვაგვარი მოქმედება“; სუბიექტი ისჯება არა იმის გამო, რომ მან არ იმოქმედა, არამედ იმის გამო, რომ მან იმოქმედა

3 G. Husserl, *Negatives Sollen im Bürgerlichen Recht*, Breslau 1931, S. 37.

4 С. Джевонс, *Основы науки. Трактат о логике*, С.-Петербург, 1881, стр. 317.




არასათანადოდ ანუ იმოქმედა სხვაგვარად. ამ თეზისის უსუსურობის დასადგენად საკმარისია განვიხილოთ ნებისმიერი დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ უმოქმედობით. მაგალითად, განსაცდელში მიტოვება. საქართველოს სისხლის სამართლის 129-ე მუხლის მიხედვით, ეს არის შეგნებულად მიტოვება დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალეზებოდა ამ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. როდესაც სუბიექტი შეუფერხებლად განაგრძობს თავის საქმიანობას და ამით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს ყურადღებას არ აქცევს, გასაგებია, რომ ის მოქმედებს. ამასთანავე, არავისთვის არის უცხო, რომ სხვადასხვა ობიექტის მიმართ ინდივიდი ერთდროულად შეიძლება მოქმედებდეს და უმოქმედობდეს კიდევ. მოცემულ შემთხვევაში თავისი საქმიანობის მიმართ სუბიექტი მოქმედებს, განსაცდელში მყოფი პირის მიმართ კი უმოქმედობს. ამრიგად, სუბიექტი აქ მართლაც მოქმედებს სხვაგვარად, ვიდრე უნდა ემოქმედა, მაგრამ დასჯადობის საფუძველი ამ სხვაგვარი მოქმედებით გამოწვეული უმოქმედობაა და არა თვით ეს სხვაგვარი მოქმედება. ხოლო თუ პირი საერთოდ არ მოქმედებს (გაუძრევლად შეჰყურებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილ სხვა პირს), მაშინ მოქმედების მომენტი ერთიანად გამოირიცხება. სუბიექტი შესაძლებელია მოქმედებდეს რეალურად, ფაქტობრივად და, ამავე დროს, არ მოქმედებდეს სისხლისსამართლებრივად (საკუთარი აქტიური საქმიანობის განგრძობა განსაცდელში მიტოვებისას), მაგრამ დაუშვებელია, რომ სუბიექტი მოქმედებდეს სისხლისსამართლებრივად, თუ ის არ მოქმედებს ფაქტობრივად. თავის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთან სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის წინააღმდეგობაში მოყვანა არამც და არამც არ იქნება მისი წარმატებული დეფინირების საწინდარი. გერმანელი კრიმინალისტის ზიგვარტის ჭეშმარიტი მტკიცებით, „სისხლის სამართალში ცნებათა განსაზღვრის ყოველგვარი ცდა მყარად და განუხრელად უნდა ეფუძნებოდეს ჩვეული ცხოვრების ლექსიკას, რათა ეს ცნობები ხელმისაწვდომი შეიქმნას წარმოსახვისა და კვლევისათვის“.⁶ შესაბამისად, დანაშაულებრივი უმოქმედობის სხვაგვარ ანუ არასათანადო მოქმედებად დეკლარირება, როგორც ამას ა. კაუფმანი გვთავაზობს, უნიადაგო მცდელობაა.

ეს წმინდად ფორმალური თვალსაზრისით. თეორიულად კი არამ. კაუფმანის დებულებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: იმისათვის, რომ სუბიექტმა ფიზიკურად გამოხატოს უმოქმედობა, ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს, ე. ი. ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა; მაშასადამე, უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად (ობიექტურად) არის უმოქმედობა,* ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად) კი მოქმედებაა. მაგრამ სისხლის სამართალს უმოქმედობის ცნება არ აინტერესებს არც მხოლოდ ფიზიკურ და არც მხოლოდ ფსიქიკურ ასპექტში. სისხლისსამართლებრივ და-

5 Arm. Kaufmann, Die Dogmatik der Unterlassungsdelikte, Göttingen 1959, S. 3.

6. იხ. G. Nass, Wandlungen des Schuldbegriffs im Laufe des Rechtsdenkens, Berlin 1963, S. 20.

* ამის აპრიორულობას ვერ გააქარწყლებს არამ. კაუფმანის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს უმოქმედობა ფიზიკურადაც მოქმედებაა, რადგან მის ამ მტკიცებაში აშკარად არაფერია არსებული რეალობის შესატყვისი. რათა სუბიექტი მოქმედების მდგომარეობიდან გადავიდეს უმოქმედობის მდგომარეობაში, მან უნდა შეწყვიტოს მოქმედება. თვითონ მოქმედების შეწყვეტა მორიგი მოქმედებაა, მაგრამ მდგომარეობა, რომელიც მოქმედების შეწყვეტის შედეგად მიიღება, უთუოდ უნდა ვცნოთ უმოქმედობად, თუ არსებული სინამდვილის უგულებელყოფას არ შევეცდებით. ხოლო სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია არა მოქმედების შეწყვეტა, არამედ შეწყვეტილი მოქმედება ანუ ის, რაშიც ზემოაღნიშნული მოსაზრების თანახმად ვლინდება უმოქმედობა.



ინტერესებს ის იწვევს მართოდ როგორც ფსიქო-ფიზიკური კატეგორია. ამავე დროს, უმთავრესი მნიშვნელობის არის არა ის, რომ უმოქმედობა ერთ-ერთ ასპექტში ემთხვევა მოქმედების ცნებას, არამედ ის, რომ მოქმედება და უმოქმედობა არ ემთხვევა ერთმანეთს ორთავე ასპექტში: უმოქმედობის ცნებაში მოქმედების ნაწილობრივი და არა აბსოლუტური გამოხატულება მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ უმოქმედობის ცნება განსხვავდება მოქმედების ცნებისაგან, რომ უმოქმედობა მოქმედება არ არის! და რამდენადაც უმოქმედობა გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მოქმედების ცნებისათვის უცხო სპეციფიკით, ამ უკანასკნელისაგან მისი როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების დამოუკიდებლობა არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

მაგრამ ერთობ საგულისხმოა ა. კაუფმანის მორიგი მოსაზრება: „მავალბელი და ამკრძალავი ნორმები განსხვავდება ერთიმეორისაგან ვალდებულების საგნით, რაც ნათელყოფს, თუ რაოდენ მცდარია დავალდებულების დარღვევის (Gebotsverstöß) აკრძალვის დარღვევაზე (Verbotsverstoß) სისხლის სამართლის დოგმატიკაში გავრცელებული გადატანა: თითქოს სასიკვდილო შედეგის აცდენის მოვალეობის დარღვევით დამნაშავე არღვევს მკვლელობის აკრძალვასაც. აგრეთვე თუ დამნაშავე არღვევს წინდახედულობის მოვალეობას, მისი ქმედება, აკრძალვის თვალსაზრისით, უკვე ამიტომ არის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო. ან კიდევ იგივე აზრის შებრუნებული გაგებით: როდესაც გაუფრთხილებლობით ირღვევა სხეულის დაზიანების აკრძალვა, სუბიექტს ეს ქმედება ერაცხება ბრალად იმიტომ, რომ მან დაარღვია წინდახედულობის მოვალეობა. ეს დასკვნები რომ ნორმატიულ-ლოგიკურად წუნდაუდებელი არ არის, ახსნას არ საჭიროებს.⁷ მაგრამ კაუფმანი ამის ახსნას მოგვიანებით მაინც იძლევა. ის აღნიშნავს, რომ თუ ქმედება ერთდროულად ქვემდებარეა მავალბელი და ამკრძალავი ნორმისა, ეს მოასწავებს ორმაგ უარყოფას, ორმაგი უარყოფა კი — ნებადართულობას. რა თქმა უნდა, ეს ასეც არის. მოვალეობისა და აკრძალვის მნიშვნელობათა თანხვედრა დაიშვება მხოლოდ ვალდებულების საგანთა იგივეობის შემთხვევაში, მაგრამ მოქმედებისა და უმოქმედობის სახით ვალდებულების საგანთა სხვადასხვაობა წარმოუდგენელს ჰქმნის ამ ორი ცნების ურთიერთგარდამავლობას. უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისას სუბიექტი უკვე იმიტომ ვერ დაარღვევს მკვლელობის აკრძალვას, რომ უმოქმედობა ამ ამკრძალავი ნორმის ვალდებულების საგანია, ე. ი. ამგვარი ნორმის ადრესატისათვის უმოქმედობა მოვალეობაა და ყოველთვის, როცა სუბიექტი უმოქმედობს, ის ასრულებს და არა არღვევს ამკრძალავი ნორმის მოთხოვნას.

რაც შეეხება აკრძალვაში ნეგატიურობის მომენტს, ა. კაუფმანი მიიჩნევს, რომ აკრძალვა არის არა „ნეგატიური ნორმა“, არამედ ნეგატიური შინაარსის ნორმა, საიდანაც უმოქმედობის მოვალეობა წარმოსდგება. ნეგატიურ აქცენტს ატარებს არა ვალდებულება (das Sollen), არამედ ვალდებულება (das Gesollte). ვფიქრობთ, ეს არ არის მართებული. შინაარსობრივად მავალბელი და ამკრძალავი ნორმები ერთსა და იმავეს მოითხოვენ, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ამკრძალავი ნორმის „ნუ მოკლავ!“ შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართალი იცავს თავის სუბიექტთა სიცოცხლის უფლებას. მაგრამ შესაბამისი მავალბელი ნორმის შინაარსიდანაც ხომ იგივე დასკვნას ვლებულობთ: როდესაც კანონმდებელი განსაცდელში ანუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვებას დასჯადად აცხადებს, განა ეს სიცოცხლის უფლების დაცვა არ არის? განსხვავება ვლინდება მხოლოდ იმაში, რომ პირველი მოთხოვნა სრულდება პოზიტიურად (მოქმედებით),

7 ა. კაუფმანის დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

უკანასკნელი კი — ნეგატიურად (უმოქმედობით). ამიტომაც ნეგატიურობა არის აკრძალვის არა შინაარსის, არამედ ფორმის ნიშანი.

მაგრამ რა პირობებში ეკისრება სუბიექტს მოქმედების ვალდებულება? „სამართლებრივი მოვალეობა“, — წერს ფ. ალფელდი, — „არ უნდა სცილდებოდეს მოქმედების შესაძლებლობის ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეობა დაჰკარგავს რეალურ იურიდიულ ძალას: *ultra posse nemo obligatur!*“⁸ ამის მაგალითებად მოყვანილია სამი სხვადასხვა შემთხვევა: A-ს არ შეიძლება ევალდებოდეს დახმარების აღმოჩენა, თუ ის უბედური შემთხვევის ადგილიდან მიუწვდომლად შორს იმყოფება, არც — B-ს, რომელიც თუმც შორიანსაა, მაგრამ არაფერს უწყის მომხდარის შესახებ და არც — სრულიად პარალიზებულ C-ს, რომელიც ყოველივე მომხდარის თვითმხილველია. ამის გამო სამივე სუბიექტს, ავტორის აზრით, უბედური შემთხვევებისას დახმარების აღმოჩენის ვალდებულება ეხება მხოლოდ *in abstractio*; მავალეობელი ნორმის კონკრეტიზების ანუ სამართლებრივი მოვალეობის აქ და ამჟამად მოქმედების პირობა სუბიექტის „კონკრეტული ქმედუნარიანობა“, რაც სავსებით ბუნებრივი და მისაღებია. ამასთან, გაუმართლებელია კ. ბინდინგის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, როდესაც ის ქმედუნარიანობას განმარტავს როგორც ნორმის ცოდნასა და მისი შესრულების შესაძლებლობას.⁹ კრიტიკის საფუძველია ის, რომ კ. ბინდინგის ამ განმარტებით ქმედუნარიანობისა და მოქმედების ვალდებულების ცნებები ერთმანეთს არ გადაკვეთს, რომ ისინი პარალელურია. მაგრამ ცნებათა პარალელურობა სხვა რამ არის, ვიდრე ეს ფ. ალფელდსა და ზოზიერთ სხვა კრიშინალისტს აქვს წარმოდგენილი. მოქმედების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეა მავალეობელ ნორმაში აბსტრაქტულად აღწერილი ქმედების კონკრეტულად განხორციელების შესაძლებლობიდან, შესაძლოა ნიადაგ თან არ სდევდეს ქმედუნარიანობას ისე, რომ ამით მოცემულ ცნებათა პარალელურობა არ დაგვერღვეს. ცნებათა პარალელურობა ნიშნავს არა იმას, რომ ისინი ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა განაპირობებდნენ ერთმანეთს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ერთი ცნების დადგომამ არ უნდა გამორიცხოს მეორე ცნების დადგომა. მაშასადამე, კ. ბინდინგის მტკიცებაში არაფერია ალოგიკური, როცა ის ქმედუნარიანობისა და მოქმედების ვალდებულების ცნებებს პარალელურ ცნებებად წარმოგვიდგენს.

მაგრამ, სხვა მხრივ, შემოსხენებულ განმარტებას გარკვეული რეაქციულობის ელფერიც დაჰკრავს: კ. ბინდინგი ქმედუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად ნორმის ცოდნას აცხადებს, ე. ი. თუ სუბიექტი არ იცნობს სისხლის სამართლის ნორმას, ის ქმედუნაროა და ამით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ ხელშეუვალი იმუნიტეტიტაც სარგებლობს. დავეთანხმოთ კ. ბინდინგს ნიშნავს ვერ დავსაჯოთ ვერც ერთი დამნაშავე, ვინაიდან ბინდინგისეული ქმედუნარობის ხელოვნური შექმნა არავისთვის წარმოადგენს რამეგვარ სორთულეს.

ფონ ლისტი, მსგავსად ა. კაუფმანისა, აღნიშნავს: „უმოქმედობა გარდამავალი ზმნაა (*ein transitives Zeitwort*), რომელიც არა „არაფრის კეთების“, არამედ „განსაზღვრული რამის არგაკეთების“ ტოლია. ის არ არის „არაფრის მიმდინარეობის“, „გარე სამყაროს შეუცვლელობის“ ან „ფიზიკური სიმშვიდის“ ეკვივალენტი“.¹⁰ მაგრამ იქვე წინააღმდეგობრივად დასძენს: „უმოქმედობის ცნებით გამოიხატება, რომ სუბიექტს თავისი მოქმედებით, რომლის შესრულება მას შეეძლო და

8 P. Allfeld, Lehrbuch des deutschen Strafrechts, Allg. Teil, 9. Aufl., Leipzig 1934, S. 113.
9 K. Binding, Die Normen und ihre Ubertretung, Bd. II, Leipzig 1916, S. 117.
10 F. v. Liszt, Lehrbuch des deutschen Strafrechts, 26. Aufl., Berlin und Leipzig 1932, S. 116.

ეგალებოდა, მაგრამ არ შეასრულა, უნდა აეცდინა დამდგარი შედეგი; ამრიგად, უმკმედლობის ცნებაში მოცემულია მოქმედების კაუზალობის ანალოგიური ნიშანი, მაგრამ არა თვით კაუზალობა.¹¹ მაშ, ფონ ლისტის თანახმად, კაუზალობა გარე სამყაროში ცვლილების გამოწვევის აუცილებელი წინამძღვარი არ არის!

გგონებთ, გ. რადბრუხის პოზიცია, ფონ ლისტის შეხედულების საპირისპიროდ, თითქმის ზუსტად ასახავს არსებულ სინამდვილეს. გ. რადბრუხის მიხედვით, „უმკმედობა არის მოქმედების შეუსრულებლობა, მიუხედავად ფიზიკური შესაძლებლობის არსებობისა“.¹² ამ აზრს იზიარებს ლ. ტრაეგერიც: „უმკმედობა წარმოადგენს ნორმის სუბიექტის მიერ მისგან სისხლისსამართლებრივად მოსალოდნელი მოქმედების შეუსრულებლობას, თუ მისი შესრულება სუბიექტის ნებელობით უნარს (die Willensmacht) არ აღემატებოდა. ან მოკლედ: ეს მოსალოდნელი შესაძლო მოქმედების შეუსრულებლობაა“.¹³ გარდა იმისა, რომ უმკმედობა როგორც დანაშაულებრივი ქმედების სახე შეუმცდარად გადმოიცემა, აქ მოქმედების შესაძლებლობის ობიექტური და სუბიექტური ასპექტებიც თანაგვარად არის გათვალისწინებული (რასაც გ. რადბრუხის შემომოყვანილ პოზიციაზე ვერ ვიტყვით). მოქმედების „ფიზიკური შესაძლებლობა“ უმრავლეს შემთხვევაში შეურაცხადსაც გააჩნია, მაგრამ მისი „ნებელობითი უნარი“ იმზომ დაბალია, რომ მას საკუთარი ნების შესაბამისად მუდამ როდი შეუძლია იმოქმედოს.

მკაფიოდ გამოჰყოფს სუბიექტურ მხარეს ვ. ზაუერიც: „ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებისა და ნების თავისუფლება უმკმედობის დასჯადობის უმთავრესი წინაპირობაა... ცურვის უცოდინარი, როდესაც ის დახმარების აღწოჩენისაგან თავს იკავებს, ბრალეულად არ უმკმედობს; უმკმედობის სისხლისსამართლებრივ უმკმედობად განსაზღვრა არ დაიშვება, თუ სუბიექტს არ შესწევდა უნარი ემოქმედა. მოქმედების თავისუფლება არ განეკუთვნება არც მიზეზობრიობის, არც ბრალეულობისა და არც სამართლებრივი მოვალეობის საკითხს, ის უშუალოდ ქმედების, როგორც ასეთის, სფეროთი შემოისამნება და წინ უსწრებს ყველა დანარჩენ პრობლემას“.¹⁴ ქმედების თავისუფლებისა და ნების თავისუფლების ანუ ბრალეულობის საკითხთა ურთიერთგანცალკეეებას მივყავართ ერთადერთ სწორ დასკვნამდე: ინდივიდუალური აქტის გარეგანი (ობიექტური) და შინაგანი (სუბიექტური) მხარეების თანაფარდობა უმკმედობის დროსაც იგივეა, რაც მოქმედებისას. გარეგნულად აქტის განხორციელება, ე. ი. ფაქტობრივი უმკმედობა, მსგავსად ფაქტობრივი მოქმედებისა, ჯერ არ აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამეთუ უმკმედობა ისევე, როგორც მოქმედება, შესაძლოა ჩადენილ იქნას იძულებით ან „ნებელობითი უნარის“ უქონლობით (შეურაცხადობით).

11 იქვე, 83. 126.

12 G. Radbruch, Der Handlungsbegriff in seiner Bedeutung für das Strafrechtssystem, Berlin 1904, S. 141.

13 L. Traeger, Das Problem der Unterlassungsdelikte im Straf- und Zivilrecht, Marburg 1913, S. 8.

14 W. Sauer, Kausalität und Rechtswidrigkeit der Unterlassung, in: Festgabe für R. v. Frank, Tübingen 1930, I Bd., S. 213.



ზვიად გაბისონია

საინვესტიციო და სხვა კონტრაქტების განხილვის უპირატესი კომპეტენციურ-პროცედურული საკითხი

1. შესავალი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გავრცელება მომეტებულად პრობლემურს ხდის დავების განხილვის კომპეტენციურ-პროცედურული ასპექტების სრულყოფას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კომპანიები ხელშეკრულებათა (კონტრაქტების) დადებისას უპირატესობას ანიჭებენ არბიტრაჟს და არა სასამართლოს. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ სასამართლო განხილვა იწირავს დიდძალ დროსა და ხარჯებს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ „საარბიტრაჟო განხილვა უკეთესია, ვიდრე სასამართლო განხილვა, მხარეთა მორიგება უკეთესია, ვიდრე არბიტრაჟისადმი მიმართვა, ხოლო დავის შეწყვეტა უკეთესია, ვიდრე მორიგება“.¹ ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიხმობ ერთ მაგალითს საქართველოს სინამდვილიდან.

საქართველოს სახელმწიფოსა და ამერიკულ კომპანია „AES SILK ROAD HOLDINGS B. V.“-ს შორის „თელასის“ აქციათა 75%-ის შესყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში (მუხ. 29. 2.) აღნიშნულია: „დავის მონაწილე მხარეების უფლებამოსილი პირები, ან მათი დანიშნული წარმომადგენლები, შეტყობინების მიწოდების დღიდან 14 კალენდარული დღის ვადაში შეხვედებიან და კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ და შეეცდებიან გადაჭრან დავა რაც შეიძლება მოკლე ვადაში და ხელსაყრელად“,... ხოლო „თუ მხარეები ვერ გადაჭრიან დავას შეხვედრიდან 10 კალენდარული დღის მანძილზე ან სხვა, მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებულ ვადაში, დავა საბოლოოდ გადაჭრილი იქნება არბიტრაჟის მიერ იმ დროისათვის მოქმედი LCIA-ის (იგულისხმება 1892 წლიდან მოქმედი ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟი, რომელიც ადრე ცნობილი იყო ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოდ — ზ. გ.) წესების შესაბამისად, რომლებიც ითვლება 29-ე მუხლში ჩართულად“.²

2. საარბიტრაჟო წესის გავრცელებულობის შესახებ. საარბიტრაჟო განხილვის წესს დასავლეთ ევროპის ქვეყნები დიდი ხანია მიმართავენ. ეს განსაკუთრებით ითქმის დიდ ბრიტანეთზე, სადაც კერძო არბიტრაჟის შექმნისა და საქმიანობის წესს რამდენიმე აქტი არეგულირებს (მაგ., ინგლისის 1889 წლის კანონი არბიტრაჟის შესახებ; 1950 წლის კანონი არბიტრაჟის შესახებ, შეს-

1. М. М. Богуславский. Международное частное право. 2-е издание. М., 1994, с. 392.

2 იხ. State of Georgia and THE OTHER GEORGIAN PARTIES and AES SILK ROAD HOLDINGS B. V. — Agreement for the SALE and PURCHASE of seventy five percent (75%) of ALL of the SHARES in joint stock company TELASI, p. 33.

წორებული და დამატებული 1979 წლის კანონით).⁸ შუამავლობისა თუ მორიგების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში არბიტრაჟს მიმართავს ჩინეთი. იაპონიის კომერციული საარბიტრაჟო ასოციაცია მოქმედებს 1953 წლიდან. არბიტრაჟზე კანონები მიიღეს აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანაში. ლათინური ამერიკა, მიუხედავად თავის ისტორიაში მრავალი საარბიტრაჟო საქმის წაგებისა, სულ უფრო მეტად იზრება დავის ამგვარი წესით განხილვისაკენ. მაგალითად, 1975 წლის ამერიკათაშორისი კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ ითვალისწინებს, რომ „...ამერიკული ქვეყნების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ...ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები იღებენ ვალდებულებას კომერციულ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება გადასცენ არბიტრაჟს, იძენს კანონიერ ძალას“.⁴


3. არბიტრაჟები სსრკ-ში და მისი პოსტსოციალისტური „მეტამორფოზები“. უნდა აღინიშნოს, რომ დავების საარბიტრაჟო განხილვა არც საბჭოთა კავშირისათვის იყო უცხო. მაგრამ განსხვავებით დასავლეთეუროპული ქვეყნებისაგან, კერძო არბიტრაჟის ადგილი სახელმწიფო არბიტრაჟმა დაიკავა. უფრო მეტიც, სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოცე თავი და, შესაბამისად, სამოქალაქო (მატერიალური, საპროცესო) კოდექსები სასამართლოსა და არბიტრაჟს ერთიმეორის გვერდით აყენებდნენ, როგორც სამოქალაქო უფლებების დაცვის ორგანოებს. კერძოდ, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის საძეურნეო დავების განხილვა მთლიანად სახელმწიფო არბიტრაჟების (ერთიდა... იგივე უწყების შიგნით კი — საუწყებო არბიტრაჟისაც!) პრეროგატივა იყო. სხვა ფორმები — სამედიატორო სასამართლო, აგრეთვე, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — საზღვაო საარბიტრაჟო ან საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიები, — მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებდა.

ეკონომიკური დავების განხილვის ამგვარი (არსებითად ადმინისტრაციული, მმართველობის ორგანოში ჩაკეტილი) სისტემა, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებათა სასამართლო წესით გასაჩივრების თუნდაც ალტერნატიულ შესაძლებლობასაც კი არ ითვალისწინებდა, სრულიად აკმაყოფილებდა ეკონომიკის ცენტრალიზებული, დირექტიული მართვის არსებულ საბჭოურ წყობას, რომელიც სახელმწიფო იურიდიულ პირებს შორის სამეურნეო დავას დაახლოებით ასე უყურებდა, როგორც მესაკუთრე (ამ შემთხვევაში სახელმწიფო) მისი კუთვნილი თანხის ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანას. მაგრამ იგივე წესი, ცხადია, ვერ მიესადაგებოდა კერძო საკუთრებაზე (უფრო ზუსტად, საკუთრებათა მრავალ ალტერნატიულ ფორმაზე) დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკისაკენ ორიენტირებულ ქართულ სახელმწიფოს. ამის შედეგად იშვა 1991 წლის 23 აპრილის კანონი „საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ“.⁵ მაგრამ, ამ კანონის შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელმაც 1997 წლამდე იარსება,

3. P. X. Фолсом, М. У. Гордон, Дж. А. Спаногл. Международные сделки. М., 1996, с. 433.

⁴ იქვე, გვ. 434. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადგომით, იაპონიის მიერ გამოყოფილი სახსრებით შარშან მომზადდა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პროექტი, რომელიც რეალიზაციის (განხილვის) სტადიაშია. (იხ. Новости правовой реформы — В журнале «Право на этапе перехода». Осень 1998 г., с. 77).

⁵ იხ. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. თბ., 1992, გვ. 364-377.



სამწუხაროდ, დარჩა კვაზისასამართლო ორგანოდ. ამის ძირითადი მიზეზი გან-
 ლდათ ის, რომ ჯერ ერთი, იგი დარჩა ისეთ ერთსაფეხურიან, ორინსტანციან
 „ცენტრალურ აპარატად“, როგორც იყო საქართველოს უზენაესი საარბიტრა-
 ჟო სასამართლო, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული რგოლები — ავტონო-
 მური რესპუბლიკების, თბილისისა და ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლო-
 ები არ შექმნილა. მეორე, რაც უფრო მთავარია, საარბიტრაჟო სასამართლო
 წარმოების (ანუ საარბიტრაჟო საპროცესო) კოდექსი, რომლის მიღებასაც კა-
 ნონის მე-3 მუხლი ითვალისწინებდა, ხუთიოდ წლის გასვლის მიუხედავად
 პროექტის სამუშაო ვარიანტის არაოფიციალურ-დოქტრინალური განხილვის
 სტადიას ვერ გასცდა. ამის გამო საქმე გვექონდა, რბილად რომ ვთქვათ, მეტად
 უხერხულ სამართლებრივ სიტუაციასთან, როცა დამოუკიდებელი საქართველოს
 საარბიტრაჟო სასამართლო ეკონომიკურ დავებს იხილავდა (თუ არ ჩავთვლით
 ბოლო მცირე პერიოდს) ჯერ კიდევ 1980 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
 ჭოს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტით — „სახელმწიფო არბიტრა-
 ჟების მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესებით“ (1988 წლის რედაქციით).
 ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, თავის დასამშვიდებლად ნაკლებად გამოგვადგება მა-
 გალთი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის — რუსეთის ფედერაციისა,
 სადაც 1995 წლის 1 ივლისს ახალმიღებული საარბიტრაჟო საპროცესო კოდე-
 ქსის წინამორბედი (1992 წლის) ანალოგიური აქტის ძალაში შესვლამდე (რუ-
 სეთის ფედერაციის 1992 წლის 5 მარტის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსი
 ძალაში შევიდა 1992 წლის 15 აპრილიდან) ასევე შემოხსენებული — ოდნავ
 სახეცვლილი „წესებით“ იხილავდნენ საარბიტრაჟო საქმეებს, — ვინაიდან აქ
 თვითონ საარბიტრაჟო სასამართლოების შექმნის შესახებ ფედერალური კონ-
 სტიტუციური კანონი ძალაში შევიდა შესაბამის საპროცესო კოდექსთან ერთად
 (სინქრონულად).⁷

რაც შეეხება სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, მათ შესახებ პროფ. ჰ. ჰა-
 ინრიხი 1994 წელს წერდა: „...ყოფილი სოციალისტური ბლოკის ზოგიერთ
 ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი და ყოფილი გდრ, სა-
 ხელმწიფო სამეურნეო არბიტრაჟი გაუქმებულია და იგი ახლა მხოლოდ ერთ-
 ერთ სქოლიოს წარმოადგენს ამ ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
 ისტორიაში. ალბანეთსა და ბულგარეთშიც აღარ არსებობს სახელმწიფო სამე-
 ურნეო არბიტრაჟი“.⁸ ამასთან აშკარაა, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში მიმ-
 ღინარეობს მათი საარბიტრაჟო სასამართლოებით „ჩანაცვლების“ პროცესიც.
 რუსეთის გარდა, ახლახან საარბიტრაჟო სასამართლოები ჩამოყალიბდა ყირ-
 გიზეთში.⁹


4. შესაბამისი გარდაქმნები საქართველოში. საქართველოს 1995 წლის
 კონსტიტუციამ, სასამართლოთა სისტემაში არ გაითვალისწინა რა საარბიტრა-
 ჟო სასამართლოები, ეკონომიკური (სამეურნეო) დავების სასამართლო განხილ-
 ვის ფუნქცია საერთო სასამართლოებს დააკისრა. ამას წინ უსწრებდა „მეწარ-
 ძეთა შესახებ“ 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი, რომელიც, ფაქტობრივად,

6 Комментарий к Арбитражному процессуальному кодексу Российской Федерации. М., 1996 г., с. XVIII.

7 იქვე, გვ. XV.

8 ჰელმუტ ჰაინრიხი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეფორმა. კრებულ-
 ში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, 1994, გვ. 380.

9 Новости правовой реформы — в журнале Право на этапе перехода. Осень 1998 г., с. 77.



წთლიანად ორიენტირებულია დავების სასამართლო განხილვის პროცედურაზე.¹⁰
 „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის კანონმა, ამავე წლის 14 ნოემბრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა, „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ 1996 წლის 25 ივნისის კანონმა¹¹ ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მრავალმხრივ მოაწესრიგა ქონებრივი დავების განხილვასთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხები. კერძოდ, დადგინდა, რომ ეკონომიკურ (საბუნებრივ) დავებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (იურიდიულ პირებს) შორის, როცა სარჩელის ფასი 100 ათას ლარამდეა, პირველი ინსტანციით იხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, ხოლო თუ ამ თანხას აღემატება — საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია (საპროცესო კოდექსის მე-13—მე-14 მუხლები).¹²


საპროცესო თვალსაზრისით თვისობრივი, პრინციპული სიახლეებიდან უნდა აღინიშნოს საზღვარგარეთის ქვეყნებში კარგად აპრობირებული აპელაციის წესის შემოღება. კერძოდ, პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებს (როცა საჩივრის საგნის ღირებულება აღემატება 500 ლარს) ხელახლა არსებითად (ოღონდ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში) იხილავს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 17 აპრილს მიიღო კანონი „კერძო არბიტრაჟების შესახებ“, რომელიც თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ სამოქალაქო დავების კერძო საარბიტრაჟო წესით განხილვაში. სახელდობრ, აღნიშნული კანონის I-მა მუხლმა დააწესა, რომ „პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა, მათივე შეთანხმებით, განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს“ (პუნქტი 1); „შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იღება წერილობით“ (პუნქტი 2). ამგვარი არბიტრაჟის წევრად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე (მუხ. 8). კერძო არბიტრაჟის დადასტოვება, თუ ამ კანონის 43-ე მუხლში ჩამოთვლილი პირობების არსებობისას სასამართლომ იგი არ შეცვალა, ექვემდებარება აღსრულებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამავე კანონში აღნიშნული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თავის საქმიანობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ. ყოველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია მიიღოს და არბიტრაჟის ამოქმედებამდე მასმედიის საშუალებით გამოაქვეყნოს დებულება. (ამ სფეროში ამგვარი რეგისტრირებული სუბიექტის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება შპს „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან“ შექმნილი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი).

5. საერთაშორისო არბიტრაჟები და მათი იურისდიქცია. გარდა ეროვნული იურისდიქციის ქვეშ მოქმედი კერძო არბიტრაჟებისა, საერთაშორისო მასშტაბით მოქმედებენ აგრეთვე მუდმივმოქმედი საერთაშორისო არბიტრაჟები. ამგვარი არბიტრაჟის ცენტრებად ითვლება ჟენევა, ლონდონი, ნიუ-იორკი, პარიზი და

10 იხ. ლადო ჭანტურია. თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბ., 1998.
 11 იხ. კანონი „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“, თბ., 1997.
 12 იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997.



სტოკჰოლმი.¹³ ისინი მოწოდებულნი არიან განიხილონ ყველა სახის კერძო და
 ვები, თუ მოდავე მხარის ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს დავების სა-
 ერთაშორისო საარბიტრაჟო წესით განხილვას.

ზოგიერთი საერთაშორისო სარბიტრაჟო სასამართლო შეიძლება სპეცია-
 ლიზდებოდეს რომელიმე ცალკეულ სფეროში წარმოშობილ დავათა განხილვა-
 ში. ამის მაგალითია საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლო¹⁴ (შექმნა 1994
 წლის ნოემბერში მეხიკოს კონფერენციაზე, იურისტთა ჯგუფის ინიციატივით.
 მასში გაწევრიანდა 24 ქვეყანა. მისი მმართველი ორგანოები განლაგებულია მე-
 ხიკოში (მექსიკა) და სან სებასტიანში (ესპანეთი). იგი მოწოდებულია განიხი-
 ლოს ეკოლოგიის სფეროში წარმოშობილი დავები შემდეგი ფორმებით: 1. და-
 ინტერესებულ მხარეთა თხოვნით იურიდიული კონსულტაციებისა და „ცხელი“
 იტუაციების ეკოლოგიურ-იურიდიული ანალიზის გზით; 2. მოდავე მხარეთა
 ძორიგებით; 3. სრულფასოვანი საარბიტრაჟო-სასამართლო განხილვის გზით,
 როდესაც გამოტანილი გადაწყვეტილების სავალდებულობა მხარეთა მიერ წი-
 ნასწარაა აღიარებული. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საერთაშორის-
 სო ეკოლოგიური მართლმსაჯულების შექმნის იდეამ ასახვა პოვა გაეროს სა-
 ერთაშორისო სასამართლოს სისტემაში 1993 წლის ივლისში ჰააგაში ეკოლო-
 გიური პალატის დაარსების ფაქტში, მაგრამ მან დღის წესრიგიდან ვერ მოხ-
 სნა საერთაშორისო ეკოლოგიური სასამართლოს დაარსების საჭიროება.¹⁵

**6. საინვესტიციო დავების განხილვის საერთო და კერძო პრობლემატიკის
 საკითხები.** საარბიტრაჟო დავებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს
 უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების განხილვა, რაც მეტად აქ-
 ტუალურია მთელს მსოფლიოში. პროფ. მ. მ. ბოგუსლავსკი ამგვარ დავებს სამ
 ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს ისეთ საინვესტიციო დავებს, რო-
 ნელშიც იგულისხმება უცხოელ კერძო ინვესტორსა და ინვესტიციის მიმღებ
 სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავა. მეორე ჯგუფს — სხვადასხვა ქო-
 ნებრივ და სამეურნეო დავებს. (მაგ., ერთობლივ საწარმოს პარტნიორებს შორის)
 და ა. შ. მესამე ჯგუფს კი — უცხოელ ინვესტორს ან უცხოური ინვესტიციით
 შექმნილ საწარმოსა და ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფო ორგანოებს შორის
 წარმოშობილ დავას, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებ-
 რივია.¹⁶

საინვესტიციო დავების განხილვისადმი განსაკუთრებული ყურადღება უც-
 ხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკიდან უცხოური კაპიტალდაბანდებე-
 ბისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის პოლიტიკაზე გადასვ-
 ლამ წარმოშვა. ყოფილი „სოციალისტურად მოაზროვნე“ სახელმწიფოებიდან ამ
 მხრივ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩინეთმა გადადგა. ინვესტიციების დაც-
 ვას შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დადებისას (შვედეთთან, რუმინეთ-
 თან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, ბელგიასთან, ფინეთთან, აშშ-თან, კანადას-
 თან, ნორვეგიასთან, ტაილანდთან და სხვ.) ჩინეთი კერძო ინვესტორების მიერ
 სარჩელის თავიანთი ქვეყნის სასამართლოშივე წარდგენას უჭერდა მხარს. ხან-
 გრძლივი მოლაპარაკებების შედეგად (მაგ., გერმანიასთან მოლაპარაკება სამ
 წელიწადს გრძელდებოდა) მიღწეულ იქნა კომპრომისული შეთანხმება: თუ მხა-

13. P. X. Фолсом, М. У. Гордон, Дж. А. Спаногл. Международные сделки. М., 1996 г., с. 438.

14. О. С. Колбасов. Международный экологический суд. журн. «Государ-
 ство и право», 1996 г., с. 438.

15 იქვე, გვ. 159.

16. М. М. Богуславский. Иностранные инвестиции: правовое регулирова-
 ние. М., 1996 г., с. 194—195.

რეები „მეგობრული კონსულტაციების შედეგად“ ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ ინვესტორის სურვილით დავები განიხილებოდა ინვესტიციების ადგილმდებარეობის ქვეყნის სასამართლოში ან სტოკჰოლმის არბიტრაჟში¹⁷ (იგულისხმება სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, დაარსებული 1917 წელს – ზ. გ.).

მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ პოსტსოციალისტური ქვეყნები, მათ შორის, ცხადია, საქართველოც.

7. საქართველოს კანონმდებლობა და საინვესტიციო დავების განხილვის პროცედურა. 1991 წლის 10 აგვისტოს „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლი საინვესტიციო დავების სახელმწიფო საარბიტრაჟო ან საერთო სასამართლოში განხილვას ითვალისწინებდა, ხოლო უცხოელ ინვესტორთა მოთხოვნით – სამედიატორო სასამართლოში, ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესის შესაბამისად.¹⁸ დაახლოებით იგივე სახით დავების განხილვას აწესებდა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის კანონის 33-ე მუხლი.

საქართველოში ამჟამად მოქმედი ანალოგიური აქტი – „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი (მუხ. 16) საინვესტიციო დავების განხილვის გაცილებით პროგრესულ, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებულ წესს გვთავაზობს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დავა უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის, თუ მისი გადაწყვეტის წესი არ არის განსაზღვრული მათი შეთანხმებით, გადაწყდება საქართველოს სასამართლოში ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრში (International Centre for the Resolution of Investment Disputes).¹⁹ თუ დავა არ განიხილება საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრში, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს დავის გადასაჭრელად მიმართოს ცენტრის დამატებით ინსტიტუტს ან ნებისმიერ საერთაშორისო სავაჭრო კომისიას (Commission of the United for International Trade Law UNICTRAL) საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესის შესაბამისად“. იქვე (პუნქტი 3) აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნული „საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მათ აღსრულებას უზრუნველყოფს სახელმწიფო“.²⁰

8. სდსც (ICSID): კომპეტენცია და პროცედურა. ზემოაღნიშნული საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრი (სდსც) ამგვარი დავების განხილვის ძირითად ინსტიტუტად უნდა მივიჩნიოთ. სდსც-ს დღესდღეობით მიმართავენ წალალგანვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები ინვესტიციების დაბანდებებთან დაკავშირებული დავების წარმოშობისას, ამიტომაც უპრიანი იქნება თუ ამ ცენტრზე საგანგებოდ შევჩერდებით.


სდსც დაარსდა ვაშინგტონის 1965 წლის „სახელმწიფოებსა და სხვა სა-

17 იქვე, გვ. 200.

18 იხ. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, თბ., 1992, გვ. 250-251.

19 საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (1998 წლის 26 ივნისის მდგომარეობით) თბ., 1998, გვ. 10-11.

20 აღნიშნული ნორმის ჩვენში პრაქტიკულად გამოყენების მაგალითია 1998 წლის 6 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და კომპანია „დარლინგუორთ ლიმიტედს“ შორის დადებული ხელშეკრულება (მუხ. 10.11) ს/ს „ფოთის გემთსაშენის“ აქციონა პაკეტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ (ხელშეკრულება რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში № 1-348-ით).



ხელმწიფოთა ქვეშევდრომებს შორის საინვესტიციო დავის გადაწყვეტის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულ იქნა რეკონსტრუქციის ასა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ეგიდით. კონვენცია ძალაში შევიდა 1996 წლის 14 ოქტომბერს. სდსც განლაგებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ცენტრალურ ოფისში, ქ. ვაშინგტონში. 1992 წლის 1 ივლისისათვის კონვენციას შეუერთდა 164 ქვეყანა, მათ შორის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი (ამ უკანასკნელმა კონვენციას იურიდიული ძალა 1966 წლის საერთაშორისო საინვესტიციო დავების არბიტრაჟის წესით განხილვის კანონით მიანიჭა).²¹ პოსტ-სოციალისტური ქვეყნებიდან მათ რიცხვში შედის რუსეთი, ბელორუსია, ესტონეთი, ლიტვა, მოლდოვა, ყაზახეთი და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, საქართველოც.

სდსც, ერთი მხრივ, მოქმედებს, როგორც საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი (ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი კონვენციის მე-18 პუნქტში). მეორე მხრივ, იგი გამოდის როგორც ინსტიტუციური, ანუ მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი, რომელიც დაარსებულია ისეთი კერძოსამართლებრივი დავების გადასაწყვეტად, რომელშიც ერთი მხარე სახელმწიფოა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საინვესტიციო და სხვა სახის ეკონომიკური დავები სახელმწიფოების ეროვნული საპროცესო სამართლის ჩარჩოებში წყდება – სასამართლო ან საარბიტრაჟო წესით, თუმცა ხშირად ინვესტორი (ფიზიკური და, ან იურიდიული პირი) სახელმწიფოსთან დავის დროს დაუცველი რჩება. სწორედ ინვესტორთა დასაცავად შეიქმნა ამგვარი დავების გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმი. მისი არსი სწორედ ისეთი ორგანოს კონსტრუირებაში მდგომარეობს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური, ამასთან, დამოუკიდებელი პირებით და მის გადაწყვეტილებაზე რომელიმე სახელმწიფო პირდაპირ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

ვაშინგტონის ზემოხსენებული (1965 წლის) კონვენცია საინვესტიციო დავების განხილვის ორ პროცედურას ითვალისწინებს: სამომრიგებლოსა და საარბიტრაჟოს.²²

სდსც სხვა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟებისაგან ორი განსხვავებული თვისებით ხასიათდება. პირველი ამგვარი თავისებურება დაკავშირებულია მის საერთაშორისო-სამართლებრივ ბუნებასთან – იგი შექმნილია საერთაშორისო ხელშეკრულების (რომელიც მის ძირითად სამართლებრივ ბაზად უნდა იქნეს მიჩნეული²³) საფუძველზე და სწორედ აქედან გამომდინარეობს დავის გადაწყვეტის პროცედურის „დელოკალიზაცია“, რის შედეგადაც იგი დამოუკიდებელია ეროვნული სამართლებრივი სისტემებისაგან.

რაც შეეხება მეორე თავისებურებას, ის ეხება სახელმწიფოს, როგორც დავაში მონაწილე მხარეს, ე. ი. როდესაც სახელმწიფო მონაწილეობს სხვადასხვა

21. К. Шмиттгофф. Экспорт: право и практика международной торговли. М., 1993 г., с. 353.

22. Г. К. Дмитриева. Международный коммерческий арбитраж. М., 1997 г., с. 73.

23 დავის გადაწყვეტის ცალკეულ პროცედურულ წესებს არეგულირებს აგრეთვე ცენტრის მიერ შემუშავებული რეგლამენტები (იხ. კრებული: ICSID Basic Documents. 1985).



სახის სამოქალაქო დავაში, ფლობს რა განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს — იმუნიტეტს, რაც მისი სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს.²⁴

საერთაშორისო საჯარო სამართლის საბჭოთა დოქტრინა სახელმწიფოს „აბსოლუტური“ იმუნიტეტის პრინციპს აღიარებდა. მასში იგულისხმებოდა სხვა სახელმწიფოს სასამართლოსადმი დაუქვემდებარებლობა, როცა სახელმწიფოს სარჩელს წარუდგენდნენ უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირები. ეს მაშინ, როცა მრავალი მოწინავე სახელმწიფო ე. წ. „ფუნქციონალური“ ანუ „შეზღუდული“ იმუნიტეტის პრინციპის მომხრეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო, ამყარებს რა კომერციულ ურთიერთობებს სამეურნეო სუბიექტებთან, პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე.²⁵

სახელმწიფოს იმუნიტეტის კონცეფციამ ასახვა პოვა საინვესტიციო დავების განხილვის მექანიზმის შექმნისას. კერძოდ, ვაშინგტონის კონვენცია იზიარებს სახელმწიფოს აბსოლუტური იმუნიტეტის კონცეფციას.

სდსც, ისევე, როგორც ნებისმიერი ინსტიტუციური არბიტრაჟი, უშუალოდ ივიტონ დავას არ იზილავს — ის ადგენს შუამავლებად ან არბიტრაჟებად მისაღები პირების ან კვალიფიციური სპეციალისტების სიებს, ხოლო განხილვისას თავისი ორგანოების მეშვეობით სხვა სახის დახმარებებსაც უწევს მხარეებს.

ცენტრის ძირითადი ორგანოებია ადმინისტრაციული საბჭო და სამდივნო. ადმინისტრაციული საბჭო შედგება კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფოს თითო წარმომადგენლისაგან. საბჭოს თავმჯდომარედ ex officio (ანუ თანამდებობის მიხედვით) ითვლება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის პრეზიდენტი. საბჭო ამტკიცებს სამომრიგებლო და საარბიტრაჟო პროცედურის რეგლამენტებს. სამდივნო ირჩევა ადმინისტრაციული საბჭოს ძიერ და მას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი.

სამდივნოში დგება შუამავლების და არბიტრების სიები. თითოეულ წევრს სახელმწიფოს უფლება აქვს სიაში შეიყვანოს 4 პირი, ამასთან, აუცილებელი არაა ეს პირები საკუთარი მოქალაქეები იყვნენ. ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ყოველ სიაში წარადგინოს 10 კაცი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქენი არიან. პირები, რომლებიც შეყვანილნი არიან სიაში, უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით, აგრეთვე მაღალი კვალიფიკაციით სამართლის, კომერციის, ეკონომიკის და ფინანსების სფეროებში. სიები დგება 6 წლით.²⁶ ამგვარი წესით „აგებული“ არბიტრაჟის გადაწყვეტილება იძენს იურიდიულ ძალას²⁷ და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის.²⁸

24 იხ. გ. კ. დმიტრიევას დასახ. ნაშრომი, გვ. 73-74.

25 М. М. Богуславский. Иностраннные инвестиции: правовое регулирование. М., 1996, с. 205.

26 იხ. გ. კ. დმიტრიევას დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

27 К. Шмиттгофф. Экспорт: право и практика международной торговли. М., 1993 г., с. 354.

28 ზოგიერთი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ მისი კანონმდებლობა საინვესტიციო დავისას სდსც-დმი მიმართვას ითვალისწინებს, მაინც არ ჩქარობს საკითხის ამგვარი წესით გადაწყვეტას. მაგალითად, 1974 წელს იამაიკამ უარი თქვა დახმარებისათვის მიემართა ცენტრისათვის უცხოური ბოქსიტის მალარობის ხელში ჩაგდების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე ინვესტორები და იამაიკის მთავრობა შეთანხმდნენ დავის შემთხვევაში ცენტრისათვის მიემართათ. (იხ. Джон Д. Дениелс, Ли Х. Радеба. Международныи бизнес. Внешняя среда и деловые операции. (Пер. с английского). М., 1994 г., с. 411).




საპირაან კომპანიამ

საზღვაო ნავსადგომთა საზოგადოებრივი (პორტუგალი) სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაზარალების გამოძიების მეთოდების საკითხები

სახელმწიფო ქონების დაზარალება, გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობ-
ლად შემცირდა, მაგრამ ასეთი არგუმენტებით ამ კატეგორიის დანაშაულის
წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას არავითარი გამართლება არ აქვს. ამასთან,
გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც თუ იშვიათად სახელმწიფო, საზოგადო თუ სხვა-
განსხვავებული სახის ქონების დაზარალებას ადგილი აქვთ საზღვაო ნავსადგურებში. ეს
გასაგებიც არის, რადგან საქართველოსათვის გადმოგზავნილი სამრეწველო თუ
სასურსათო საქონელი, ძირითადად, შემოდის საზღვაო სადგურებში და სწორედ
აქ ხდება დიდი ოდენობით დაზარალება.

ჩვენს მიერ გაანალიზებული სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის მასა-
ლები ნათლად მეტყველებენ, რომ საგამოძიებო და საპროკურორო დარგის მუ-
შაკები მთელ რიგ საქმეებს საკმაოდ არაკვალიფიციურად იძიებენ. საკმაოდ
შთაბეჭდავია დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნება ან შეწყვეტა უკვე აღ-
რული სისხლის სამართლის საქმეებისა. აღნიშნული კატეგორიის საქმეთა უხა-
რისხოდ გამოძიებისას ძირითადი მიზეზი არის საგამოძიებო მოქმედებათა არა-
ეფექტიანად ჩატარება; ასევე ვერსიათა შემოწმების მეთოდების არასრულყოფი-
ლად წარმართვა, მაშინ, როდესაც დაზარალების გახსნა და დამნაშავეთა გამო-
ძიება სწორედ კრიმინალისტიკური ტექნიკის მიერ შემუშავებული ღონის-
ძიების სწორად და დროულად გამოყენებაზე არის დამოკიდებული. ყოველი სის-
ხლის სამართლის საქმის გამოძიების ეფექტიანად წარმართვა განპირობებულია
საგამოძიებო მოქმედებათა და პროცესუალურ მოთხოვნათა სწორად გამოყენე-
ბაზე. ამდენად, საზღვაო ნავსადგურებში სახელმწიფო თუ საზოგადო ქონების
დაზარალების საქმეთა გამოძიების დროს, საგამოძიებო მეთოდების სრულყოფა
დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა. მითუმეტეს, რომ კრიმინალის-
ტიკურ ლიტერატურაში საზღვაო პორტებში ქონების დაზარალების მეთოდო-
ლოგიასა და აღმოჩენის მეთოდებს შესწავლილი და დამუშავებული. მაშინ, როცა ქონების და-
ზარალებას ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც
საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავენ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამო-
ძიების მეთოდოლოგიას. გამოძიების მეთოდების თავისებურებანი მდგომარეობს სა-
ზღვაო სადგურებში თანამდებობის პირთა უფლებამოსილებათა სპეციფიკურობა-
ში. ასევე იმ დასაქმებულ ინდივიდებზედაც, რომლებიც არ არიან თანამდებობის
პირები, მაგრამ ასრულებენ საქონლის გადმოტვირთვას, შენახვას, დახარისხე-



ბას, რკინიგზის თუ ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ა. შ. გარდა აღნიშნულისა უცხო სახელმწიფოებიდან მიღებული პროდუქციის გადმოტვირთვა, დახარისხება და გაგზავნა ხდება განსაკუთრებული წესით, რომელიც დარეგულირებულია სპეციალური დებულებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიება ორი გარემოების გამო იძენს უაღრესად დიდ მნიშვნელობას: პირველი, საქართველოს საზღვაო სადგურებში შემოდის არა მარტო საქართველოსათვის განკუთვნილი მატერიალური ფასეულობანი, არამედ ამიერკავკასიის სახელმწიფოთათვის განკუთვნილი პროდუქცია (სახელშეკრულებო თუ ჰუმანიტარული დახმარების სახით) და ცხადია, რომ ყოველი დატაცებული პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია უცხო სახელმწიფოებისათვის, საქართველოს სახელმწიფო ავტორიტეტის, მისი საერთაშორისო პრესტიჟის შემლახავი მოქმედებაც არის. მეორე ის, რომ სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა იყო და არის სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. აქედან გამომდინარე, გვინდა შევხვოთ საზღვაო პორტებში სახელმწიფო თუ სხვა სახის ქონების დატაცების გამოძიების მეთოდის ზოგად ტაქტიკურ და ტექნიკურ მოქმედებებს.

საზღვაო სადგურებში განხორციელებული ქონების დატაცების საქმეთა გამოძიების მეთოდის, კერძოდ, ტაქტიკა და ტექნიკა თავისი ხასიათით, სპეციფიკურობით განსხვავებულია სხვა სფეროებში გამოვლენილი ქონების დატაცებისა და გამოძიების მეთოდისაგან იმით, რომ დამტაცებლებად, ძირითადად, გვევლინებიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ საზღვაო სადგურებში და ასრულებენ საპასუხისმგებლო მოვალეობებს, გვევლინებიან მატერიალურ პასუხისმგებელ პირებად. გარდა აღნიშნულისა, გამოძიების მეთოდის (ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების) სწორად წარმართვას განაპირობებს საზღვაო სადგურებში სხვადასხვა სახის პროდუქციის მიღება, შენახვის და გადაზიდვის სპეციფიკური წესი, რაც მდგომარეობს ნავსადგურში შემოსული, გადმოტვირთული და დროებით დაბინავებული პროდუქციის სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტაციის შედგენის თავისებურებაში და სადგურის თანამდებობის პირების უფლებამოსილებათა თავისებურებებში. ყველა ეს სპეციფიკური თავისებურებანი განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედებათა შინაარსს და ხასიათს, მიმართულს არა მარტო დატაცების ფაქტის გამოსავლენად, არამედ დატაცების ხერხის, მისი კვალის დაფარვის და იმ ხელშემწყობი პირობების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, რომლებიც გარანტი იქნება მსგავსი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

ყოველივე ამის ცოდნა საშუალებას მისცემს გამოძიებელს, რათა სწორი გზით წარმართოს დანაშაულის გახსნა, დამნაშავეთა გამოძიება და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ნავსადგურებში არსებული დოკუმენტაციის შედგენის და ანგარიშსწორების წესის ცოდნა გარანტიანია იმისა, რომ გამოძიებელმა შესძლოს სწორად გადაწყვიტოს რევიზიის თუ ექსპერტიზის დანიშვნის, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის შედეგების შეფასების საკითხი. როგორც ამ კატეგორიის საქმეთა საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, გამოძიებლები ყოველთვის არ ითვალისწინებენ იმ თავისებურებებს, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა მსჯელობა, რის შედეგადაც ხდება საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნება. უფრო მეტიც, მთელი რიგი დატაცების ფაქტები წლების განმავლობაში გაუხსნელია, რის გამოც დამტაცებელთა ჯგუფები რჩებიან გამოუვლენელნი და დაუსჯელნი.

საგამომიებო მოქმედებათა ცუდი ხარისხი, შედეგია ასევე იმისაც, რომ განმომიებლები სათანადოდ არ ეცნობიან საზღვაო სადგურებში არსებულ ინსტრუქციასა და დებულებათა შესწავლას. გამომიებელმა, რომელმაც არ იცის თუ როგორ უნდა მოხდეს თვითეული ცალკეული ოპერაციის დოკუმენტურად გაფორმება, როგორ უნდა წარიმართოს შემოწმება და რევიზია ცალკეული ოპერაციისა, რაც დაკავშირებულია მიღებული ან გასაგზავნი პროდუქციის ტრანსპორტირებასთან, ცხადია, ასეთ შემთხვევაში იგი ცდილობს არ გასცდეს პირველად სარევიზიო მასალებს, დაეყრდნოს მას და ამის შედეგად გააკეთოს დასკვნა. ასეთ მიდგომას კი გამომიება მიჰყავს მცდარი გზით, რის შედეგადაც მიღებული ე. წ. „მტკიცებულებანი“, მათ შორის მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებებიც; გამომიებლის მიერ ფასდება არაკრიტიკულად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენებებს ვერ უპირისპირებს იმ დოკუმენტებისა და ოპერაციების შედეგის სავალდებულო წესებს, რომელთა დარღვევამაც ხელი შეუწყო და განაპირობა დატაცება. საზღვაო სადგურში პირველადი დოკუმენტაციის, ჩატარებული სარევიზიო აქტების გულდასმით შემოწმება წარმოუდგენელია თუ გამომიებელი წინასწარ არ გაეცნო იმ წესსა და თავისებურებას, რაც ახასიათებს არამც თუ საერთოდ საზღვაო-სანაოსნო სადგურის მუშაობას, არამედ იმ ცალკეული სამეურნეო წარმოების სფეროს, ცალკეული სამეურნეო თუ საფინანსო ოპერაციის წესსა და ფორმას, რომელთა განხორციელებაც რეგულირდება დებულებით ან წესდებით და არა მიღებული პრაქტიკით, რაც ხშირ შემთხვევაში თვით დამნაშავე პირთა მიერ ინერგება პროდუქციის მიღება-გაცემის თუ ანგარიშგების პროცესში.

საზღვაო პორტებში სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ფირმების პროდუქციის დატაცებათა გამოსავლენად, გამომიებლებს, არც თუ იშვიათად, უხდებათ სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა. გამომიებელი, რომელიც არ იცნობს საზღვაო პორტში არსებული პროდუქციის აღრიცხვის და დოკუმენტაციის შედეგის წესებს და პირობებს, ცხადად ვერ დაუსვამს ექსპერტს იმ კითხვებს, რომლებიც ნათელს მოჰფენდა დატაცების ფაქტს და დამნაშავეთა გამომჟღავნებას. უმთავრესად სწორედ ამის შედეგია, რომ გამომიება ვერ დაბუღობს სრულყოფილ საექსპერტო დასკვნებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ექსპერტი ვერ გასცდება დასმულ კითხვას, ნათელი ხდება გამომიებლის მიერ კითხვის შედეგის მნიშვნელობა.

ზემო ნათქვამიდან გამომდინარე, საზღვაო ნავსადგომებში ტვირთის მიღება-ცადაზიდვის თავისებურებათა გამოყენებით ქონების დატაცება და მათი გამოვლენის ხერხები და საშუალებები მნიშვნელოვანი ამოცანაა კრიმინალისტიკისათვის.

საქართველოს საზღვაო ნავსადგომებთან სხვადასხვა სახის ტვირთების გადაზიდვას და მიღებას არეგულირებს დროებითი დებულება, რომელიც საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა 1994 წლის 31 ოქტომბერს და საქართველოს საზღვაო კოდექსი, მიღებული 1997 წლის 15 მაისს.

ამ ორი დოკუმენტით რეგულირდება საზღვაო ტვირთგადაზიდვა გამგზავნი ტვირთის მესაკუთრის, სატრანსპორტო ორგანიზაციების (გადამგზავნი) და სატრანსპორტო-საექსპედიციო ფირმების (ექსპედიტორების) მიერ.


ზემოთ აღნიშნულ წესდებაში მითითებულია, რომ საექსპორტო და საიმპორტო ტვირთი გადმოიტვირთება იმ დოკუმენტაციით, რომელსაც ითვალისწინებს შინაგანი სარკინიგზო ხაზი ანდა საერთაშორისო პირდაპირი გაგზავნის და გადატვირთვის წესი.

საქართველოს საზღვაო პორტები უზრუნველყოფენ გადაზავნას, დაწყობას და შენახვას ყველა საექსპორტო და საიმპორტო, ტრანზიტის ტვირთებისა ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, რომლითაც უნდა განხორციელდეს ტვირთის გადაზიდვა, მიღება, შენახვა და შემდგომი ტრანსპორტირება, არის ხელშეკრულება. მაგალითად, ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ აუცილებლად უნდა შედგეს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება. აღნიშნულ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, როგორც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც საზღვაო პორტში აღმოჩენილი სხვადასხვა პროდუქცია, აღრიცხული არ აღმოჩნდა საზღვაო ნავსადგურის სახმელეთო ან საზღვაო აკვატორიის სპეციალურ აღმრიცხველ ჟურნალებში. პორტის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს კი განუცხადებიათ, რომ ამ ტვირთის გადაზიდვა საზღვაოსნო ხომალდებით უნდა განხორციელდებოდა. გამოძიებლისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ საზღვაო სანაოსნო აკვატორიაში ან სახმელეთო ტერიტორიაზე, საწყობში, სადგომში და ა. შ. არავითარი ტვირთი არ შეიტანება, თუ ამის შესახებ არ არის ნებართვა ან წინასწარ დადებული ხელშეკრულება ტვირთის შენახვისა და გადაზიდვის შესახებ. 1997 წლის ოქტომბერში ბათუმის საზღვაო პორტში გამოვლინდა 10 ტონა შაქრის ფხვნილის მეტობა, რომელიც არსად აღრიცხული არ იყო და სად უნდა გაგზავნილიყო ან საიდან იყო შემოსული დოკუმენტალური გაფორმება ამას ვერ ადასტურებდა.

ასეთი შემთხვევები მოწმობს, რომ აღურიცხავი პროდუქცია დატაცებულია ან ზედმეტობის გზით შექმნილი. გამოძიებელმა, რომელიც მოწოდებულია გამოავლინოს დატაცების ფაქტი და წარმართოს გამოძიება, დამნაშავეთა დასადგენად უნდა იცოდეს არა მარტო სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, არამედ ფლობდეს საქართველოს საზღვაო კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს და მოთხოვნებს. მაგალითად, საზღვაო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ არის წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ტვირთის გადამზიდავი ან დამფრახტველი ვალდებულია იღებს, გადაზიდოს ტვირთი და ჩააბაროს იგი მიმღებს, ხოლო გამგზავნი ან დამფრახტველი კისრულობსა გადაზიდვის ღირებულების გადახდას. ამდენად, აღნიშნული წესის ცოდნა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც გამოძიებელს საშუალება ექნება დაადგინოს, ერთი მხრივ, მიმღები და გამგზავნი და ამავე დროს შეამოწმოს მიღების კანონიერება, კერძოდ, გადახდილია თუ არა გადაზიდვის ღირებულება. ღირებულების გადახდის დადგენა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც, ხშირად ბოროტმოქმედი აფორმებს გადაზიდვის ხელშეკრულებას თითქმის ყველა რეკვიზიტის შევსებით, მაგრამ გადაზიდვის ხარჯებს არ იხდის იმის იმედით, რომ ეს მხარე არამნიშვნელოვნად მიაჩნიათ. მართლაც და თუ გამოძიებელი შემოიფარგლა მხოლოდ ხელშეკრულების არსებობით, ცხადია, გამოვლენილი ვერ იქნება დატაცების ფაქტი და დამნაშავენი.

გამოძიებელმა უნდა დაადგინოს, რომ ხელშეკრულებაში ანუ როგორც მას საზღვაო სამართალში უწოდებენ — „ჩარტერში“ აღნიშნული უნდა იყოს ყველა ძირითადი რეკვიზიტი — მხარეების და ტვირთის დასახელება; დატვირთვის და დანიშნულების ნავსადგურებში (გემის მოძრაობის მიმართულება), გადაზიდვის ღირებულება (ფრახტი), მხარეთა ძირითადი მოვალეობები და გადაზიდვის პირობები;

ჩარტერს ხელს უნდა აწერდნენ დამფრახტველი და დამფრახტველი ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები.



ყველა ეს რეკვიზიტი მეტად მნიშვნელოვანია და რომელიმეს არ არსებობა დაუშვებელია. ამიტომ გამომძიებელი გამოავლენს ამ წესიდან გადახვევას, საჭიროა ამის მიზეზის გამოვლენა და დადგენა. გამომძიებლისათვის აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ტვირთის გადაზიდვის და მიღების პირობები განსაზღვრულია „კონოსამენტი“¹ ან „საზღვაო ზედნადებით“. კონოსამენტის წარდგენისას გადამზიდველი ვალდებულია გასცეს ტვირთი (იხ. საქართველოს საზღვაო კოდექსის 119-ე მუხლი).

ამდენად, ტვირთის გადაზიდვას და მიღებას შორის სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება კონოსამენტით ან საზღვაო ზედნადებით და სხვა არგუმენტები და განცხადებები, რომლებსაც არც თუ იშვიათად იშველიებენ საზღვაო პორტის პასუხისმგებელი პირები, გამორიცხული უნდა იყოს.

გამომძიებელმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ტვირთის გემზე მიღების შემდეგ გადამზიდავი ვალდებულია ტვირთის გამგზავნს გადასცეს კონოსამენტი ან საზღვაო ზედნადები — ეს დამადასტურებელი იქნება იმისა, რომ გადამზიდავმა მიიღო კონოსამენტში მითითებული ტვირთი. ამას შემთხვევით როდი გაესვა ხაზი — საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხშირად საქმეთა გამომძიება ჭიანჭურდება, ანდა საქმის შემდგომი გამომძიება წყდება იმ მოტივით, რომ საზღვაო პორტით ტვირთის გამგზავნი (დოკი) — საწყობის პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ ესა თუ ის ხარისხის, ან სახის პროდუქცია საწყობში ან შესანახ ამბარებში არ აღმოჩნდა იმ „უბრალო მიზეზით“, რომ ის „გადატვირთული“ იქნა გემზე და გაიგზავნა სხვა ქვეყანაში.

ასეთი შემთხვევების არსებობისას, გადატვირთვის პორტის საწყობის გამგეს, ან მეკუჭნავეს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციის (ტვირთის) გადაზიდვას, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გადამზიდავის მიერ გაცემული კონოსამენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი თავის მართლების მოტივი (ბრალდების მოსახსნელად) გამომძიებამ მიუღებლად უნდა მიიჩნიოს. უკიდურეს შემთხვევებში, გამომძიებელი ტელეფონოგრამებით აზუსტებს აღნიშნული სახის განცხადებას. ასეთი პრაქტიკა მიუღებელია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, რადგან ხშირად გადამზიდავი გემის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, ადასტურებს ტვირთის (პროდუქციის) მიღების რიცხვს, თვეს, საათს, მაგრამ ვერ უთითებს რაოდენობას, ზომას, წონას და ხარისხს. მაშინ, როდესაც გამომძიებლისათვის აუცილებელია სწორედ წონის და ხარისხის დადგენა. სასამართლო და საგამომძიებო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ ზემოთ აღნიშნული მოტივებით 1998 წლის პირველ და მეორე კვარტლის განმავლობაში 4 სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, ხოლო 2 საქმე შეჩერებული იქნა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სულ, აღნიშნული ორი კვარტლის განმავლობაში აღძრული იყო ცხრა სისხლის სამართლის საქმე, ცხადი გახდება ამ კატეგორიის საქმეთა გამომძიების სრულყოფილად წარმართვის აუცილებლობა.

1. კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

მურთაზ ბაღრაძე

საინფორმაციო სისტემები სამართალდამცავ ორგანიზაციებში

კომპიუტერული სისტემების დანერგვამ სამართალდამცავ ორგანიზაციებში უნდა უზრუნველყოს დიდი მოცულობის ინფორმაციის დროულად დამუშავება, სასჯელის მოხდის ადგილებში დამნაშავეთა დაცვის ორგანიზაციის სრულყოფა, სასამართლო ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ოპერატიულობა და ობიექტურობა, საზოგადოების სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება, სასამართლო დოკუმენტების ფორმირების, შენახვისა და გამოყენების სრულყოფა.

დამნაშავეთა დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს დამნაშავეთა დაცვის ორგანიზაციისათვის საჭირო დანახარჯების შემცირებას, დამნაშავეთა დაცვის ორგანიზაციისათვის და მისი ოჯახის წევრების უწყვეტი კონტაქტების ორგანიზაციას, ეფექტიანი და პერსპექტიულია დამნაშავეთა შინა პატიმრობის ორგანიზაცია სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებისა და პერსონალური კომპიუტერის გამოყენების საფუძველზე. ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში (2, გვ. 75). როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოკვლევები მოწმობენ, შინაპატიმრობის კონტროლისათვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ღირებულება ერთ დამნაშავეზე გაანგარიშებით არ აღემატება ხუთ ამერიკულ დოლარს დღე-ღამეში, მაშინ, როცა ციხის სტაციონარებში ერთი პატიმრის შენახვა დღე-ღამეში ჯდება 50 ამერიკული დოლარი. შინა პატიმრობის ორგანიზაცია ხელს უწყობს დამნაშავეთა დაცვის გამოსწორებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახალბედა დამნაშავე საშიში რეციდივისტების ზეგავლენისაგან დაცულია. დამტკიცებულია, რომ შინაპატიმრობის დროის გასვლის შემდეგ დამნაშავეთა აღნიშნული კონტინგენტი გაცილებით ნაკლებად სჩადის განმეორებით დანაშაულს, ვიდრე მისჯილი ვადის ციხეში სრულად გატარების შემთხვევაში. გარდა აღნიშნულისა, პატიმრობის ორგანიზაციას ის დადებითი მომენტი გააჩნია, რომ დანგრევას გადაურჩება მრავალი ოჯახი, იგი დადებითად იმოქმედებს დამნაშავეთა ბავშვების აღზრდის პროცესზე. შინაპატიმრობის კონტროლის ორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს ორ რეჟიმში: პროგრამული კონტაქტურით და უწყვეტით.

პროგრამულ-კონტაქტური მეთოდის გამოყენებისას კომპიუტერული მეთვალყურეობის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სამაჯურს, რომელიც დამნაშავეს უკეთდება ხელზე ან ტანზე, რადიო მიმღებსა და პერსონალურ კომპიუტერს, რომელიც დამონტაჟებულია დამნაშავეთა სახლში და სამართალდამცავ ორგანიზაციებში. წინასწარ შედგენილი პროგრამის მეშვეობით პერსონალური კომპიუტერი გარკვეული დროის შუალედებში დამნაშავეს სახლში უგზავნის სატელეფონო გამოძახებას. დამ-




ნაშავე ვალდებულია ყურმილის ადებით დაამტკიცოს მისი ადგილზე ყოფნის ფაქტი და მიიტანოს სამაჯური რადიოგადამცემთან ახლოს. სამაჯურში ჩამონტაჟებულია რადიოგადამცემი. აღნიშნული რადიოგადამცემისა და სატელეფონო არხის საშუალებით წარმოებს ინფორმაციის გადაცემა სამართალდამცავ ორგანოებში მოთავსებულ პერსონალურ კომპიუტერში. სამაჯურის წონა არის 16 გრამი. იგი ჰერმეტიკულად არის დახურული და წყალგაუმტარია.

უწყვეტი კონტროლის მეთოდის გამოყენებისას სარგებლობენ ზემოთ აღნიშნული სამაჯურით, რომელშიც ჩამონტაჟებულია აკუმულიატორი და რომლის დამუხტვაც წარმოებს სამაჯურის გაუხსნელად. გარდა სამაჯურისა, ამ შემთხვევაში გამოიყენება რადიომიმღები, რომელიც მიერთებულია სატელეფონო აპარატთან. რადიომიმღები აკონტროლებს უწყვეტ იმპულსურ სიგნალებს, რომელსაც გამოსცემს რადიოგადამცემი, მისი შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად, სატელეფონო ხაზით საგანგაშო სიგნალი გადაეცემა პოლიციის განყოფილებას.

დღეისათვის, როცა საქართველოში დიდია კანონდამრღვევთა რაოდენობა, და როცა თითქმის შეუძლებელი ხდება დამნაშავეთა ციხეებში მათი სათანადოდ შენახვის ორგანიზაცია და, რაც მთავარია, აუცილებელი ხდება საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში ახალბედა დამნაშავეთა იზოლირება რეციდივისტებისაგან, აუცილებელია ვიფიქროთ დამნაშავეთა შინაპატიმრობის ორგანიზაციაზე. შინაპატიმრობის სტატუსით შეიძლება ისარგებლონ გარდა საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დამნაშავეებისა, მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილმა პატიმრებმა. შინაპატიმრობის დაცვის ელექტრონული სისტემები საწყის ეტაპზე შეიძლება შეიქმნას საქართველოს დიდ ქალაქებში. მაგ., თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ზუგდიდში და ა. შ. შინაპატიმრობის ორგანიზაციის აღნიშნულმა სისტემამ შეიძლება დიდი მატერიალური და მორალური სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას.

ქვეყანაში მიღებული სამართლებრივ-ნორმატიული დოკუმენტებით სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლის მიერ სარგებლობის მიზნით, პერსონალური კომპიუტერების გამოყენების საფუძველზე, მიზანშეწონილია შეიქმნას იურიდიულ-საცნობარო ინფორმაციული სისტემა. აღნიშნულ საცნობარო იურიდიულ სისტემაში სრულად უნდა აისახოს ქვეყნის საკანონმდებლო, სააღმსრულებლო და სასამართლო ორგანოების მიერ დამტკიცებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რათა შესაძლებელი იყოს ნებისმიერი დოკუმენტის ეფექტიანი მოძებნა და საცნობარო ინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზის ოპერატიული განახლება. ამ იურიდიული საცნობარო ინფორმაციული სისტემის მსგავსი და შედარებით სრულყოფილი იურიდიული საცნობარო ინფორმაციული სისტემა შემუშავებულია რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში იურიდიულ საინფორმაციო სააგენტოს Interzalex-ის მიერ. აღნიშნულ სისტემაში მომხმარებელს შეუძლია მოძებნოს მისთვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის მოძებნა შეიძლება განხორციელდეს დოკუმენტის დასახელების, მისი ნომრისა და დამტკიცების თარიღის მიხედვით. ხოლო, როცა მომხმარებელმა ზუსტად არ იცის დოკუმენტის დასახელება და ნომერი, მაშინ სისტემა „სანავიგაციო საშუალებით“ თანდათანობით ახდენს მის დაზუსტებას. ეს სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს ბუნებრივი ენის გამოყენების საფუძველზე მოძებნოს მისთვის საჭირო ინფორმაცია სიტყვა გასაღების მიხედვით. აღნიშნული სისტემა მუდმივად იმყოფება მუშა მდგომარეობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ცვლილება კანონმდებლობაში, შემოსული ინფორმაციის წყაროდან, მაშინვე აისახება ბაზაში. ასეთი სისტემა უნდა მოემსახუროს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელს: პროფესიონალ იურისტს: კანონმდებელს, ადვოკატს, მოსამართლეს, ნოტარიუსს და, საერთოდ, ყველას. ამ სისტემით შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა დო-



ნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა: ბუღალტრებმა, ეკონომისტებმა, მენეჯერებმა, სა-
 აუდიტო კომპანიების ექსპერტებმა და ყველა იმ სპეციალისტმა, რომლებსაც თავი
 ანთ საქმიანობაში ესაჭიროებათ გამოიყენონ სამართლებრივი ინფორმაცია. მესამე
 კატეგორიას მიეკუთვნებიან ის მომხმარებლები, რომლებიც უშუალოდ არ არიან
 დაკავშირებული იურიდიულ საქმიანობასთან, თუმცა მათ წინაშე ხშირად წამოიჭ-
 რება ხოლმე საკითხები სამართლებრივ სფეროდან. ასეთი სახის მომხმარებელს, ძი-
 რითადად, ესაჭიროება არა უშუალოდ კანონი, არამედ მისი განმარტება, კომენტა-
 რი. ასეთი კომენტარის საფუძველზე მოცემული კანონი გასაგები ხდება ფართო მა-
 სებისათვის.

იურიდიული საცნობარო ინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზაში ცვლი-
 ლებების შეტანა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წესით: ოპტიკური დისკოს — CD
 ROM-ით, დისკების პაკეტების ან ტელესაკომუნიკაციო არხებით.

მონაცემთა ბაზაში არსებული ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე მომ-
 ხმარებელს აღნიშნული სისტემის მეშვეობით უნდა შეეძლოს შეიმუშაოს ახალი დო-
 კუმენტი. კომპიუტერული ტექნიკის საფუძველზე საცნობარო სისტემები უნდა შე-
 იქმნას ქვეყნის თითოეული რაიონის სამართალდამცავ და ცენტრალურ სასამართლო
 ორგანოებში. აღნიშნული სისტემა წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული ლოკა-
 ლური ქსელის სახით, რომელშიც გაერთიანდებიან სხვადასხვა ფუნქციონალური და-
 ნიშნულების ავტომატიზებული სამუშაო ადგილები (მოსამართლის, პროკურორის,
 გამომძიებლის, კანცელარიის თანამშრომლის და ა. შ.). აღნიშნული ლოკალური
 ქსელები უნდა გაერთიანდნენ სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების გლობ-
 ბალურ ქსელში. ლოკალური ქსელები უნდა შეიქმნას სასჯელის მოხდის ადგილებში.
 სამართალდამცავი ადგილობრივი ორგანოების ლოკალური ქსელის მონაცემთა ბაზა-
 ში ასახული უნდა იყოს რაიონში არსებულ დამნაშავეთა შესახებ სრული ინფორმა-
 ცია (მათი გვარი, სახელი, მამის სახელი, ფოტოსურათები, ხელის ანაბეჭდები, და-
 ბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ჩადენილი დანა-
 შაული, განაჩენი და ა. შ.).

კომპიუტერული სისტემების დანერგვა სამართალდამცავ ორგანოებში აამალ-
 ლებს ამ ორგანოების მუშაობის ხარისხს, დანაშაულთა პროფილაქტიკას, გახსნისა და
 გამოტანილი განაჩენის სამართლიანობას.

უმალლესი სასამართლოს დონეზე შექმნილი იურიდიული საცნობარო ინფორ-
 მაციული სისტემა ხელს შეუწყობს შესაბამის ორგანოებს განსახილველად შემოსუ-
 ლი საქმეების შესრულების ოპერატიული კონტროლის განხორციელებას.

განოყენებული ლიტერატურა:

1. Аглицкий Д. С., Любченко С. А., Компьютер в офисе и дома, М—
 ИНФРА, М., 1997.
2. Батурин Ю. М., Жодинский А. М., Компьютерная преступность и ком-
 пютёрная безопасность, М., Юрид. лит., 1991.



ახთანდელ თავეზაჲე

დანაშაულის შესახებ მიღებული სწოგების შემონახვა და სისხლის სამართლის საქმის აღკვერა მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ

სისხლის სამართლის საქმის აღკვერისა და მასზე გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიმართებაში მოკვლევის ორგანოსა და მოკვლევით პირის უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომლითაც მიზანშეწონილად მიჩნეული პოლიციის ორგანოების განთავისუფლება სისხლის სამართლის საქმის აღკვერის უფლებამოსილებისაგან ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა წარმოება.

შემოაღნიშნულმა შეხედულებამ, მართალია, ფართო აღიარება ვერ მოიპოვა და იგი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პოზიციის საწინააღმდეგო და პრაქტიკისათვის მიუღებელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი შეხედულების ანარეკლი და გავლენა ჩვენს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსაც ემჩნევა, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მასში თანმიმდევრულად არ არის გადმოცემული მოკვლევის ორგანოებისა და მოკვლევით პირის უფლებამოსილებანი სისხლის სამართლის საქმის აღკვერის საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, საქართველოს ახალი სისხლის საპროცესო კოდექსში მოკვლევის ორგანოებისათვის, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის, ამ მნიშვნელოვანი უფლების მინიჭება რატომღაც სათანადო თანმიმდევრობით არაა ჩამოყალიბებული და მიმართებით მასში ვხვდებით ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმეორის გამომრიცხველ გარემოებებზე მათითებებს. ამიტომ გადავწყვიტეთ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე გამეშუქებინა პოლიციის, როგორც მოკვლევის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოს და მასში მომუშავე მოკვლევებისა და აგრეთვე გამოძიებლის როლი და უფლებამოსილება მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ მიღებული მასალების შემოწმებისა და დანაშაულის ნიშნების გამოვლინების, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის აღკვერაში.

1 შ. ფაფიაშვილი, პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღკვერა, თბ., 1978.



მოცემული საკითხის უკეთ წარმოჩინების მიზნით ჯერ შევეცდები ეს საკითხი განვიხილო საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თვალთახედვით და შემდეგ, ან მის პარალელურად, შევჩერდეთ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების რეგლამენტაციაზე.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება მოქმედი სსსკ-ით მოკვლევის ორგანოებისათვის მინიჭებულია არა მარტო დანაშაულის ნიშნების უშუალო გამოვლინების შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა მათ მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ. აგრეთვე მათ ევალებათ მიიღონ სათანადო ზომები დანაშაულის ჩამდენ პირთა დასადგენად და დასასჯელად, დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან ასაცილებლად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსსკ მე-3 მუხლში ნათქვამია: „სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძვრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მიიღონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დანაშაულის ჩადენაში დაძნელებული პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად“. უფრო მეტიც, სსსკ 118-ე მუხლი მოკვლევის ორგანოებს პირდაპირ ავალებს, რომ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე აღძვრან სისხლის სამართლის საქმე და მასზე ჩაატარონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები „დანაშაულის ნიშნების და დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად“. ამასთან მოკვლევის ორგანო უფლებამოსილია მოსამართლის სანქციით მოახდინოს ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, ფარული კინო და ფოტოგადაღება, კავშირგაბმულობის ტექნიკური არხიდან მიიღოს ინფორმაცია საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც სათანადო წესით შემოწმების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად.

მოსამართლის ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში კი, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საჭირო ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ზემოაღნიშნული სახის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის სანქციის გარეშეც მოკვლევის ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით. იქვე მითითებულია იმაზეც, თუ მოკვლევის ორგანომ რა უნდა გააკეთოს ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლებზეც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, ამასთან დაკავშირებით იმავე მუხლში ნათქვამია: „თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამო წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა, მოკვლევის ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და ხელმძღვანელობს რა ამ კოდექსის წესებით, აწარმოებს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს დანაშაულის კვალის დასადგენად და განსამტკიცებლად: დათვალიერებას, ჩხრეკას, ამოღებას, შემოწმებას, ეჭვმიტანილთა დაკავებას და დაკითხვას, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვას“. იმავე დროს, მოკვლევის ორგანო ვალდებულია აღმოჩენილი დანაშაულისა და დაწყებული მოკვლევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს.

მაშასადამე, მოქმედი სსსკ-ით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლების მქონე სუბიექტად მიჩნეულია არა მომკვლევი პირი, არამედ მოკვლევის ორგანო და ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს არა მომკვლევს, არამედ მოკვლევის ორგანოს. თუმცა სსსკ 112-ე მუხლი კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტზე, როცა სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და საფუძველი, გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლესთან ერთად კანონი მომკვლევ პირსაც ავალებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანას.

მოცემული საკითხი კიდევ უფრო გაფანტულად და არასტაბილურადაა ჩამოყალიბებული საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული წესისაგან განსხვავებით, საქართველოს ახალი სსსკ-ით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სუბიექტად მიჩნეულია, როგორც მოკვლევის ორგანო, ისე მომკვლევნი პირი.

საქართველოს ახალი სსსკ-ის 22-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებამოსილ სუბიექტად აღიარებულია მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე. თითქოს ეს უნდა იყოს ამომწურავი, მაგრამ მომდევნო სსსკ-ის 261-ე მუხლში, რომელიც ეხება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოვალეობას, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ასეთ უფლებამოსილ პირთა შორის მომკვლევთან ერთად მოხსენიებულია მოკვლევის ორგანოც. სსსკ 65-ე მუხლში კი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოკვლევის ორგანოების ამოცანები, მომკვლევნი პირი საერთოდ მოხსენიებულიც არაა. კერძოდ, საქართველოს სსსკ 22-ე მუხლის თანახმად „დანაშაულის ნიშნების არსებობისას სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს მომკვლევნი, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე“. სსსკ 261-ე მუხლში კი ნათქვამია : „დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში მომკვლევნი, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე“. რაც შეეხება მოსამართლეს, იგი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებამოსილ სუბიექტად მიჩნეულია მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეებზე.

მოქმედი სსსკ-საგან განსხვავებით, ახალი სსსკ-ით თითქოს გაფართოვდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა წრე. რადგან მათ რიცხვს დაემატა მომკვლევნი პირი, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ევემოთ დავინახავთ, ეს ასე არაა. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე და 261-ე მუხლებში მომკვლევნი პირი მოხსენიებულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლებამოსილ პირად, მაგრამ სსსკ-ის შემდგომი მუხლებით ამ მიმართებით მისი უფლება საერთოდ იგნორირებულია.

საქართველოს ახალი სსსკ 65-ე მუხლის თანახმად მოკვლევის ორგანოები დანაშაულის ნიშნებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, მიიღონ ყველა ზომა, რაც საჭიროა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, პროკურორის თანხმობით აღძრან სისხლის სამართლის საქმე და კანონით დადგენილი წესით ჩაატარონ თავდაპირველი საგამომძიებო მოქმედებები გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემამდე. იმავე მუხლით დადგენილია ისიც, თუ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მოკვლევის ორგანომ რა ვადებში უნდა გადასცეს გამომძიებელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი საპროცესო კანონმდებლობით მოკვლევის ორგანო და მომკვლევნი პირი აყვანილია გამომძიებლის რანგში ამ უკანასკნელისთვის მინიჭებული გამომძიებლისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი უფლებების გამოკლებით. კერძოდ, სსსკ 67-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით მოკვლევის ორგანოს და მომკვლევ პირს თავდაპირველი საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიმართებაში მინიჭებული აქვთ გამომძიებლის სტატუსი, მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რატომღაც მომკვლევ პირს გამომძიებლისაგან განსხვავებით უფლება არა აქვს დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ აღძრას სისხლის სამართლის საქმე მაშინაც კი, როცა მან უშუალოდ თავისი



სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოავლინა დანაშაულის ნიშნები. ასეთ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად მიიღოს სათანადო ზომები და ყოველივე ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელს, რადგან ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს მოკვლევის ორგანოს და არა მომკვლევ პირს. იგი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან თავი შეიკავოს მის აღძვრაზე და მომკვლევ პირს მისცეს შესაბამისი მითითებები.

მომკვლევ პირთან შედარებით, მოკვლევის ორგანოს ეს უპირატესი უფლება პირდაპირ რეგლამენტირებულია სსსკ 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმად „დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, საქმის აღძვრაზე უარის თქმის, საქმის წარმოების შეჩერების, საქმის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელმა და იგი უნდა დაამტკიცოს პროკურორმა. ასევე, სსსკ 65-ე მუხლის მე-7 პუნქტში ნათქვამია: „იმისათვის, რომ მოკვლევის ორგანომ აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს თავდაპირველი მოქმედება, საჭიროა პროკურორის თანხმობა“.

სსსკ 261-ე მუხლში კი მითითებულია: „დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში მომკვლევი, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე“. ასევე, სსსკ 267-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გამოაქვს მომკვლევ პირს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: ამ მუხლების ასეთი რედაქცია წინააღმდეგობაში ხომ არაა სსსკ ზემოაღნიშნული 167-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების რედაქციასთან, სადაც მოკვლევის ორგანო და მომკვლევი პირი თავისი უფლებამოსილებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიმართებაში გათანაბრებულია გამომძიებლის სტატუსთან? ასევე, იგი წინააღმდეგობაში ხომ არაა სსსკ 22-ე მუხლის რედაქციასთან, რომლითაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება მინიჭებული აქვს არა მოკვლევის ორგანოს, არამედ მომკვლევ პირს?

ვფიქრობთ, აქ არა მარტო წინააღმდეგობა, არამედ აშკარა შეუსაბამობაცაა. სწორედ ასეთ შემთხვევაზე იტყვიან: მარცხენამ არ იცის რას აკეთებს მარჯვენაო. თუ მომკვლევ პირს მივანიჭებთ გამომძიებლის სტატუსს, რომელიც სსსკ 59-ე მუხლის „ა“ პუნქტით უფლებამოსილია „აღძრას“ სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვას მის აღძვრაზე, ცხადია, ეს უფლება მომკვლევ პირზეც უნდა გავრცელდეს. მით უმეტეს, რომ სსსკ 22-ე მუხლში მოკვლევის ორგანო, როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლების მქონე, საერთოდ არაა მოხსენიებული. მასში მითითებულია მხოლოდ მომკვლევ პირზე და არა მოკვლევის ორგანოზე. ვფიქრობთ, ამ ცნებების ასე ერთიმეორეში არევა არ შეიძლება. ჩემი აზრით, ეს კანონის სერიოზული ხარვეზია და დროულად უნდა გამოსწორდეს.

რაც შეეხება მომკვლევის წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითების შესრულების სავალდებულობას, იგი სწორია და შეკამათებას არ იწვევს. ამასთან დაკავშირებით სსსკ 67-ე მუხლის მე-6 პუნქტში მართებულადაა აღნიშნული, რომ „თუ მომკვლევი არ ეთანხმება მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითებას, მას უფლება აქვს

ნიმართოს ზედამხედველ პროკურორს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითება, ხოლო მასალები ან საქმე წინასწარი გამოძიებისათვის გადასცეს სხვა მომკვლევს ან გამოძიებელს“.

ისევე, როგორც მოქმედი, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც მოკვლევის ორგანოებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შსს მოკვლევის ორგანოებს, მაგრამ გვეჩვენება რომ მის მიმართ აქაც გარკვეულ შეზღუდვას აქვს ადგილი, რადგან სსსკ 66-ე მუხლით შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკვლევის ორგანოებში მიჩნეულია მხოლოდ შსს ისეთი ორგანოები და ქვედანაყოფები, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი მოკვლევის საწარმოებლად ყველა დანაშაულის საქმეზე, გარდა მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა. მოქმედი სსსკ-ის 117 მუხლში კი მხოლოდ ზოგადადაა მოხსენიებული „პოლიცია“, როგორც მოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო. გვეჩვენება, რომ ახალ სსსკ-ში მოკვლევის ორგანოებისა და მომკვლევ პირთა წრე სრულიად უსაფუძვლოდაა შემცირებული. ჩვენი აზრით, საჭიროა მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება მიენიჭოს აგრეთვე მომკვლევ პირებსაც, ამასთან დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს იმ პირთა წრე, რომლებიც შსს თანამშრომელთაგან უნდა ჩაითვალოს მომკვლევ პირებად.

დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ მიღებული ცნობების წინასწარი შემოწმება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, საჭიროა ჩატარდეს თითქმის ყველა კატეგორიის საქმეებზე, რათა დაერწმუნდეთ მათში მითითებულ ქმედობას ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი და იგი შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს და ამით მოვამზადოთ და დავადგინოთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო კანონიერი საბაბისა და საფუძველის არსებობა.

საქართველოს სსსკ 265-ე მუხლით რეგლამენტირებულია დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული ცნობის განხილვის ზოგადი წესი. ამასთან კანონმდებელი გვთავაზობს, რომ ამგვარი ინფორმაციის, განცხადების ან მასალის ნაცვლად გამოვიყენოთ სიტყვა „ცნობები“, რაც, ჩვენი აზრით, მთლად მოხერხებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული ცნობა ანუ განცხადება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი. იმ შემთხვევაში, როცა მიღებულია ზეპირი განცხადება ან ცნობა, მისმა მიმღებმა პირმა ამის შესახებ საჭიროა შეადგინოს ოქმი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს ცნობის მომწოდებელმა პირმა და მისმა მიმღებმა თანამდებობის პირმა. ამასთან უნდა გაირკვეს ცნობების მომწოდებელი პირის ვინაობა, მისი საცხოვრებელი ადგილი, ასაკი და სხვა ანკეტური მონაცემები. თუ დადგინდება, რომ ამგვარი განცხადების ანუ ცნობის მომწოდებელი პირი არის თექვსმეტ (16) წელს მიღწეული, მაშინ იგი უნდა გაფრთხილდეს და ხელწერილი ჩამოერთვას ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადებისა და მცდელობის შესახებ მიღებული ცნობების განხილვა-შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის საკითხის გადაწყვეტა მოქმედი სსსკ-ით უნდა მოხდეს 10 დღის ვადაში, ხოლო თუ პირი დაკავებულია ეჭვმიტანილის სახით მაშინ ცნობები იმ პირისა და მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა შემოწმდეს და სისხლის სამართლის საქმე აღიძრას დაუყოვნებლივ დაკავებიდან არა უმეტეს 24 საათის განმავლობაში, ხოლო თუ ეჭვმიტანილი სახეზე არ გვყავს, მაშინ ასეთი პირველადი ცნობების შემოწმება ახალი სსსკ რეკომენდებულია მოხ-



დეს არასაპროცესო მეთოდებით და შემოწმების ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს შვიდ დღეს.

დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შესამოწმებლად ახსნა-განმარტებების მიღებისა და დოკუმენტების გამოთხოვის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული ისეთი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა: ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

პროკურორის ან შინაგან საქმეთა პოლიციის ორგანოებში შემოსული პირველადი მასალების ანუ ცნობების მიღება-განხილვას, როგორც წესი, აწარმოებენ ამ ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, მაგრამ ზოგჯერ ასეთი ცნობების განხილვა-შემოწმება შეიძლება მოახდინოს უშუალოდ მომკვლევმა პირმა ან გამომძიებელმაც, თუკი ასეთ ცნობებს პირდაპირი კავშირი აქვს მათ წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმესთან, მაგრამ მათ ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობონ თავიანთ ზემდგომ შესაბამის თანამდებობის პირს.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომლითაც თითქოს პოლიციის ორგანოებს უფლება არა აქვთ შემოსულ განცხადებებსა და ცნობებზე ჩაატარონ წინასწარი შესამოწმებელი ღონისძიებები. ასეთი მოსაზრება არასწორია და მას ვერ გავიზიარებთ, რადგან მოკვლევის ორგანოების ეს უფლება პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს ახალი სსსკ 65-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც, როგორც აღვნიშნეთ, „დანაშაულის ნიშნებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად მოკვლევის ორგანოები ატარებენ საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს“. მათ შორის, მოსამართლის სანქციით, ფარულ ვიდეო და აუდიოჩანაწერს, ფარულ კინო და ვიდეოგადაღებას, კავშირგაბმულობის ტექნიკური არხიდან ინფორმაციის მიღებას იმ ფაქტობრივი მონაცემების მოსაპოვებლად, რომლებიც სსსკ-ით დადგენილი წესით შემოწმების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების მისაღებად. უფრო მეტიც, კანონით მოკვლევის ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ღონისძიება, რაც საჭიროა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კი პროკურორის ნებართვით აღძვრან სისხლის სამართლის საქმე და მასზე ჩაატარონ თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიღებული ცნობების, განცხადებების ან შეტყობინებების შემოწმებისათვის კანონით დადგენილი შვიდდღიანი ვადის გაგრძელების უფლება არავის არა აქვს. ამიტომ ამ ვადაში ან მისი გასვლისთანავე უნდა მოხდეს შემოწმებით მიღებული მასალების იურიდიული შეფასება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის შესახებ დადგენილების გამოტანა ან ასეთი ცნობების გადაცემა საგამოძიებო ან სასამართლო განსჯადობის მიხედვით. რაც შეეხება არაპროცესუალური წყაროებიდან მიღებული მონაცემების შემოწმებას, რომელიც წმინდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით წარმოებს, ჩვენი აზრით, მათზე არ უნდა გავრცელდეს შემოწმებისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შვიდდღიანი ვადა, რადგან ასეთ დროს ოპერატიული მუშაკები, მიღებული სიგნალების შესამოწმებლად თავიანთ საქმიანობას წარმართავენ იმ მიმართებით, რომ წინასწარი გამოძიებისათვის შექმნან მაქსიმალურად ეფექტიანი პირობები და არ დაკმაყოფილდნენ მარტოოდენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის საჭირო საფუძველის არსებობის დადგენით.



„სინდისის და რელიგიის თავისუფლება“ — ინდივიდში პიროვნების განმპირობებელი ერთ-ერთი ბუნებრივი უფლება

სამართლებრივი კულტურის დონეს თითოეულ ქვეყანაში, უპირველესად, განსაზღვრავს კულტურის ამ ფენომენის — სამართლის მეშვეობით მიღწეული ასეთი წონასწორობა სახელმწიფოსა და ადამიანებს შორის, როდესაც უზრუნველყოფილია თითოეული ინდივიდის სამართალსუბიექტურობის რეალურობა, რაც მას პიროვნებად წოდების უფლებას ანიჭებს. პიროვნება, სამართლებრივი გაგებით, უფლება-თავისუფლებების მესაკუთრე ადამიანია. („პიროვნებას“ შემდეგში მხოლოდ ამ დატვირთვით მოვიხსენიებთ). ეს არის სახელმწიფოში ნებისმიერი ადამიანისათვის ელემენტარულად კომფორტული მდგომარეობის აუცილებელი პირობა. ყოველი მათგანი უნდა იყოს პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივად ის არარაობაა. ამიტომაც დღეს მხოლოდ ისეთ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივ სახელმწიფოდ არსებობა-აღიარებაზე საფუძვლიანი პრეტენზია, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ინდივიდთა პიროვნულობას.

დღეს, როდესაც საყოველთაოდ გაზრდილია ზრუნვა თითოეული ადამიანის შემთხვევაში პიროვნების რეალურად შეგრძნების მიღწევაზე და ასეთი მდგომარეობის სტაბილურობაზე, ამის უზრუნველყოფელი სამართლებრივი მექანიზმების უზარმაზარ კომპლექსში ჩონჩხს ქმნის ისეთი ელემენტარული დონე, როგორცაა, შიდასახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთა შორის დონეზე უფლება-თავისუფლების ფართო სპექტრის აბსოლუტური მოცულობით აღიარება, საკანონმდებლო ფიქსაცია, რაც დღეს პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს და მეორე — თითოეული ამ უფლების, მისი ნამდვილი შინაარსობრივი დატვირთვით მართებულად გაგება, გააზრება, სწორი ინტერპრეტაცია, რათა თითოეულმა ადამიანმა გაითავისოს, თუ რა სიკეთის მესაკუთრეა ის — სახელმწიფოსაგან პიროვნებად აღიარებული და პრაქტიკულად რას იძლევა ამ სიკეთის მესაკუთრეობა.

ამჯერად ვისაუბრებთ მხოლოდ სინდისის და რელიგიის თავისუფლებაზე, როგორც ყოველ ადამიანში პიროვნების განმპირობებელ ერთ-ერთ ბუნებრივ უფლებაზე.

ადამიანის ძირითადი, ფუნდამენტური, გაუსხვისებელი უფლებების საკანონმდებლო წესით დეკლარირება ამერიკაში რევოლუციური გზით სვლის შედეგია. მანამდე არსად, არც ერთი სახელმწიფო არ ცნობდა ადამიანის მიერ ასეთი უფლებების თანდაყოლილ მესაკუთრეობას. ბუნებრივია, ადამიანის პრე-

ტენზიაც პიროვნებაზე არარეალური იქნებოდა. სინდისი და რელიგიის თავისუფლება იყო ერთ-ერთი იმ ძირითად უფლებებს შორის, რომლებმაც პირველებმა პოვეს საკანონმდებლო აღიარება. 1776 წლის ვირჯინიის უფლებათა დეკლარაციის მე-16 მუხლში ვკითხულობთ: სარწმუნოება, შემოქმედისადმი ჩვენი ვალდებულებები და მათი განხორციელების ხერხები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ თითოეულის (ინდივიდის) გონებით და დარწმუნებით და არავითარ შემთხვევაში — ძალით. ამიტომ ყველა ადამიანს აქვს თანასწორი უფლება თავისუფლად განახორციელოს თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებანი, რიტუალები საკუთარი სინდისის მითითებით.

ამასთან, ყველა ვალდებულია სხვებს ექცეოდეს ქრისტიანული ღმობიერებით, სიყვარულით და მოწყალებით.

სინდისის და რელიგიის თავისუფლების თანდაყოლილ და გაუსხვისებელ უფლებად აღიარება საფუძველშივე განსაზღვრა ბრაუნიზმმა და ოდნავ მოგვიანებით კონგრეციონალიზმმა. კონგრეციონალიზმის ძირითადი საწყისები იყო: სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრული გამოყოფა და ცალკეული ერთობის ავტონომია; შეუზღუდავი სასულიერო თვითმმართველობის უფლება, რომელიც ხორციელდება ხალხის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე.

სარწმუნოების სფეროში ასეთი ინდივიდუალიზმის მიღწევის პრაქტიკული შედეგია:

1. ადამიანთა სამართლიანი პრეტენზია სინდისის და რელიგიის თავისუფლების აღიარებაზე; 2. იმის მტკიცება, რომ ეს არის ადამიანის თანდაყოლილი და გაუსხვისებელი უფლება და არა რომელიმე მიწიერი ხელისუფლების მიერ ნაბოძები. ამიტომ ის, როგორც თავისთავადი და ბუნებრივი, არ შეიძლება რაიმენაირად შეიზღუდოს ამ უკანასკნელის მიერ.

საინტერესოა, სინდისის და რელიგიის თავისუფლების არსის ფორმირებისა და შესაბამისად, მისი საკანონმდებლო ფიქსაციის პროცესი ამერიკულ კოლონიებში.

1629 წელს პურიტანებმა მასაჩუსეტსში დააფუძნეს კოლონია სალემი. ისინი მკაცრად ექცეოდნენ ყველას, ვინც არ ეთანხმებოდა მათ საეკლესიო სწავლებას. 1631 წელს მასაჩუსეტსში ჩავიდა ინდეპენდენტი — უილიამსი, რომელიც ჭადაგებდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის აუცილებლობას. ამასთან, მოითხოვდა სარწმუნოების ხელშეუხებლობის დაცვას არა მხოლოდ ქრისტიანების მიმართ, არამედ მუსულმანებისა და კერპთაყვანისმცემლების მიმართაც. ყველა მათგანს უნდა ესარგებლა ერთნაირი სამოქალაქო და პოლიტიკური შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა და გაძლიერება არ გულისხმობდა ერთი რომელიმე სარწმუნოების გაბატონებას, მასთან სხვა რწმენის თანაარსებობის შესაძლებლობის უგულებელყოფას და ასეთი რწმენის რაიმენაირად შეზღუდვას, დევნას ან დასჯას.

უილიამსის აზრით, სარწმუნოების არჩევა სინდისის საკითხია, სინდისი კი თითოეული ადამიანის პირადი სამყაროს კუთვნილებაა, რომელზეც სახელმწიფოს ხელი არ მიუწვდება. მართალია, უილიამსი ამისათვის დევნილ იქნა, მაგრამ სინდისის თავისუფლების აღიარების და ამით სახელმწიფოსაგან ხელშეუხებლობის იდეა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

კონექტიკუტისთვის გამოცემულ „ძირითად კანონებში“ (კონექტიკუტი 1683 წელს დააარსეს მასაჩუსეტსიდან განდევნილმა პირებმა) კონექტიკუტის დამაარსებლები აცხადებდნენ, რომ ისინი ერთიანდებოდნენ საზოგადოებრივ კავშირში „ღვთის სიტყვის განსახორციელებლად, რათა შეინარჩუნონ ევანგელის



თავისუფლად ქადაგების შესაძლებლობა, დადგენილი საეკლესიო წესრიგი, სა-
მოქალაქო საკითხებში კი დაემორჩინონ კანონის ნებას“.

სარწმუნოების თავისუფლების თანდაყოლილი უფლება ოფიციალურად განმტკიცდა როდ აილენდის 1647 წლის დებულებაში, უფრო მოგვიანებით კი სიგელში, რომელიც 1663 წელს კარლოს I-მა უბოძა როდ აილენდისა და პროვიდენსის კოლონიებს. ამ აქტებით დადგინდა, რომ მომავალში კოლონიებში არავინ არ უნდა შეიზღუდოს, დაისაჯოს ან გადაეცეს სასამართლოს ძირითადი რელიგიური შეხედულებებისაგან განდგომის გამო, ყველა ადამიანი ყველა დროში უნდა სარგებლობდეს სინდისის სრული თავისუფლებით, ოღონდ ერთი პირობით — მათ უნდა დაიცვან მშვიდობა და ეს თავისუფლება არ გამოიყენონ ბოროტმოქმედების ჩასადენად ან სხვათა შეურაცხყოფისათვის. ევროპაში ასეთი საწყისები თავს იჩენს პრუსიაში — ფრიდრიხ დიდის დროს.

ძალზე საინტერესო დოკუმენტია ლოკის მიერ ჩრდილოეთ კაროლინისათვის შემუშავებული კონსტიტუცია (ის ძალაში შევიდა 1669 წელს), რომლის თანახმად ნებადართული იყო რაიმე რელიგიური ერთობის ან ეკლესიის დაფუძნება, თუ ამის მსურველი იქნებოდა ერთი სარწმუნოების შვიდი წარმომადგენელი მაინც. რელიგიის სფეროში ნებისმიერი სახის იძულება იკრძალებოდა, თუმცა ერთი პირობა დაცული უნდა ყოფილიყო: 17 წლის ასაკის მიღწევისას ყოველ მოქალაქეს უნდა განეცხადებინა, თუ რომელ რელიგიურ ერთობაში გაწევრიანების სურვილი ჰქონდა მას და შესაბამისად, უნდა ჩაწერილიყო ერთ-ერთ მათგანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რჩებოდა კანონით დაცვის გარეშე. კონსტიტუცია კრძალავდა ნებისმიერ ქმედებას, მიმართულს რომელიმე რელიგიური ერთობის საწინააღმდეგოდ. ლოკმა ამ კონსტიტუციით სინდისის თავისუფლება ცნო ყველაზე ძირითად, სხვა უფლებებზე უპირატეს უფლებად.

სხვა კოლონიებიდან, რომლებმაც აღიარეს რწმენის თავისუფლება, აღსანიშნავია ნიუ-ჯერსი (1664 წ.) და ნიუ-იორკი (1665 წ.).

ამდენად, სინდისის და რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის ბუნებრივი და გაუსხვისებელი, სახელმწიფოსაგან ხელშეუხებელი და არა მის მიერ ნაბოძები უფლება, მეტ-ნაკლები მოცულობით აღიარებულ იქნა ცალკეული კოლონიების კონსტიტუციური კანონებით. ეს იყო პირველი გაბედული დემონსტრირება იმ იდეისა, რომ კანონი მხოლოდ უფლებამოსილია აღიაროს ეს უფლება და ამით უზრუნველყოს მისი რეალობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს მისი რეალიზაციისათვის რომელიმე კონკრეტული მიმართულების განსაზღვრა.

ნიშანდობლივია, რომ ეს ბუნებრივი უფლება იმავდროულად თავისუფლებაა, რაც ყველა უფლების ხვედრი არ არის. ყველა თავისუფლება აუცილებლად უფლებაა, მაგრამ ყველა უფლება თავისუფლება არ არის.

უფლებას და თავისუფლებას შორის განსხვავების გაცნობიერებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ იურიდიული შესაძლებლობა — უფლება და იურიდიული შესაძლებლობა — თავისუფლება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებულ შინაარსს და ფარგლებს საზღვრავს, მათ შორის წონასწორობის დაცვის განსხვავებულ ნიშანსებზე აკეთებს აქცენტს. კერძოდ, უფლებისა და თავისუფლების განსხვავებულ შინაარსს განსაზღვრავს თითოეული მათგანისადმი სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულების არსი, უფრო ზუსტად კი, მისი გამოხატვის ფორმა. უფლების განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო პიროვნების; არამედ სახელმწიფოს აქტიურობაზეც, ანუ სახელმწიფო ვალდებულია, რაღაც გააკეთოს რომელიმე კონკრეტულ უფლებად აღიარებული იურიდიული შესაძლებლობის

რელიზაციისათვის, მაშინ, როდესაც თავისუფლება გულისხმობს პირის იური-
დიულ შესაძლებლობას, იყოს თავისუფალი სახელმწიფოსაგან, რასაც უზრუნ-
ველყოფს სახელმწიფოს ჩაურევლობა ამ თავისუფლებაში. ანუ ასეთ შემთხვე-
ვაში, სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან.

სინდისის და რელიგიის თავისუფლებით სარგებლობისას პიროვნების სა-
~~სახელმწიფო~~ თავისუფლების არსის გაცნობიერებისთვის და ასეთი თავი-
სუფლების რეალურად მაღალი ხარისხით უზრუნველყოფისათვის, ~~ლექტორი~~
უნდა განისაზღვროს ამ უფლების შინაარსი, თუ რა უფლებრივი კომპონენტე-
ბისაგან შედგება იგი, ანუ რომელი, როგორი და რა მოცულობის იურიდიული
შესაძლებლობების ფარგლებში აქვს თითოეულ მოქალაქეს თავისი ნების დაკონ-
კრეტების უფლება.

თავიდანვე სწორი ორიენტაციისათვის აუცილებელია ამ თავისუფლების
სახელწოდების სწორი ფორმულირება. ეს უკანასკნელი იურიდიულ ლიტერა-
ტურაში სხვადასხვა სახით გვხვდება, რაც თავის მხრივ, უფლების არსის
სრულყოფილების ხარისხს განსხვავებულად განსაზღვრავს. ერთ შემთხვევაში
ის მოიხსენიება „აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებად“ ან უბრა-
ლოდ — „სინდისის, აღმსარებლობის და რელიგიის თავისუფლებად“. გვხვდება
ასევე, მხოლოდ „რელიგიის თავისუფლება“, „სინდისის თავისუფლება“, „რწმე-
ნის თავისუფლება“ ანდა „კულტის თავისუფლება“. ყველაზე სრულყოფილად
და საკმარისად ამ უფლების შინაარსს განსაზღვრავს „სინდისის და რელიგი-
ის თავისუფლება“, რომელიც უფრო მოცულობითია, ვიდრე მხოლოდ „რელი-
გიის თავისუფლება“ და მით უფრო, „კულტის თავისუფლება“. ამასთან, ტერ-
მინით — „აღმსარებლობის თავისუფლება“ — სახელწოდების გაფართოება,
ვფიქრობთ, ხელოვნურია, რამეთუ „აღმსარებლობის თავისუფლება“ აზრობრი-
ვად თავისთავად ჯდება „რელიგიის თავისუფლებაში“, როგორც ამ უფლების
პრაქტიკულად გამოხატვის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი (ამაში ქვე-
მოთ დავრწმუნდებით, აღნიშნული უფლების არსის განმარტებისას).

რაც შეეხება სახელწოდებას „სინდისის და რელიგიის თავისუფლება“, აქ-
აც იბადება კითხვა — ეს ორი უფლების — სინდისის თავისუფლების და რე-
ლიგიის თავისუფლების გამაერთიანებელი ტერმინია, თუ ერთი თავისუფლების
არსის ტერმინოლოგიურ დონეზე სრულყოფილად გამოხატვის საშუალება? თუ
პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ უნდა მოინახოს არსებითი განსხვა-
ვება „სინდისის თავისუფლებასა“ და „რელიგიის თავისუფლებას“, როგორც
ორ სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ უფლებას შორის; მეორე შემ-
თხვევაში კი, უნდა გავამართლოთ მოცემულ სახელწოდებაში ორივე ტერმინის,
როგორც ერთი უფლების განმსაზღვრელის, არსებობის აუცილებლობა. მაგა-
ლითად, ლ. ჭანტურია სინდისის თავისუფლებისა და რელიგიის თავისუფლების
ერთი და იგივე უფლებად აღიარებას საბჭოური კონსტიტუციების ერთ-ერთ სი-
მახინჯედ მიიჩნევს, სინდისის თავისუფლებას კი განმარტავს, როგორც უფლე-
ბას, რომელიც გულისხმობს, რომ „არავინ არ შეიძლება საკუთარი სინდისის
წინააღმდეგ იარაღით ხელში საბრძოლველად იქნეს იძულებული“.

სახელწოდების და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დავეყრდ-
ნოთ თავად უფლების არსს. ის გულისხმობს ყველა ადამიანის ერთნაირ შე-
საძლებლობას, სწამდეს ან იწამოს ესა თუ ის რელიგია ან მრწამსი (რწმენა)
თავისი შეხედულებით, ან არ იწამოს არც ერთი, ანუ სურვილისამებრ აირჩიოს
ესა თუ ის რელიგია ან რწმენა, შეიცვალოს ის, ან თავიდანვე უარი თქვას ნე-
ბისმიერი მათგანის მიღებაზე. ასევე, იქადაგოს თავისი რელიგია ან მრწამსი

ინდივიდუალურად, ან სხვებთან ერთად, შეასრულოს რელიგიური რიტუალი, ეწეოდეს ღვთისმსახურებას და ასწავლიდეს მოძღვრებას ღმერთის შესახებ, ასევე — ამა თუ იმ რელიგიური კულტის თავისუფლებას. ყველაფერი ეს, ზოგადად, რელიგიის თავისუფლებაა, ანუ რელიგიის სფეროსთან რაიმენაირად დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებაში ყოველი ადამიანისთვის ინდივიდუალობის, მეობის და საკუთარი სურვილის გამოხატვის შესაძლებლობაა, სულიერი ფასეულობების შერჩევის და შინაგანი სამყაროს ინდივიდუალურად ფორმირებისა და დახვეწის საშუალებაა. ამ საკითხში ნებისმიერი ქმედების ერთადერთი განმპირობებელი ადამიანის აზრი და სინდისია. აზრი იდეის საწყისია, სინდისი კი — იდეის სასურველი მიმართულებით ხორცშესხმის განსაზღვრელი, ანუ სინდისი რელიგიის სფეროში არის თავისუფლების განმპირობებელი. ზუსტად ამით არის გამართლებული სახელწოდებაც — „სინდისის და რელიგიის თავისუფლება“. როგორც ვხედავთ, მხოლოდ „რელიგიის თავისუფლება“ აღნიშნულ უფლებას რაღაც განზოგადებულ უფლებად აქცევს, რამეთუ ზუსტად სინდისი არის მისი მარეგულირებელი. თუმცა არც „სინდისის თავისუფლება“ მიუთითებს საკმარისად მოცემული უფლების არსზე, რადგან „სინდისის თავისუფლება“, როგორც ასეთი, გაცილებით ფართო ცნებაა, ის გულისხმობს ადამიანის სინდისის ძალით ქმედების წარმართვას ნებისმიერ და არა მხოლოდ რელიგიის სფეროში.

მაშასადამე, სინდისის თავისუფლების და რელიგიის თავისუფლების შინაარსობრივი იდენტურობის დაშვება ნამდვილად სიმახინჯეა, თუმცა ეს არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სახელწოდება „სინდისის და რელიგიის თავისუფლება“, ამ ორ უფლებას აერთიანებს. ვფიქრობთ, ეს ერთი თავისუფლების სახელწოდებაა, სადაც უშუალოდ ტერმინების თვალსაზრისით „სინდისის თავისუფლება“ და „რელიგიის თავისუფლება“ ბოჭავს ერთმანეთს და განსაზღვრავს კონკრეტული უფლების შინაარსს.

სიცხადისათვის განვმარტოთ სინდისის და რელიგიის თავისუფლების ცალკეული კომპონენტის არსი:

რელიგიური რიტუალების შესრულება და ღვთისმსახურების წარმოება გულისხმობს ცერემონიებს, რომლებშიც რწმენა უშუალოდ ავლენს თავს, ასევე, ღვთისმსახურების ადგილების მშენებლობას, რიტუალური საგნების გამოცენებას, სიმბოლოების დემონსტრაციას, სადღესასწაულო და დასვენების დღეების დაცვას. რელიგიური რიტუალის შესრულება და ღვთისმსახურების წარმოება შეიძლება მოიცავდეს განმასხვავებელი ტანსაცმლის, თავსაბურავის ხმარებას, სიტყვათა გარკვეული ლექსიკის გამოყენებას, საკვების რაციონის დაცვას.

ღვთისმსახურების სწავლება შეიძლება გამოიხატოს სასულიერო სემინარიებისა და რელიგიური სკოლების შექმნაში, აგრეთვე, რელიგიური შინაარსის ტექსტების და პუბლიკაციების შედგენაში, ბეჭდვაში და გავრცელებაში.

კულტის თავისუფლება გულისხმობს, რომ სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე დაუშვებს ყველა კულტსა და არც ერთ მათგანს არ გამოყოფს.

სინდისის და რელიგიის თავისუფლების არსის ბირთვს წარმოადგენს ზემოთ დასახელებული უფლებრივი კომპონენტების განხორციელებაში ადამიანის სახელმწიფოსაგან სრული თავისუფლება და შეზღუდვის დაუშვებლობა, ზუსტად ასეთი თავისუფლების მოცულობა განსაზღვრავს დასახელებული უფლებით სარგებლობის რეალობას. სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლებაში ჩაურევლობის გარანტირებისათვის ფონს თავად კანონმდებლობა ქმნის. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ალბათ, საკმარისია დავეყრდნეთ „სამოქალაქო და პოლიტიკურ

უფლებათა საერთაშორისო პაქტს“ (1966 წლის 16 დეკემბერი), სადაც მე-19 მუხლში ვკითხულობთ: „ არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი“. ამ პრინციპის მეტნაკლები მოცულობით დემონსტრირებას ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაშიც.

პრაქტიკულად, დევნამ და იძულებამ შეიძლება სხვადასხვა შინაარსი და ფორმა მიიღოს. მაგალითად, დევნა შეიძლება გამოიხატოს რელიგიის ან რწმენის ნიშნით სხვა უფლებების შეზღუდვაში, ძალადობა — რომელიმე რელიგიის ან მრწამსის არჩევანის იძულებით დაკონკრეტებაში, ამასთან, ძალადობის ფორმა შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქიური, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. მაგალითად, შვეიცარიაში „არავინ არ შეიძლება იძულებული იქნას, მონაწილეობა მიიღოს რომელიმე რელიგიურ საზოგადოებაში, გაწევრიანდეს მასში, გაიაროს რელიგიური სწავლება, განახორციელოს რომელიმე რელიგიური აქტი, ანდა რაიმენაირად დაისაჯოს რელიგიური შეხედულებისათვის“ (შვეიცარიის კონსტიტუციის 49-ე მუხლი), ბელგიის კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად კი „არავინ არ შეიძლება იძულებული იქნას, რაიმე სახით მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ აქტებში და რომელიმე კულტის ცერემონიებში ან დაიცვას მისი დასვენების დღეები“.

ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ესა თუ ის რელიგია სახელმწიფო რელიგიად ცხადდება, კანონმდებლობით ოფიციალურად აღიარებულია მისი პრივილეგირებული მდგომარეობა. მაგ., ნორვეგიაში კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია გამოცხადებულია სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად. ქვეყნის ძირითადი კანონი მოითხოვს მის მაღიარებელთაგან შთამომავლობის იმავე რწმენით აღზრდის სავალდებულობას. ასევე პირებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოფიციალურ რელიგიას, ეკრძალებათ სახელმწიფო ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება (მუხ. 27-ე).

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში, სადაც ესა თუ ის რელიგია სახელმწიფო რელიგიადაა აღიარებული და ამასთან, ის საკანონმდებლო წესით ცნობს ადამიანთა სინდისის და რელიგიის თავისუფლებას, ამ უფლებით სარგებლობის რეალურობა სათუო ხდება. ამიტომ მისი გარანტირებულობის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა, რომ უპირველეს ყოვლისა, კანონში იყოს ნაჩვენები, რამდენად გარანტირებულია იმ პიროვნების თავისუფლება, რომელსაც არ სწამს არც ერთი რელიგია ან სწამს სხვა არასახელმწიფო რელიგია და რამდენად დაცულია ადამიანი დისკრიმინაციისაგან რელიგიურ ნიადაგზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში სახელმწიფო აღიარებს რა საქართველოს ისტორიაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს, მისი ყოველგვარი პრივილეგირებულობის ნებისმიერი ფორმით ხაზგასმისა და გამოვლენის შესაძლებლობას აბათილებს იგივე მუხლში რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლებისა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის ცნობით. უფრო მეტიც, დამატებით, მე-19 მუხლით აღიარებს რა სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებას, იქვე განამტკიცებს ასეთი თავისუფლების საფუძვლებს: „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის აზრის, აღმსარებლობის და რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“.

მართალია, სინდისის და რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური აღიარება იმავდროულად გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მის დაზღვევას ნებისმიერი ფორმით შეზღუდვისგან, მაგრამ ეს გაგება არ არის აბსოლუტური. მაგალითად, ჩვენი კონსტიტუციით გათვალისწინებულია ამ თავისუფლების შე-


ზღუდვის შესაძლებლობა ერთადერთ შემთხვევაში — როდესაც მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. სინდისის და რელიგიის თავისუფლების სავალდებულო შემთხვევებში შეზღუდვის შესაძლებლობა მეტნაკლებად გაზიარებულია ცალკეული სახელმწიფოების კანონმდებლობით. მაგ., ბელგიის კონსტიტუციის მიხედვით „კულტების თავისუფლება... გარანტირებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლებებით სარგებლობა დანაშაულის სახეს იღებს“ (მუხ. მე-14). იტალიის კანონმდებელი ამ თვალსაზრისით უფრო აბსტრაქტულია: ის მოცემული უფლების შემზღუდავ ფაქტორად ასახელებს „კეთილ ზნე-ჩვეულებებს“, ანუ სინდისის და რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია, თუ მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმა არ ეწინააღმდეგება „კეთილ ზნე-ჩვეულებებს“ (მუხ. მე-19).

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო აქტების სიუხვე ზრდის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას თითოეული ადამიანის წინაშე მისი ყოველი უფლების დაცვისა და გარანტირებულობის თვალსაზრისით. სინდისის და რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებაში მადომინირებელია : 1. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (1948 წლის 10 დეკემბერი; მე-18-19 მუხლები); 2. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“ (1966 წლის 16 დეკემბერი; მუხ. მე-18); 3. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ (1950 წლის 4 ნოემბერი; მუხ. მე-9). (ეს აქტები ასევე ღირებულია სხვა ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით).

დასახელებული აქტები სინდისის და რელიგიის თავისუფლებას აღიარებენ ყველა იმ უფლებრივი კომპონენტის შემცველობით, რომლებზეც ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი. ამასთან, მათი შეზღუდვის ერთადერთი შესაძლებლობით, კერძოდ, რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით და იმდენად, რამდენადაც საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ასევე, სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

უფრო მეტად სპეციფიური ხასიათისაა დეკლარაცია „რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (1981 წლის 25 ნოემბერი), რომლის ამოსავალი დებულებებია: 1. „არავინ არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების, პირთა ჯგუფის თუ ცალკეულ პირთა მხრივ.“ (მუხ. მე-2); 2. „რელიგიის თუ მრწამსის საფუძველზე ადამიანთა დისკრიმინაცია ადამიანის პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უარყოფაა და დაიგმოება როგორც ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებით დაწვრილებით ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა, და როგორც დაბრკოლება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ და სამშვიდობო ურთიერთობათა დამყარებაში“. (მუხ. მე-3).


ამრიგად, სინდისის და რელიგიის თავისუფლების არსის და მნიშვნელობის, მისი წარმომავლობის, სახელწოდების ფორმირების გაანალიზების თუ



უფლებრივი კომპონენტების დაკონკრეტების ფონზე შევეცადეთ, კიდევ ერთხელ, ნაზი გაგვესვა მისი ღირებულებისათვის. რელიგია თუ მრწამსი თითოეულისათვის, ვინც მას მისდევს, ცხოვრების აღქმის, გაგების და მისი ინდივიდუალურად წარმართვის ერთ-ერთი შემავსებელი ელემენტია, ამიტომ ამ სიკეთეზე ადამიანის უდავო მესაკუთრეობის უფლება დაცული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 Г. Эллинск, «Декларация прав человека и гражданина», 1904, ст. 1, 86;
- 2 ლ. ჭანტურია. „ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია“, ჟ. „სამართალი“, 1993, № 5-6, გვ. 4;
- 3 ბ. სავანელი, „საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებს შესახებ“, კომენტარები, 1996, გვ. 6;
- 4 „საქართველოს კონსტიტუცია“, თბ., 1998, გვ. 6;
- 5 «Конституция буржуазных стран», том 2, М., 1936, стр. 6, 87;
- 6 ა. დემეტრაშვილი, „მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები“, თბ., 1992, გვ. 6;
- 7 „გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში“, 1995, გვ. 7, 246.



ლელა ჯანაშვილი

ესპანეთის რეგიონალიზმის ტენდენციები

ესპანეთის თანამედროვე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ფორმირების რთული გზა განვლო. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამდეგიდან ქვეყნის ადმინისტრირების ისტორია ხასიათდებოდა ცენტრალიზაციის ძლიერი ტენდენციით, რაც გარკვეულწილად ასახული იყო 1812 წლის კონსტიტუციაში და ემყარებოდა უფლებამოსილებათა აკუმულაციას ცენტრალურ ადმინისტრაციაში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პოზიციური სამართლის სისტემა ამ მოდელს მისდევდა, მუდამ არსებობდა სწრაფვა მიღწეული ყოფილიყო დეცენტრალიზაციისა და ავტონომიურობის უფრო მაღალი დონე. მე-19 საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მხრიდან, ზემოთ მითითებული, მიზნის გათვალისწინებით, არაერთხელ იყო კონსტიტუციაში სხვადასხვა ცვლილებების შეტანის მცდელობა. მძიმე პოლიტიკური კრიზისისა თუ ქვეყნის შიგნით არეულობის მიზეზით — არცერთი მათგანი არ იქნა აპრობირებული. ცენტრალიზმის წინააღმდეგ და რეგიონალიზმის სასარგებლოდ მიმართული მრავალრიცხოვანი აქციები, რომლებიც პერიოდულად იჩენდნენ თავს — იწვევდა განუწყვეტლივ დაპირისპირებას, რათა მოძებნილიყო რეგიონალური დეცენტრალიზაციის პრობლემის გადაწყვეტის გზები.¹

მე-20 საუკუნეში კონსტიტუციათა შემოთავაზებულ პროექტებს (1907, 1912, 1913, 1919, 1925) გამიზნულთ რეგიონალური ავტონომიების შექმნაზე, იგივე ბედი ეწვიათ, რაც მათ წინამორბედთ. ისინი მხოლოდ პროექტებადვე დარჩნენ.


მიუხედავად იმისა, რომ რეგიონალიზმი ყოველთვის იყო ესპანეთის ისტორიის ფუნდამენტური ელემენტი, კონკრეტულ ფორმას მან მხოლოდ 1931 წლის კონსტიტუციით მიაღწია. პირველად ქვეყნის ისტორიაში რეგიონებმა ცენტრალური სახელმწიფოდან მიიღეს ნამდვილი უფლებამოსილება, რომელთა წყალობითაც აღიარებული იქნა მათი ავტონომია.²

ესპანეთში ფაშიზმის იდეოლოგიის ხანგრძლივმა არსებობამ გარკვეული უარყოფითი როლი ითამაშა რეგიონალიზმის განვითარების აღმავლობაზე. ეროვნულ პოლიტიკაში ფაშისტური რეჟიმი არა მარტო არ აღიარებდა ესპანეთის ხალხთა ეროვნულ თავისებურებებს, არამედ მიისწრაფოდა მათი ნიველირებისათვის.

ფაშიზმის გაუქმების შემდეგ, 1978 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ესპანეთის 1808 წლის რევოლუციის შემდგომ რიგით მეთერთმეტე კონსტიტუცია. მან შეითვისა როგორც ესპანეთის კონსტიტუციური ტრადიციები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება. პრეამბულასა და პირველ მუხლებში კონსტიტუციამ გაამყარა სახელმწიფოს იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლები.

ესპანეთი ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ლინგვისტური და კულტურული თავისებურებებით. ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა მწვავე

1 Amparo Lluch Baixauli, Spains Comunicades Autonomas Wien 1991, 103.
2 Amparo Lluch Baixauli, Spaniens Comunicadadoes Autonomas, Wien, 1991, 103.



ეროვნული პრობლემები, რომლის გადაჭრაც უზრუნველყო კონსტიტუციამ ეროვნული ნიშნით ავტონომიური გაერთიანებების შექმნით. ძირითადი კანონის პრეამბულაში მითითებულია აუცილებლობა „ყველა ესპანელისა და ესპანეთის ყველა ხალხის ადამიანის უფლებათა განხორციელების, კულტურის, ტრადიციის, ენის და სხვა ინსტიტუტთა განვითარების უზრუნველსაყოფად“.

1978 წლის კონსტიტუციით ესპანეთი გახდა უნიტარული სახელმწიფო, მაგრამ ფართო ეროვნული ავტონომიებით.

ავტონომია ესპანელ კანონმდებელთა მიერ განმარტებულია როგორც კომპლექსური ცნება, რომელიც მრავალნაირ ასოციაციას იწვევს. ერთი მხრივ, მას დეცენტრალიზებულ ერთიან სახელმწიფოში იყენებენ ადმინისტრაციული ავტონომიურობის თვალსაზრისით, რათა შესაძლებელი გახდეს უბრალოდ ავტონომიების აუთარკიის განსაზღვრა; მეორე მხრივ, ავტონომიურობას უკავშირებენ ფედერალური სახელმწიფოს ფორმას, შესაბამისად — ფედერალიზმს, როგორც გვარეობით ცნებას.

ავტონომიის ესპანური ფორმა არ შეიძლება გაიგივებული იქნას არც მართივი დეცენტრალიზაციის ფორმასთან და არც ფედერალური სახელმწიფოებრივი ფორმის ელემენტებთან. დეცენტრალიზებული სახელმწიფოს რეგიონებისაგან განსხვავებით ესპანური ავტონომიური ერთეულების ავტონომია ემყარება არა მხოლოდ თვითორგანიზებას ადმინისტრაციის დონეზე, არამედ ითვალისწინებს აგრეთვე საკანონმდებლო ხელისუფლებასაც.³

ამდენად, შესაძლებელია, რომ ცნება „ავტონომია“ მოცემული იყოს ტერმინით „თვითმმართველობა“. მაგრამ ავტონომიურობა არის არა იმავდროულად დეცენტრალიზაციის უფრო მაღალი ხარისხი, არამედ განსხვავდება მისგან სწორედ იმ თვითმმართველობის ნიშნით, რომლებიც გააჩნიათ ავტონომიურ ერთეულებს.⁴

ავტონომიური ერთეულების განსხვავება ფედერალური სამართლებრივი სახელმწიფოს ფედერალური მხარებისაგან მდგომარეობს შემდეგში: როგორც წევრ-სახელმწიფოებს, ასევე ავტონომიურ ერთეულებს გააჩნიათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება. წევრ-სახელმწიფოთა შემთხვევაში ძალაუფლება თავისებური ბუნებისაა, იმ დროს, როცა ავტონომიური ერთეულები იმას ცენტრალური ძალაუფლებიდან იღებენ, ამიტომაც გააჩნიათ პირველთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ძალაუფლება განსხვავებით მეორეთაგან, რომლებიც კონსტიტუციაზე დაქვემდებარებული წესდებებით ხელმძღვანელობენ.

1. განსხვავება ნათლად დგინდება კოორდინაციის საფეხურზეც: თუ წევრ-სახელმწიფოები ცენტრთან არავითარ სუბორდინაციულ კავშირში არ იმყოფებიან, ავტონომიური ერთეულები კონსტიტუციურ-სამართლებრივად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოზე, რადგან ისინი სახელმწიფოთივე არსებობენ.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო ყოველივე ზემოხსენებულს შემდეგნაირად აფასებს: „ავტონომია შეზღუდული ძალაუფლებაა, ავტონომია არ არის სუვერენიტეტი. იგი არ შეიძლება დაუპირისპირდეს ცენტრალიზებულ სახელმწიფოს (ერთიანობას), რადგან იგი თვით არის ნაწილი ამ მთელისა. მას სწორედ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ეძლევა თავისი მნიშვნელობა“.

წევრი-სახელმწიფოთ არსებობს სახელმწიფოებრივი ნებისაგან, ერთიან ფედერალურ სახელმწიფოში ინტეგრირებისაგან დამოუკიდებლად. ავტონომიური

3 Fried Esterbauer/Peter Pernthaler „Europaisches Regionalismus am Wendepunkt— Bilanz und Ausblick“, Wien, 1991.

4 იქვე, 83-112.

ერთეულები კი იქმნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელიც არეგულირებს მათი უფლებამოსილებისა და სხვა პირობებს.⁵

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული განსხვავებანი ყურადსაღებია, ისინი მაინც დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ. კერძოდ, უფლებამოსილებათა სფერო, რომელიც ეძლევა ესპანეთის ავტონომიურ ერთეულებს, ძალზე ფართოა და შეიძლება შევადაროთ არსებულ ფედერალურ სახელმწიფოებთან. ავტონომიურ ერთეულთა მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ნების ჩამოყალიბებაში, საკანონმდებლო ინიციატივით, საკონსტიტუციო რევიზიით და მეორე პალატაში უშუალო წარმომადგენლობით წარმოსახავს ზოგიერთ ფედერალურ-სახელმწიფოებრივ პრინციპს.⁶ დაბოლოს, ესპანეთის რეგიონალური პოლიტიკის ძლიერი ბერკეტია ის, რომ ავტონომიურ ერთეულთა კანონმდებლობა არ ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლებისაგან პოლიტიკურ კონტროლს, რადგან მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განახორციელოს ავტონომიური ერთეულების საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის კონტროლი.

ესპანეთის რეგიონალური პოლიტიკის ტერიტორიული ერთეულებია მუნიციპალიტეტები, პროვინციები და ავტონომიური გაერთიანებები.

ავტონომიის უფლების განხორციელება აღიარებულია 1978 წლის კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც გარანტირებულია ეროვნული ნიშნით რეგიონთა ავტონომია.

კონსტიტუციის VIII თავის შესაბამისად, ავტონომიურ გაერთიანებათა ჩამოყალიბება შეუძლიათ ერთმანეთის მოსაზღვრე პროვინციებს, რომელთაც აქვთ ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური განვითარების საერთო თავისებურებანი, აგრეთვე კუნძულოვან ტერიტორიებსა და პროვინციებს, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან ისტორიულ ოლქს.

ავტონომიის ჩამოყალიბების ინიციატივის უფლებით გამოდის დაინტერესებული დეპუტაციის ან კუნძულთაშორისო ორგანოს ორი მესამედი იმ მუნიციპალიტეტისაგან, რომლის მოსახლეობაც თითოეული პროვინციის ან თითოეული კუნძულის საამომრჩევლო კორპუსის უმრავლესობას შეადგენს. ეს პირობა უნდა შესრულდეს 6 თვის განმავლობაში ერთ-ერთი დაინტერესებული ადგილობრივი ერთეულის მიერ პირველი რეზოლუციის მიღების შემდეგ.

ავტონომიის ჩამოყალიბების ინიციატივის წარუმატებლობის შემთხვევაში იგი არ შეიძლება განმეორდეს 5 წლის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია თავისუფლებას ანიჭებს რეგიონებს შექმნან თავიანთი ავტონომიები.

მიუხედავად ავტონომიურ გაერთიანებათა ფართო დამოუკიდებლობისა, ქვეყნის ძირითადი კანონის 145-ე მუხლის თანახმად, არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მათი ფედერაცია. ეს აქსიომა გასდევს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ავტონომიების გაერთიანებებს შორის. მაგრამ ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტიტუცია არ კრძალავს ავტონომიებს შორის ურთიერთობას. კერძოდ, შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემთხვევები და პირობები, როდესაც ავტონომიურ გაერთიანებებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ შეთანხმებები საკუთარ სამსახურთა მართვის შესახებ, რაც აუცილებლად უნდა ეცნობოს გენერალურ კორტესს, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში თანამშრომლობა ავტონომიებს შორის შეთანხმებული უნდა იყოს გენერალურ კორტესთან. თი-

5 Bericht über die Entwicklung der regionen und die regionalpolitik Spaniens, Madrid-Rom, 1989.
6 Regionen und Regionalpolitik. Änderungen und Wandel im EG-Mitgliedstaat Spanien, 115.

თოეულ ავტონომიურ გაერთიანებას აქვს თავისი წესდება (სტატუტი), მიღებული ქვეყნის პარლამენტის მიერ ორგანული კანონის გამოცემის გზით.

კონსტიტუციის ფარგლებში სტატუტი არის თითოეული ავტონომიური გაერთიანების ძირითადი ინსტიტუციონალური ნორმები და სახელმწიფო მათ აღიარებს როგორც თავისი კანონმდებლობის ნაწილს. სტატუტის პროექტს ამუშავებს ასამბლეა, რომელიც შედგება პროვინციის დეპუტაციის წევრებისაგან და გადაეცემა გენერალურ კორტესს საკანონმდებლო გზით დამტკიცებისათვის.

სტატუტი ავტონომიის შესახებ უნდა შეიცავდეს გაერთიანების დასახელებას, რომელიც გარკვეულწილად შეესაბამება მის ისტორიულ ტრადიციებს, მის ტერიტორიის საზღვრებს, ხელისუფლების ორგანოთა დასახელებასა და ორგანიზაციას, კონსტიტუციის მინიჭებულ კომპეტენციას და იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც მინიჭებული აქვთ სპეციალურ სამსახურებს ამ კომპეტენციის განხორციელებისათვის.

მხედველობაშია მისაღები, რომ ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და იგი ხებისმიერად შეიძლება განივრცოს. კონსტიტუციაში არ არის ორგანიზებული სქემა, რომელიც ერთიანად ძალაში იქნებოდა ყველა ავტონომიური ერთეულისათვის. უკვე არსებულ მრავალრიცხოვან სტატუტთა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ავტონომიური ერთეულების კონსტიტუციის ეს „დუმილი“ არავითარ უხერხულობას არ უქმნის და ისინი ზოგიერთი ნორმის არსებობას არ აიგივებენ აკრძალვასთან.⁷

სტატუტის ყველა რეფორმა ხორციელდება ისე, როგორც იგი მიიღება — გენერალური კორტესის მოწონებისა და ორგანული კანონის მიღების გზით.

ესპანეთის რეგიონალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების საკითხი. თუ გადავხედავთ ქვეყნის 1931 წლის კონსტიტუციას, დავინახავთ, რომ იგი წესდების საფუძველზე აძლევდა მათ (რეგიონებს) შესაძლებლობას, თავიანთ თავზე აეღოთ სხვადასხვა კომპეტენციათა შესრულება. აღნიშნულმა პრინციპმა მოქმედ კონსტიტუციაში სხვა გამოხატულება პოვა. ქვეყნის ძირითადი კანონის ტექსტი შეიცავს უფლებამოსილებათა ორ ნუსხას: პირველი შეიცავს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც გააჩნია ცენტრალურ სახელმწიფოს, ხოლო მეორე არის ნუსხა იმ კომპეტენტიურობისა, რომელთა საკუთარ თავზე ალებაც „შეუძლიათ“ ავტონომიურ ერთეულებს.

ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა ნუსხა მოცემულია კონსტიტუციის 149-ე მუხლში. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული მუხლი ითვალისწინებს უფლებამოსილებებს, რომლებიც სახელმწიფოს მიეკუთვნება, იგი მოიცავს აგრეთვე იმ განაწილებულ უფლებამოსილებათა პალიტრას, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ავტონომიურ ერთეულთან უნდა განახორციელოს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ 149-ე მუხლში მოცემულ უფლებამოსილებათა კლასიფიკაცია:

1. ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებანი საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობაში. ამ ჯგუფს განეკუთვნება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ფუნქციები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევათ სახელმწიფოს ერთიანობის თვალსაზრისით. კერძოდ, ესენია: მოქალაქეობა, საერთაშორისო ურთიერთობანი, ქვეყნის დაცვა, იუსტიცია, საგარეო ვაჭრობა და საბაჟო საქმე, სავალუტო სისტემა;

7 Haberle, P. Der Regionalismus als werdende Strukturprinzip des Verfassungsstaates und als europapolitische Maxime, in: Archiv des öffentlichen Rechts, 118. Band (1993), S. 3 ff.

ღალი ლოთიკაშვილი

სამართალში მიცემის, როგორც დაპოუქიდეგელი პროცესუალური სტადიის დაპოქიდეგის საკითხები

სამართალში მიცემის პროცესუალური მხარე ყოველთვის პრობლემა იყო, რადგან პროცესის ამ სტადიის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში იყო და არის შუალედური (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) წინასწარი გამოძიების დამთავრების და სასამართლოში საქმის გამოძიების დაწყებისა. პროცესის ეს სტადია იურისტ მეცნიერთა წინაშე ყოველთვის აყენებდა საკითხს, რათა ზუსტად განსაზღვრულიყო აღნიშნული ინსტიტუტის პროცესუალური ბუნება და გარკვეულიყო ადგილი სისხლის სამართლის პროცესში.

აღნიშნული საკითხისადმი მეცნიერული ინტერესი განისაზღვრებოდა იმითაც, რომ ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულიყო, სამართალში მიცემის უფლებამოსილების ფარგლებში, თუ ვის უნდა განხორციელებინა იგი, რადგან დღეისათვის ვერ ვხედავთ აუცილებლობას, ერთ შემთხვევაში ეს ფუნქცია მიეკუთვნოს საგამოძიებო კოლეგიას, ხოლო სხვა შემთხვევებში, საოლქო და უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ბრალდებულის სამართალში მიცემა იყო ერთ-ერთი აქტუალური საკითხი. აქტუალობა გამოძინარეობდა დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქტუალურია ეს საკითხი დღესაც, იმდენად, რამდენადაც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხს სხვადასხვა ორგანოს ავალებს — რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია. შეიძლება გვისაყვედუროთ და მიგვითითოთ, რომ სამართალში მიცემა რადგან სასამართლოების მიერ ხდება თავიანთ განსჯად საქმეებზე, ამიტომ ასეთის განხორციელება სავსებით სწორი და მისაღები არისო. ვიმეორებ, აღნიშნული საკითხი უდავოდ პრობლემატურია და იგი მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და მეცნიერულ დასაბუთებას.

აღნიშნული პრობლემა რომ შევაფასოთ (მხედველობაში გვაქვს ბრალდებულის სამართალში მიცემა), საჭიროდ მიგვაჩნია გავისხენოთ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსი მუშაკების ამ საკითხისადმი ინტერესი შორეულ და ახლო წარსულში. ბრალდებულის სამართალში მიცემა მრავალ ქვეყანაში ხდებოდა და ხდება სასამართლოს მიერ — არა ერთპიროვნულად არამედ კოლეგიალურად და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, პროცესის ამ სტადიაზე ხდება შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებაც.

ბრალდებულის სამართალში მიცემა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცენტრალურ საკითხთაგანი იყო სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნული საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი იყო 1902 წლის პეტერბურგის და 1903 წლის გერმანიის კრიმინალისტთა ყრილობებზე. ინგლისში კი ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის შესახებ შემოღებული იყო განსაკუთრებული საპარლამენტო ანკეტები, რომლებშიც აღნიშნული საკითხის ირგვლივ ხდებოდა პარლამენტართა მოსაზრებათა ფიქსირება. გერმანიაში შექმნილმა კომისიამ სისხლის სამართალწარმოების პროექტის განხილვის შესახებ, კერძოდ, 11-ე სხდომა სპეციალურად მიუძღვნა სამართალში მიცემის საკითხებს.

ჩამოყალიბდა ე. წ. პირის გამტყუნების შესაძლებლობის პრეზუმფცია.

ინგლისში 1848 წლის 14 აგვისტოს მიღებულმა კანონმა დაადგინა, რომ ბრალდების დასაბუთებულობა განისაზღვრებოდა მოსამართლის მიერ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი საქმის შეწყვეტისა თუ მისი „საბრალდებო ჟიურისათვის“ გადაცემის შესახებ. თუ „დიდი ჟიური“ მიიჩნევდა, რომ ბრალდება დასაბუთებული იყო, საქმე გადაეცემოდა „პატარა ჟიურის“, ხოლო ბრალდების დაუსაბუთებულობის შემთხვევაში ბრალდებულის დევნა წუდებოდა.

ინგლისური „დიდი ჟიური“ თავის სხდომებზე ისმენდა მხოლოდ ბრალდებლის და ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს. ამავე დროს თვითონ ბრალდებულს, მის დამცველს და დაცვის მოწმეებს არ ჰქონდათ სასამართლოში გამოცხადების უფლება და აქედან გამომდინარე, „დიდი ჟიურის“ საქმიანობა საბრალდებულო ხასიათს ატარებდა. ამდენად, ჩვენი აზრით, იგი იყო ცალმხრივი. სამართალში მიცემა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც 12-ვე წევრი ერთსულოვნად მიიღებდა გადაწყვეტილებას საქმეზე. მსაჯულებს ერთ ოთახში უყრიდნენ თავს და მოსამართლე მათ გამოსვლის უფლებას აძლევდა, მაშინ, როცა ისინი ერთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ან როცა მოსამართლე დარწმუნდებოდა, რომ მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღება.

აღსანიშნავია, რომ საქმეთა განხილვის მეორე — მარტივი წესი აუქმებდა სამართალში მიცემის პროცედურას „დიდი ჟიურის მეშვეობით“. მარტივი წესი მდგომარეობდა იმაში, რომ სასამართლო იბარებდა ბრალდებულს და განუმარტავდა მას ბრალდების არსს, ხოლო საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ბრალდებულს ჰქონდა უფლება, რათა აცილება განეცხადებინა მისი სამართალში მიცემის წინააღმდეგ (სხვადასხვა მოტივით), მაგ., საბრალდებო აქტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ფორმას, საქმე არ იყო მოცემული სასამართლოს განსჯადი, სახეზე არ იყო დანაშაულის ნიშნები, უკანონოდ მიაჩნდა შედგენილი „დიდი ჟიური“ და ა. შ. ამ საკითხთა მოგვარების შემდეგ სასამართლო ეკითხებოდა ბრალდებულს, სცნობდა თუ არა იგი თავს დამნაშავედ, თუ ბრალდებული აღიარებდა ბრალს, მაშინ სასამართლოს გამოჰქონდა განაჩენი. ჩვენი აზრით, ამერიკული სისხლის სამართლის პროცესი არ ატარებდა ცალმხრივ ხასიათს, განსხვავებით ინგლისური სისტემისაგან, რადგან მხედველობაში მიიღებოდა ბრალდების მტკიცებულებანი და ბრალდების მოწმეთა ჩვენებები. პროკურატურა დიდ გავლენას ახდენდა ჟიურის საქმიანობაზე. ამ სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ პროცესუალური წესები რთულ და ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ.

ამჟამად ამერიკის ზოგიერთ შტატებში სამართალში მიცემა დამოკიდებულია პროკურორზე, მის ერთპიროვნულ აზრზე. იქაც კი, სადაც „დიდი ჟიური“ კიდევ არსებობს, იგი წარმოადგენს საპროკურორო ხელისუფლების სფეროს და მისი საქმიანობა ატარებს მხოლოდ საბრალდებო ხასიათს.

ბრალდებულის სამართალში მიცემის ავსტრიული სისტემა დამყარებული იყო ე. წ. „ფაკულტატურ“ პრინციპზე: თუ ბრალდებული 8 დღის განმავლობაში, ხოლო მისი დაპატიმრების შემთხვევაში — 24 საათის განმავლობაში (საბრალდებო აქტის მიღების მომენტიდან) არ გაასაჩივრებდა მას, საქმე იგზავნებოდა სათანადო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით მისი არსებითად განხილვისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ ბრალდებულის მიერ შეტანილი იქნებოდა პროტესტი ამ ვადაში, მაშინ საქმე იგზავნება მეორე ინსტანციაში (სასამართლოში), რომელიც წარმოადგენს „საბრალდებო საკანს“, სადაც, საქმეს ამოწმებენ. ამით, საერთოდ, გამორიცხულ იქნა ბრალდებულის სამართალში მიცემის სარევიზიო პროცედურა. მეორე დამახასიათებელი ნიშანი ავსტრიული სისტემისა იყო და არის ის რომ სამართალში მიცემა ვრცელდება არა მარტო იმ საქმეებზე, რომლებიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია, არამედ იმ საქმეებზეც, რომლებიც იხილება საოლქო სასამართლოების მიერ, გარდა იმ საქმეებისა, რომელთა განხილვაც შედის უბნის მოსამართლეთა კომპეტენციაში.

რაში მდგომარეობს სამართალში მიცემის ავსტრიული სისტემის ფაკულტატური პრინციპების პოლიტიკური არსი? ჩვენი აზრით:

1. ეს წესი საკმაოდ ზღუდავს იმ საქმეთა წრეს, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სამართალში მიცემის დროს, ე. ი. იმ საქმეთა შესახებ, რომლებზედაც ბრალდებულის მიერ არაა განცხადებული პროტესტი საბრალდებო აქტის ირგვლივ. ასეთ შემთხვევაში საქმე არ გადის სამართალში მიცემის პროცედურას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს პიროვნების უფლებებსა და გარანტიებს სისხლის სამართლის პროცესში;

2. ეს წესი იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ ლახავს ბრალდებულთა ინტერესებს;

3. ამ შეზღუდვის შედეგია ის, რომ ხშირად ბრალდებული, რომელმაც ვერ აიყვანა ადვოკატი, სასამართლო სხდომაზე, ფაქტობრივად უკვე მსჯავრდებულის სახით ცხადდება, რადგან მან ვერ შეძლო თავისი მდგომარეობის გამო საწინააღმდეგო მოსაზრებების წაყენება საბრალდებო აქტთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დასაცავად. ეს კი სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებული სრულიად ეთანხმება საბრალდებო დასკვნას ანუ აქტს, და, აქედან გამომდინარე, თუ მან იგი არ გაასაჩივრა, თავს დამნაშავედ სცნობს;

4. ამ პროცედურის შემოღებით მოსალოდნელი იყო ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამით კი ყალიბდება უკვე პიროვნების დამნაშავეობის პრეზუმფცია, რაც ეწინააღმდეგება თვით ავსტრიის კანონის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ფაკულტატური პრინციპი მხოლოდ ზღუდავს ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს, უფლებებსა და მათ გარანტიებს. რაც შეეხება გერმანიას, აქ სისხლის სამართლის წარმოების წესის თანახმად, გამოძიების დამთავრების ან მოკვლევის შემდეგ, პროკურატურა გზავნის საქმეს განსჯადობის მიხედვით სასამართლოში, ხოლო მოსამართლე კი, საქმის მიღებისთანავე გადასცემს საბრალდებო აქტის ასლს ბრალდებულს და უნიშნავს მას გარკვეულ ვადას, რათა მან აღძრას შუამდგომლობა მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ჩატარების და საქმეზე სასამართლო გამოძიების დაწყების შესახებ საკმაო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში. ამ ვადის გასვლისთანავე, მიუხედავად იმისა, გაასაჩივრა თუ არა ბრალდებულმა საბრალდებო აქტი, სასამართლოს „სათათბირო საკანი“ იხილავდა ყველა საქმეს და წყვეტდა განსჯადობის საკითხს. გერმანიაში სამართალში მიცემის ორგანოს როლში გამოდიოდა არა მეორე ინსტანციის სასამართლო, არამედ პირველი ინსტანცი-

ის სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა საქმის არსებითად განხილვა. მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობდა სასამართლოს კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე.


გერმანიის სისხლის სამართალწარმოება უშვებდა „სათათბირო საკნის“ განჩინებათა გასაჩივრებას მხოლოდ საბოლოო განაჩენის გასაჩივრებასთან ერთად. ბრალდებულს არ ჰქონდა უფლება გაესაჩივრებინა ეს განჩინებანი საქმის არსებითად განხილვამდე. პროკურორს შეეძლო გაეპროტესტებინა ისინი მხოლოდ საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ მას არ ჰქონდა პროტესტის შეტანის უფლება საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების ან საბრალდებო აქტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. პირიქით, პროკურორი ვალდებული ხდებოდა შეესრულებინა სასამართლოს ყველა განკარგულება.

სამართალში მიცემის დარგში საპროცესო კანონმდებლობა, შემდეგ ძირითად მომენტებს შეიცავდა: სამართალში მიცემის ორგანო იყო არა მეორე ინსტანციის სასამართლო, არამედ ის სასამართლო, რომელიც არსებითად იხილავდა საქმეს. სამართალში მიცემის სპეციალურ პროცედურას ექვემდებარებიან მხოლოდ ის საქმეები, რომლებზეც ჩატარებულია წინასწარი გამოძიება. სამართალში მიცემის შესახებ განჩინება არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ბრალდებულის მიერ. რაც შეეხება სამართალში მიცემას ფაშისტური დიქტატურის პერიოდს, იგი ხასიათდებოდა უსამართლობით და საგანგებო სასამართლოთა ქსელის არსებობით. მაგალითად:

- სხდომები ყოველთვის დახურულ კარებს მიღმა ტარდებოდა;
- წინასწარი გამოძიება გაუქმებული იყო;
- დაცვა საერთოდ დაუშვებელი და აკრძალული იყო, ანდა მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში დაიშვებოდა და ადვოკატები მხოლოდ ფაშისტური პარტიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ;
- ყველა განაჩენი საბოლოო იყო, გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და დაუყოვნებლივ მოჰყავდათ სისრულეში.

შემდგომ, სამართალში მიცემა, როგორც დამოუკიდებელი პროცესუალური სტადია, მთლიანად გაუქმდა, ხოლო საქმეები პროკურატურის მიერ დაუყოვნებლივ გადაეცემოდა სასამართლოს ყოველგვარი შემოწმების გარეშე.

სამართალში მიცემის ინსტიტუტი რუსეთში, ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებებით. 1864 წლის 20 ნოემბრის სასამართლო დებულებით, საოლქო სასამართლოს პროკურორი წარუდგენდა სასამართლო პალატის პროკურორს საბრალდებო აქტებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე, რათა ისინი განხილულიყო „საბრალდებო საკნის“ მიერ, რომელიც დაწესებული იყო სასამართლო პალატაში. ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა გამოეტანა დადგენილება ბრალდებულის სამართალში მიცემის, საქმის წარმოებით შეწყვეტის, მისი დამატებით ძიებაში დაბრუნების ან განსჯადობის მიხედვით განხილვის შესახებ. თვითონ „საბრალდებო საკანში“ საქმეს ახსენებდა სასამართლოს წევრი — მომხსენებელი, შემდეგ კი სასამართლო პალატის პროკურორი კითხულობდა საბრალდებო დასკვნას. ბრალდებული, დამცველი და მოწმეები სასამართლო სხდომას არ ესწრებოდნენ. თუ სასამართლო პალატა მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებული შეიძლება მიცემულიყო სამართალში სხვა მოტივებით, ვიდრე ეს დადგენილი იყო წინასწარი გამოძიებით, ასეთ შემთხვევებში პალატა ვალდებული იყო საბრალდებო აქტის ნაცვლად შეედგინა თავისი განჩინება. სასამართლო პალატიდან საქმე თავისი განჩინებით პალატის პროკურორის და საოლქო სასამართლოს პროკურორის მეშვეობით იგზავნებოდა სათანადო სასამართლოში არსებითად განხილვისათვის.



საფრანგეთში სამართალში მიცემის სისტემას გააჩნდა ორი ძირითადი წესი:

1. უშუალოდ ბრალდებულის სასამართლოში მიცემა საქმის განხილვის დროს და 2. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

პირველს ადგილი ჰქონდა იმ საქმეებზე, რომლებზეც არ იყო საჭირო წინასწარი გამოძიება, ე. ი. ყველა იმ საქმეზე, რომელიც არ ითვლებოდა განსაკუთრებულ მნიშვნელოვნად და არ ითვალისწინებდა სამართალში მიცემის სპეციალურ პროცედურას, ხოლო რაც შეეხება მეორეს, იგი ხორციელდებოდა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა მძიმე დანაშაულს, წარმოებდა წინასწარი გამოძიება და საჭირო იყო სამართალში მიცემის პროცედურის ჩატარება. ეს პროცესი ტარდებოდა დიდი ჟიურის მიერ.

ჟიური შედგებოდა 8 მოქალაქისაგან, რომლებსაც ჰქონდა ვიწრო ფუნქციები, უშუალოდ დაკავშირებული სამართალში მიცემასთან, ეს ჟიური შედგებოდა უფრო „აქტიური“ მოქალაქეებისაგან. სხდომებზე ისმენდნენ მხოლოდ პროკურორის ახსნა-განმარტებებს და მოწმეთა ჩვენებებს, ხოლო რაც შეეხებოდა ბრალდებულს და მის დამცველს, ისინი ჟიურის სხდომებს არ ესწრებოდნენ. აქედან გამომდინარე, საფრანგეთში საქმეები იხილებოდა ერთპიროვნულად, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულის სამართალში მიცემის მთელ სისტემას. საყურადღებოა, რომ პროკურორის მიერ არ დგებოდა საბრალდებო დასკვნა და საქმე ამ დასკვნის გარეშე იხილებოდა „დიდი ჟიურის“ სხდომაზე. ჟიურის სხდომებიდან ბოლოს „ცოცხალი სიტყვაც“ ამოიღეს და მთელი სხდომა წარმოადგენდა მხოლოდ საქმის მასალების წაკითხვას, რის შემდგომაც გამოჰქონდათ გამამტყუნებელი განაჩენი. ეს ჟიური შემდგომ გაუქმებულ იქნა და მის მაგივრად შეიქმნა სასამართლოს მულტივი განყოფილება, ხუთი მოსამართლის მონაწილეობით, ე. ი. შეიქმნა სააპელაციო სასამართლო, რომელსაც ახასიათებდა ორი ძირითადი მომენტი; ჯერ ერთი, საქმე განსახილველად მიდიოდა სათათბირო პალატაში, ხოლო იქიდან კი — საბრალდებო პალატაში.

საფრანგეთში არსებობდა სამართალში მიცემის ორი ძირითადი სახე, რომელსაც ამ ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა:

1. როდესაც საქმეები ჩვეულებრივი დარღვევების შესახებ არ ითვალისწინებდა სპეციალურ პროცედურას და 2. თუ სახეზე იყო დანაშაული და არა დარღვევა. ასეთ შემთხვევაში საქმე იხილებოდა სპეციალური პროცედურის სასამართლოს მიერ.

საბრალდებო პალატა თათბირობდა პროკურორის და სასამართლო სხდომის მდივნის დაუსწრებლად და მას ჰქონდა უფლება გამოეთხოვა საჭირო ნივთმტკიცებულებანი პირველი ინსტანციის სასამართლოდან უმოკლეს ვადაში თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ ბრალდებულის ქმედებაში არ არის რაიმე დანაშაულებრივი დარღვევა, იგი დაუყოვნებლივ გამოიტანდა განჩინებას პირის გაგანთავისუფლების შესახებ. თუ სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ პირმა ჩაიდინა რაიმე დანაშაული და ამასთან დაკავშირებით შეკრებილი იყო საჭირო მტკიცებულებანი, მაშინ სასამართლოს გამოჰქონდა განჩინება ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. ამ განჩინების ასლი ბარდებოდა ბრალდებულს. ბრალდებული, რომლის შესახებაც გამოტანილი იყო განჩინება გათავისუფლების შესახებ, განმეორებით აღარ მიეცემოდა სამართალში იგივე ბრალდებით თუ მის წინააღმდეგ არ იქნებოდა შეკრებილი საჭირო მტკიცებულებანი.

მნელი არ არის დავინახოთ, რომ მრავალ ქვეყანაში ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხს მიიჩნევდნენ სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად.

არჩილ ლორია

მოქალაქეობის ინსტიტუტის განვითარება ისტორიულ წარსულში

მოქალაქეობის ცნება ყოველთვის დაკავშირებული იყო ქალაქში ცხოვრებასთან, ქალაქთან, რომელიც ხშირად თავისი კანონებითა და ადათ-წესებით ცხოვრობდა. სულხან-საბას ლექსიკონში მოქალაქე განმარტებულია შემდეგნაირად: „ქალაქში მყოფი: ვიეთნიმე იტყვიან მოქალაქეობითი ყოფაქცევითიცა არს და სახლის შჯულობითიცა“. მაშასადამე, სულხან-საბას მოქალაქე წარმოუდგენია როგორც ქალაქში მყოფი ისეთი პირი, რომელსაც ოჯახის ზნე-ჩვეულებები („სახლის შჯულობა“) შეგუებული აქვს ქალაქის ყოფა-ქცევისათვის, ქალაქის ადათ-წესებისათვის. ავტორი ლექსიკონში აქვე მიუთითებს, რომ მოქალაქეს პოლისი ეწოდებისო, რაც ბერძნულიდანაა აღებული, სადაც პოლიტი პოლისის, ანუ ქალაქის მცხოვრებს ნიშნავდა.


ლათინურად მოქალაქეს ეწოდება „civis“, ხოლო მოქალაქეობას „civitas“ (აქედან წარმოდგება „ცივილური სამართალიც“), მაგრამ „ცივიტას“ ეწოდებოდა არა მხოლოდ მოქალაქეობას, არამედ სახელმწიფოსაც. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ძველი სახელმწიფოები ქალაქების სახით იყო წარმოდგენილი. რომი არა მხოლოდ ქალაქი, არამედ სახელმწიფოც იყო.

ამრიგად, მოქალაქეობის ცნება უძველესი დროიდან გვხვდება, რამდენადაც უძველესი დროიდან არსებობდნენ ქალაქი — სახელმწიფოები. მოქალაქეობაც სწორედ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია თავის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების ვინაობით.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთ დაქვემდებარებულ ადამიანებს სახელმწიფოს მოქალაქეები ეწოდებოდათ, ხოლო მონარქიულ და დესპოტურ სახელმწიფოებში მათ ქვეშევრდომებს უწოდებდნენ, თუმცა მოქალაქისა და ქვეშევრდომის სამართლებრივ მდგომარეობაში განსხვავება არსებობს.

ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი სემიუელ ნოა კრამერი თავის წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან“ აღნიშნავს, რომ მსოფლიოში პირველი ორპალატიანი პარლამენტი მოუწვევიათ შუმერული ქალაქის ურუქის მოქალაქეებს უხუცესთა საბჭოსა და ქალაქის მეომარ მამაკაცთა საბჭოს სახით (ძვ. წ. III ათასწლეულში). მათ უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ — დამორჩილებოდნენ ქალაქ ქიშის ბატონობას და მშვიდობა შეენარჩუნებინათ, თუ იარაღი აეღოთ ხელში და დამოუკიდებლობა დაეცვათ. ავტორი აღნიშნავს, რომ ურუქის მეფე გილგამეში, როცა უარს მიიღებს უხუცესთა საბჭოსაგან ომის დაწყებაზე, მიმართავს ქალაქის მეომარ მამაკაცთა საკრებულოს, რომელიც თანახმა გამხდარა ბრძოლის დაწყებაზე, რაც საფუძველს აძლევდა მეფეს საომარი ოპერაციების განსახორციელებლად.¹

1. იხ. ს. ნ. კრამერი, ისტორია იწყება შუმერიდან, თბ., გამ. „ნაკადული“, 1988, გვ. 40-41.




როგორც ვხედავთ, უძველესი შუმერიდან იწყება მოქალაქეობის ცნება. ამასთან, ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ სრულასაკოვანი მამაკაცები, რასაკვირველია, არ იყო მოქალაქეობის დღევანდელი გაგება, რომელიც მოწესრიგებულია სახელმწიფოს ძირითადი და ორგანული კანონმდებლობით. მაგრამ მაშინაც მოქალაქეობის გაგება შეიცავდა იმ აუცილებელ ელემენტებს, რაც სახელმწიფოს უფლებამოსილებასთანაა დაკავშირებული — განაგრძოს თავისი ხელისუფლება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე.

მოქალაქეობის ინსტიტუტი საკმაოდ გამოკვეთილი იყო რომისა და ათენის კანონმდებლობაში. პერიკლეს კანონების თანახმად (V ს. ძველი წელთაღრიცხვით), ათენში ყველა უფლებით და პრივილეგიებით სარგებლობდნენ მხოლოდ ის მამაკაცები, რომლებიც მამითა და დედით ათენის მაცხოვრებლები იყვნენ და მოქალაქის ყველა უფლება გააჩნდათ. მოქალაქეობას იძენდნენ მხოლოდ მამაკაცები 18 წლის ასაკის მიღწევისას. ამის შემდეგ ახალგაზრდა გადიოდა სამხედრო სამსახურს ორი წლის მანძილზე, ხოლო 20 წლის ასაკიდან მას უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში. სამხედრო წვრთნის გავლის შემდეგ ათენის მოქალაქე სამხედრო ვალდებული იყო 60 წლის ასაკამდე.

ათენში სრულუფლებიანი მოქალაქეობრივი თანასწორობა არ გამოირიცხავდა მათ ფაქტობრივ უთანასწორობას განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის გამო. ათენის მოქალაქეთა ძირითად მასას კი შეადგენდა საშუალო შეძლების ადამიანები, რომელთა მიწის ნაკვეთები არ აღემატებოდა 10 ჰექტარს, ხოლო მონათა რიცხვი რამდენიმე ათეულს. ათენში ცხოვრობდნენ აგრეთვე მეტეკები (უცხოელი თავისუფალი ადამიანები), თავისუფლებამინიჭებული ადამიანები, დროებით ჩამოსული პირები (პერეგრინები), რომლებიც არ სარგებლობდნენ ათენის მოქალაქეთა უფლებებით და, რასაკვირველია, არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებაში ან დაეკავებინათ რაიმე თანამდებობა. მაგრამ გადასახადები მათ, რასაკვირველია, ეკისრებოდათ, რომლის თავის ამრიგებული მეტეკი მონად იყიდებოდა. ეს იყო ძველი საბერძნეთის მოქალაქეობის კლასიკური ნიმუში, რომელსაც მოგვიანებით იყენებდნენ ევროპის სხვა ქალაქებშიც.

კიდევ უფრო დახვეწილი იყო მოქალაქეობის ინსტიტუტი ძველ რომში. ზ. მ. ჩერნილოვსკი მიახლოებითი სიზუსტით გადმოგვცემს ძველი რომის მოქალაქეობის საკითხებს ძვ. წ. VI საუკუნეში. რომის მოქალაქეობა სრულუფლებიანი მამისა და დედისაგან დაბადებით მოიპოვებოდა. იგი იწყებოდა სრულასაკოვანობის მიღწევიდან, როდესაც ჭაბუკს მიიყვანდნენ სასამართლოს მოედანზე (ფორუმზე) და იგი ჩაიწერებოდა შესაბამის ტრიბაში (რომის ერთ-ერთ ტერიტორიულ ოლქში). ამ მომენტიდან იგი იძენდა პოლიტიკურ უფლებებს: სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლებას, რომის მთავრობასა და სასამართლო აპარატში თანამდებობებზე არჩევისა და ჯარში სამსახურის უფლებას. მაგრამ პოლიტიკური სრულუფლებიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქონებრივ სრულუფლებიანობას: სანამ მამა ცოცხალი იყო. ვაჟს საგნებზე ან ფულზე რაიმე გარიგების დადების უფლება არ ჰქონდა, თუ ამაზე მამის პირდაპირი რწმუნება არ ექნებოდა. რომის მოქალაქეები სერვიუს ტულიუსმა რამდენიმე ასეულად დაყო, რითაც განაზოცხლდა მათი ქონებრივი დიფერენციაცია. სულ რომში 193 ცენტურია (ასეული) იყო, რომლებიც 5 კლასად დაიყო. პირველ კლასს შეადგენდა 80 ცენტურია, რომელშიც შევიდნენ ის პატრიციები და პლებეები, რომელთა ქონება 100 ათას ფულად ერთეულს (ასს) შეადგენდა, ხოლო ბოლო კლასში 30 ცენტურია აღმოჩნდა, რომლის წევრებსაც II ათასი ასსის ქონება გააჩნდათ.

რომის მოქალაქე შეიძლებოდა გამხდარიყო გათავისუფლებული მონაც. მაგრამ მას არ შეეძლო არჩევითი თანამდებობის დაკავება და ჯარში სამსახური. იგი მხოლოდ თავისი ტრიბის (ოლქის) კრებაში აძლევდა ხმას. პერეგრინებიც



(უცხოელი ვაჭრები) იძენდნენ რომაელი მოქალაქეების უფლებებს რომის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების ან სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური აქტების საფუძველზე.

რომის მოქალაქეობის დაკარგვა ხდებოდა ვალების გადაუხდელობის ან დანაშაულის ჩადენის გამო. მოქალაქეობა ჩამორთმეულს ჰყიდდნენ მონად, გადასახლებდნენ სხვა ადგილას ან განდევნიდნენ რომიდან.² პატრიციების და პლებეების გათანაბრება მოხდა IV-III ს.ს. ძვ. წ., როცა ყველაზე მდიდარი პატრიციები შეერივნენ ყველაზე მდიდარ პლებეებს და შეადგინეს რომის მმართველი ფენა-ნობილიტეტი.

რომისა და ათენის სახელმწიფოების მაგალითზე ჩანს, რომ მოქალაქეობა მონათმფლობელურ სამყაროში დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მცირე მასშტაბებთან, როცა სახელმწიფო მხოლოდ ქალაქს შეადგენდა და რომსა და ათენში არისტოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრებოდა ქალაქი — სახელმწიფოს ინტერესებით: მონობის მასშტაბებით, ქონებრივი ცენზით, სახელმწიფო სუვერენიტეტით. მოქალაქეები სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მეტწილად საომარი ოპერაციების განსახორციელებლად. ამიტომ მონათმფლობელური სახელმწიფოს მოქალაქეებად, ძირითადად, მეომარი მამაკაცები ითვლებოდნენ. არასრულწლოვანები და ქალები მოქალაქეთა რიცხვს არ განეკუთვნებოდნენ.

ევროპის სხვა ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია) მოქალაქეობის წარმოშობა დაკავშირებულია ფეოდალური პერიოდის ქალაქ — რესპუბლიკების წარმოშობასთან, რაც, უეჭველია, რომისა და ათენის რესპუბლიკების გავლენა იყო.

მოქალაქის სახელწოდება ევროპის აღნიშნული ქვეყნების ენებზე უკავშირდება ლათინურ „ცივის“, რამდენადაც ლათინური სამყაროს გავლენა ევროპის ქვეყნებზე ძალიან დიდი იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის სამართალზე, რომლის რომაული წყაროების რეცეფციას ვხვდებით მე-19 საუკუნის ევროპაშიც (თუნდაც ნაპოლეონის კოდექსის სახით). კერძოდ, ფრანგულად მოქალაქეს ეწოდებოდა „ციტუაიენ“ („sitoyen“), ხოლო მოქალაქეობას — „კალიტე ციტუაიენ“, ე. ი. მოქალაქეობის უფლება („gualite“ — უფლება). მართალია, ფრანგულად ქალაქს „ლა ვილ“-ს უწოდებენ, ხოლო ქალაქურს „ურბენ“-ს, მაგრამ ძველი ქალაქის ან ქალაქის ცენტრის ფრანგული სახელწოდება „ციტე“, რომელიც „მოქალაქის“ შინაარსითაც იხმარება. მაშასადამე, ფრანგულ ენაში შემონახულია მოქალაქის ლათინური სახელწოდების ფუძე („ცივი“), რომელიც ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილის მაცხოვრებლის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, ხოლო ამჟამად საფრანგეთის სახელმწიფოს მოქალაქის გამომხატველია.

ინგლისურ ენაშიც მოქალაქის სახელწოდება ნასესხებია ლათინურიდან და ეწოდება „სიტიზენ“ („citizen“), ხოლო მოქალაქეობას — „სიტიზენშიფ“. ქალაქს ინგლისურად ეწოდება „სიტი“, რომლიდანაც არის წარმომდგარი მოქალაქის სახელწოდებაც, ორივე კი უკავშირდება ლათინურ „ცივის“.

გერმანულად მოქალაქეს „ბიურგერი“ ეწოდება („burger“), რაც იმავე დროს ქალაქის მცხოვრებსაც ნიშნავს. „ბიურგ“-ი გერმანულად ციხე-ქალაქია, ხოლო მრავალ ქალაქს დღესაც ეს დაბოლოება აქვს (ჰამბურგი, ბრანდენბურგი, სტრასბურგი და სხვა). მართალია, ეს სიტყვა ლათინური წარმოშობის არაა, მაგრამ მოქალაქეობა გერმანულ ენაშიც ქალაქთანაა დაკავშირებული („ბიურგერშაფტ“ — მოქალაქეობა). გერმანულ ქვეყნებში ქალაქი — რესპუბლიკები არ არ-

2. იხ. ჩერნილოვსკი ზ. მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ. I, თსუ გამ., 1992, (თარგმანი), გვ. 66-70.

სებობდა და, საერთოდ, რესპუბლიკური სახელმწიფოები გერმანულ ხალხებში მოგვიანებით (მე-19 საუკუნეში) წარმოიშვა, ხოლო რაკი მოქალაქეობა დაკავშირებულია სახელმწიფოს რესპუბლიკურ ფორმასთან, ამდენად, გერმანელებში მოქალაქეობაც მოგვიანებით ჩამოყალიბებული ინსტიტუტია. გერმანელებმა ბევრი რამ გადმოიღეს რომაელებისაგან, მაგრამ მათი სამართლებრივი კულტურა შედარებით ნაკლებად აითვისეს. სამაგიეროდ, გერმანელებმა შექმნეს სამართლის დამოუკიდებელი სკოლები (თუნდაც რად ღირს ნორმატივიზმის თეორია), რომლითაც დღესაც ამაყობს გერმანელი ერი. მიუხედავად სამართლებრივი საკუთარი მიმართულებებისა და განკერძოებულობისა, გერმანელებმა მოქალაქეობის ინსტიტუტის რეცეფცია მოახდინეს სხვა ქვეყნებიდან (იტალია — საფრანგეთიდან).

ამდენად, ევროპის ქვეყნებში მოქალაქეობის ინსტიტუტის წარმოშობა ევროდნობოდა რომაულ და ბერძნულ კანონმდებლობას, რის გამოც ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთს წააგავს.

აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის დასახელებულ ქვეყნებში მოქალაქეობის დღევანდელი ნამდვილი გაგება დაკავშირებულია რესპუბლიკური სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან. მანამდე კი ამ ქვეყნებში იყო ადამიანების სახელმწიფოსადმი ქვეშევრდომობა. ინგლისში, რომელიც ერთ-ერთ ცივილიზებულ ქვეყნად ითვლება, დიდი ხნის მანძილზე ქვეშევრდომობა იყო შემოღებული, მხოლოდ ბოლო პერიოდში (80-იან წლებში) ინგლისმაც აღიარა მოქალაქეობის ცნება, როცა საჭირო გახდა დომინიონებიდან და უცხო სახელმწიფოებიდან ადამიანების მოზღვავეების შეჩერება. ევროპის მხოლოდ ზოგიერთ ქალაქ — სახელმწიფოში (ვენეცია, გენუა, ამსტერდამი) შეიმჩნეოდა მოქალაქეობის ძველრომაული პრინციპების შემოღება.

მოქალაქეობისგან განსხვავებით ქვეშევრდომობა პირის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც იგი ექვემდებარება მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლებას, მაგრამ ჯერ კიდევ ნატურალიზაციის უფლება არა აქვს, ე. ი. არ შეიძლება სრულუფლებიანი იყოს სხვა მოქალაქეების თანაბრად.³ თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ქვეშევრდომობის ინსტიტუტი გათანაბრებულია მოქალაქეობის ინსტიტუტთან, როგორც ამას ინგლისში ჰქონდა ადგილი, მაგრამ საბოლოო ჯამში ქვეშევრდომობას ცვლის მოქალაქეობა, რომელიც სამართლებრივად უფრო სრულყოფილი დამოკიდებულებაა პირისა სახელმწიფოსთან.

სწორედ ამის გამო იყო, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უარყო ქვეშევრდომის ცნება და შემოიღო ერთიანი მოქალაქეობა საფრანგეთის ძირითადი მოსახლეობისთვის. საქვეყნოდ ცნობილი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (1789 წ.) სწორედ ამას აღიარებდა. საკანონმდებლო წესით მოქალაქეობის ინსტიტუტი პირველად შემოიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როდესაც ჯეფერსონის მიერ შემუშავებული კანონი მიიღო კონგრესმა (1779 წ.). ამ კანონის თანახმად, აშშ მოქალაქეებად გამოცხადებულ იქნენ თეთრკანიანი პირები, რომლებიც დაიბადნენ აშშ-ში და პირები, რომლებიც კანონის მიღების დღისათვის იქ ცხოვრობდნენ არანაკლებ 2 წლისა. ნატურალი-

³ Parry C. Nationality and citizenship laws of the Commonwealth and Ireland, vol. 1., L., 1957, p. 30.

ზებულ ამერიკელებს უნდა განეცხადებინათ სასამართლოში აშშ საცხოვრებლად მოსვლის შესახებ და დაედოთ ერთგულების ფიცი. შავკანიანებმა მოქალაქეობის უფლება აშშ-ში მოიპოვეს 1866 წ., ხოლო ალიასკელმა ინდიელებმა — 1924 წ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ კანონმდებლობა გამოარჩევს პირებს ე. წ. „სახელმწიფო კუთვნილებისა“. 1952 წლის კანონი იმიგრაციის შესახებ სახელმწიფო კუთვნილების პირებად მიიჩნევს: 1) მათ, ვინც დაიბადა აშშ საგარეო სამფლობელოების ტერიტორიაზე; 2) ვინც დაიბადა ამ ტერიტორიისა და აშშ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ იმ მშობლებისაგან, რომლებიც არ არიან აშშ მოქალაქენი, მაგრამ არიან „სახელმწიფო კუთვნილების“ უფლების მქონენი და რომლებიც ბავშვის დაბადებამდე ცხოვრობდნენ აშშ-ში ან მის საგარეო სამფლობელოებში; 3) 5 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლების ვინაობა დაუდგენელია და რომლებიც აღმოჩენილ იქნენ ამერიკის საგარეო სამფლობელოს ტერიტორიაზე.⁴ ამრიგად, აშშ-ში ჯერაც კი შემორჩენილია ქვეშევრდომობის ინსტიტუტის მსგავსი, რომელიც არსებითად განსხვავდება აშშ მოქალაქეობის ინსტიტუტისაგან.

საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია აღიარებდა რა საფრანგეთში მცხოვრები ქვეშევრდომების მოქალაქეობას, მიუთითებდა, რომ საფრანგეთში დაბადებული უცხოელები იქცევიან საფრანგეთის მოქალაქეებად. ხოლო 1804 წლის სამოქალაქო კოდექსმა დააზუსტა, რომ მათ ჰქონდათ ოპტაციის უფლება — აერჩიათ საფრანგეთის მოქალაქეობა 2 წლის მანძილზე სრულასაკონების მიღწევის შემდეგ. 1927 წელს საფრანგეთში მიიღეს კანონი სახელმწიფო კუთვნილების შესახებ, რომლითაც გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ითვლებოდნენ სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფებად. ასეთებად მიჩნეულ იქნენ საფრანგეთში დაბადებული ბავშვები, რომელთაც დედები ფრანგები ჰყავდათ და აგრეთვე ვისაც უცხოელი დედები ჰყავდათ შემდგომი უარყოფითი ოპტაციის უფლებით. ეს წესი კი იწვევს საფრანგეთში ბიპატრიზმს, რაც მთელ რიგ სიძნელებთანა დაკავშირებული.

გერმანიაში, როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქეობის ინსტიტუტი მოგვიანებით წარმოიშვა. აქ მეტწილად გაბატონებული იყო დომიცილის პრინციპი. ვიუტემბერგის 1621 წლის კანონით, ქალაქის მცხოვრებლები — ბიურგერები გამოყოფილი იყო სხვა ქვეშევრდომებისაგან. ბავარიის 1818 წლის კონსტიტუციაში პირველად ვხვდებით „ინდიგენატის“ ტერმინს. „ინდიგენატის“ სტატუსი მოიპოვებოდა დაბადებითაც და ნატურალიზაციითაც. „ინდიგენატი“ გულისხმობდა პირს, რომელიც უცხოელთან შედარებით მეტი უფლებებით სარგებლობდა ქვეყანაში, იგი, ფაქტობრივად, გულისხმობდა „სახელმწიფო კუთვნილების პირს“, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა 1870 წლის კანონით სამოკავშირეო და სახელმწიფო კუთვნილების მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ, გერმანული სახელმწიფოების კანონმდებლობით ქვეშევრდომობა არ ეკარგებოდა პირს, თუ იგი სხვა სახელმწიფოსთან სამართლებრივ კავშირში აღმოჩნდებოდა (სხვის ქვეშევრდომობა).

4 См. Боярс Ю. Р., Вопросы гражданства в международном праве, М., 1986, стр. 54, 56.

ბაში). 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გათვალისწინებული იყო ოპტაცია ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ან გერმანიის სახელმწიფო კუთვნილებისადმი, ხოლო 1920 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებით შემოღებულ იქნა თავისუფალი ქალაქ დანციგის მოქალაქეობა. 1935 წლის 15 აგვისტოს კანონი უკვე ანსხვავებდა იმპერიის კუთვნილების პირებს და იმპერიის მოქალაქეებს. პირველნი მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო მეორენი — სარგებლობდნენ მოქალაქეობის ყველა უფლებით და ღებულობდნენ მოქალაქეობის მოწმობას გერმანული სისხლის ერთიანობის ნიშნის მიხედვით. 1949 წლის კონსტიტუციამ კი კვლავ შემოიღო გერმანიის სახელმწიფო კუთვნილების ინსტიტუტი.

ასეთი იყო მოქალაქეობის წარმოშობა ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. ეს მოკლე მიმოხილვა მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეობის ინსტიტუტი განუწყვეტლივ სრულყოფას განიცდის და დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმთან.





ვადასახადია სასეობანი ძველ კოლხეთსა და ლაზიკაში

(ანტიკურ-ადრეხიზანტიური ეპოქის ფარილოებით
წყაროების მიხედვით)

ძვ. წ. VI-I საუკუნეების ბერძენი მწერლები დღევანდელ დასავლეთ საქართველოს კოლხეთის, ხოლო ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს კოლხების სახელით მოიხსენიებენ. რაც შეეხებათ გვიანანტიკური – ადრეხიზანტიური ხანის ავტორებს, ისინი კოლხეთს ლაზიკას, მათ მკვიდრებს კი ლაზებს უწოდებენ.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე და დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში ჩამოყალიბებას იწყებს მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება – კოლხეთის სამეფო. ამ უკანასკნელს მათი მეზობლები, აღმოსავლეთ ქართული ტომები, ეთნიკური წარმომავლობის გამო, ეგრისს უწოდებდნენ.¹

არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ კოლხეთში ძვ. წ. VI-IV ს.ს.-ში მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება, განსაკუთრებით კი მებაღეობა და მევენახეობა იყო.² სასოფლო-სამეურნეო იარაღები ძირითადად რკინისაგან მზადდებოდა.³ რკინის მეტალურგიის განვითარებასთან ერთად, დაწინაურდა მეთუნეობა, ოქრომჭედლობა და საფეიქრო მრეწველობა.⁴

ძვ. წ. VI ს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მიღებულია დააარსეს ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთის მიდამოები), გიენოსი (დღევანდელი ოჩამჩირე) და დიოსკურია (დღევანდელი სოხუმი).⁵ ყოველივე ეს იმის მაუწყებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული ვაჭრობა, ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მასალებიც.

ძვ. წ. VI-IV სს-ში კოლხეთის სამეფოს განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის არსებობა, მიმოქცევაში იყო ადგილობრივი მოჭრილი ვერცხლის მონეტა-კოლხური თეთრი.

აღნიშნული ნათელყოფს, რომ ძვ. წ. VI-III სს-ში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხეთის სამეფო, რომელიც წარმოადგენდა ადრე

1 «Всемирная история», т. II, М., 1956, стр. 155, Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, ст. 236.

2 მერი ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 71.

3 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშ, გვ. 239.

4 იქვე, გვ. 240.

5 იქვე, გვ. 242.

კლასობრივ სახელმწიფოს, თუმცა მის წიაღში შეინიშნება თემური საზოგადოებრივი წყობის ელემენტებიც.⁶

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით დაწვრილებით არ შევეხებით კოლხეთის სახელმწიფო სისტემას. ჩვენი მიზანია წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე გავარკვიოთ, თუ როგორი საგადასახადო სახეობანი არსებობდა კოლხეთ-ლაზიკაში. ამ საკითხის შესახებ უძველეს ცნობებს ვხვდებით ჰეროდოტე ჰალიკარნასელის (484—425) ისტორიაში.

ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს სპარსეთში ხელისუფლების უზურპაციას ახდენს დარიოს I (522—486), რომელმაც ტახტის დაკავებისთანავე გაატარა სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმები. დარიოსმა თავისი იმპერია დაჰყო სატრაპიებად.⁷ კოლხების მეზობელი ტომები XIX სატრაპიაში მოქცეულან.⁸ თითოეულ მათგანს უნდა გადაეხადა ვერცხლის განსაზღვრული რაოდენობა.⁹

ჰეროდოტეს ცნობით, დახარკულთა სიაში იყვნენ ქართველი ტომები: მოსხები, ტიბანერები, მაკრონები, მოსინიკები, მარები. ისინი იხდიან 200—300 ტალანტს. ერთი სატრაპია მეტს იხდის, მეორე კი — ნაკლებს.¹⁰ თინათინ ყაუხჩიშვილის აზრით, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ ხალხის ეკონომიკური შესაძლებლობა. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის გარემოება, თუ სპარსელთა რა ძალაუფლება ვრცელდებოდა ხარკის გადამხდელ ტომთა შორის.¹¹

რაც შეეხებათ კოლხებს, ამ ტომის შესახებ ჰეროდოტე აღნიშნავს: „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები“, ე. ი. ხარკს კი არ უხდიდნენ სპარსელებს, არამედ ძღვენს მიართმევდნენ. ძღვენის თუ საჩუქრის იძულებითი წესით მირთმევა — გადახდა არავის მიერ არასოდეს არ ყოფილა დაწესებული აუცილებელ გადასახადად, არამედ მისი მირთმევა პიროვნების ნება-სურვილზეა დამყარებული. კოლხები ყოველ მეხუთე წელს სპარსეთში აგზავნიდნენ 100 ჭაბუკს და 100 ქალწულს.¹²

ჰეროდოტეს ცნობით, ხარკის გადახდის ასეთი ფორმა კოლხების მხრიდან მის დრომდე გრძელდებოდა.¹³

ბუნებრივია, ისმება საკითხი: რამ აიძულა კოლხები სპარსელებისათვის სისტემატიურად ეძლიათ ხარკი, თუნდაც ძღვენის სახით. მითუმეტეს, ჰეროდოტე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კოლხებს ნებაყოფლობით უკისრიათ ეს გადასახადი ამ ცნობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მაქსიმე ბერძნიშვილმა. იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ნებაყოფლობითი მომენტიც გამოსარიცხია, როგორც ბუნებაში დაუშვებელი და წარმოუდგენელი რამ. საფიქრებელია, რომ დარიოსს

6 იქვე, გვ. 251.

7 Всемирная история, т. II, ст. 27.

8 ჰეროდოტე, ისტორია, ტ. 1, თბ., 1975, III, 94.

9 Всемирная история, стр. 27.

10 ჰეროდოტე, დასა. ნაშრომი, III, 90—94.

11 იქვე, გვ. 29 (თ. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობა).

12 ჰეროდოტე, დას. ნაშრომი, III, 97.

13 იქვე, III, 97.

უჩვენებია მათთვის თავისი ძალის სუსხი, თორემ ამის გარეშე სისტემატიური გადასახადი, თუნდაც ნატურის სახით, არ იქნებოდა დაწესებული.¹⁴

კოლხები, — შენიშნავს მაქსიმე ბერძნიშვილი, — ხარკის გადახდას ამხელ-ბინებდნენ მონებით და არა ფულით. იმიტომ კი არა, რომ მათ ფული არ გააჩნდათ, არამედ იმიტომ, რომ მონებით გადასახადის შეტანა ხუთ წელიწადში ერთხელ, ისიც ძღვენის სახით, უფრო იოლი იყო, ვიდრე ტალანტების გადახდა და ირანის ოლქად გამოცხადება, რასაც ჩვენ ვხედავთ სხვა ქართველური ტომების მიმართ.¹⁵ კოლხები სპარსეთის იმპერიის მიმართ გარკვეული დათმობის გზით ახერხებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.¹⁶

ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ ფულით გადასახადების შეტანა სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შესვლას ნიშნავდა და ამიტომაც მივიდნენ კოლხები იმ დასკვნამდე, რომ მათთვის ძღვენი ეძლიათ მონების სახით, გადასახადის ასეთი ფორმა მონათმფლობელური სამყაროსათვის მკრეხელურ საქციელად და ზნეობრივ დანაშაულად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო. ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნების მიზნით, კოლხებმა ნებაყოფლობით აირჩიეს სპარსელებისთვის ძღვენი მიერთმიათ მონების სახით.

კოლხეთში საგადასახადო სისტემის შესახებ სხვა ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის წყაროები არაფერს არ გვაძეცნობენ. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ გვიანანტიკური პერიოდის რამდენიმე წყარო.

ძვ. წ. 190 წ. რომაელებმა ქალაქ მაგნეზიასთან დაამარცხეს სელევკიდები და ამის შემდგომ მათ გზა გაეხსნათ კავკასიისაკენ. ძვ. წ. 65 წ. რომაელი ლეგიონები, სარდალ პომპეუსის მეთაურობით, არმენიიდან ბორჯომის ხეობის გავლით იბერიაში შეიჭრნენ.¹⁷ იქიდან კი გადავიდნენ კოლხეთში.¹⁸ ასე მოიკიდეს რომაელებმა ფეხი საქართველოში, ეს ის პერიოდი, როცა რომაელთა განთქმული თავისუფლება და რესპუბლიკური წყობილება რღვევას განიცდიდა და მის ნიადაგზე მკაცრი თვითმპყრობელობა აღმოცენდა.¹⁹

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელებმა ააგეს ციხეები და ჩააყენეს თავიანთი გარნიზონები. მეციხოვნეები, ბუნებრივია, კონტროლს უწევდნენ ქვეყანას და კოლხების პოლიტიკურ ცხოვრებასაც თვალყურს ადევნებდნენ.

ახ. წ. II საუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე დაზვერვითი ექსპედიცია მოაწყო კაპადოკიის რომაული პროვინციის პროკონსულმა ფლავიუს არიანემ. მან ამ მოგზაურობის შედეგებზე 131 წელს აცნობა რომის იმპერატორს ადრიანეს.

იმპერატორის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში ავტორი აღნიშნავს: „...ტომს, რომელიც უგულითადესია და ტრაპიზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრეილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტისმეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც — დიდი მტრები ტრაპიზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არა ჰყავს. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი, მაგრამ ამის შემდეგ, თუ ღვთის ნება იქნება, ან წესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან“.²⁰

14 მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 64.

15 იქვე, გვ. 65—66.

16 მ. ინაძე, დასახ. ნაშ. გვ. 44.

17 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 327.

18 იქვე, გვ. 329.

19 ივ. ჯავახიშვილი, თხზ., 12 ტომად, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 207.

20 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 42.

არიანეს თხრობის ამ ნაწყვეტს ყურადღება მიაქცია ნოდარ ლომოურმა. მისი აზრით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შემდეგი ვითარება ჩანს: ქალაქი ტრაპიზუნტი კაპადოკიის პონტოს პროვინციაში შედის. მაგრამ ამ პროვინციაში შედის აგრეთვე მისი მოსაზღვრე კოლხეთისა (სანაპირო ზოლზე მდებარე ციხე-სიმაგრეები) და სანების (ჭანების) ანუ ქსენოფონტისეული დრიელების მიწა-წყალი, რასაც ასაბუთებს არიანეს შემდეგი სიტყვები: „სანთა ტომი ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა...“ საფიქრებელია, რომ სანები, რომლებსაც მეფე არა ჰყავთ და ვალდებულნი არიან ხარკი გადაიხადონ, უშუალოდ რომის პროვინციულ მმართველობას ექვემდებარებიან. ამასთანავე, როგორც მოტანილი კონტექსტიდან ჩანს, გადასახადის აკრეფა და ხარკის გადაუხდელობისთვის დასჯა, არიანეს, როგორც კაპადოკიის რომაული პროვინციის პროკონსულის იურისდიქციაში შედის.²¹

არიანეს მსჯელობიდან ირკვევა, რომ ხარკის გადაუხდელობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ურჩობის შემთხვევაში პროკონსული თავის თავს უფლებას აძლევს საერთოდ გაასახლოს მთელი ტომი. სანების შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ მათ მეფე არა ჰყავთ. რაც შეეხებათ კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ტომებს, მათ ყველას მეფე ჰყავთ, რომელთა უმრავლესობასაც ხელისუფლება მიღებული აქვს რომის იმპერატორისაგან. თუ როგორი წესით წარმოებდა დანარჩენ ტომებში გადასახადების აკრეფა, ამის შესახებ ავტორი დუმს.

სამაგიეროდ, ჩვენამდე მოაღწია ახ. წ. I საუკუნის ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიოსის ნაშრომმა „რომაელთა მიმართ იუდეველთა ომის ისტორია“.

ავტორს II წიგნის § 366–368-ში მოყვანილი აქვს იუდეველთა მეფის ჰეროდე აგრასას (29–93) სიტყვები, რომლითაც მან მიმართა თავის ხალხს. იგი იუდეველებს უმტკიცებს რომაელთა უძლეველობას: „რა უნდა ვთქვათ ჰენიოხთა, კოლხთა, ტავრთა ტომების შესახებ... ისინი ხომ ადრე არ ცნობდნენ საკუთარ უფალს. ახლა კი 300-მა ჰობლატმა და 400-მა ხომალდმა ისინი მორჩილებაში მოიყვანა... ახლა ისინი იარაღის გარეშე ხარკს იხდიან.“²²

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, იოსებ ფლავიოსს ამით იმის თქმა უნდა, რომ ის ხალხები, რომლებიც უწინ საკუთარ მფლობელსაც კი არ ემორჩილებოდნენ, უთუოდ თავისი შეუპოვარი ხასიათის გამო, ადვილი მოსავლელი გამხდარა ძლევაშემოსილი რომისათვის.²³

ფლავიუს არიანესთან შედარებით, იოსებ ფლავიოსის მსჯელობა ზოგადია, მაგრამ მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. ებრაელი ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს კრებითი სახელით — კოლხებად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი რომაელებს მორჩილებაში მოუყვანიათ იმ დონეზე, რომ დღეს იარაღის ძალის გარეშე ხარკს იხდიანო.

თუ იოსებ ფლავიოსის ამ ცნობას გავიზიარებთ, მაშინ ირკვევა რომ კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ახ. წ. I ს-ში, რომის ხელისუფლებას კეთილსინდისიერად უხდიდნენ გადასახადს. არიანეს ნაშრომის მიხედვით არ ჩანს, რომ კოლხეთის მოსახლეობას ახ. წ. II ს-ში პირველ ნახევარში რომის მიმართ რაიმე გადასახადი ეკისრებოდა.

დასავლეთ საქართველოში აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა არიანეს მოღვაწეობიდან ორი საუკუნის შემდეგ. თუ II საუკუნეში ლაზიკას მი-

21 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1966, გვ. 7.
22 „ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“, ტ. V, თბ., 1983, გვ. 91.
23 იქვე, გვ. 58.



წაწყალზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეული ჩანს, IV საუკუნის ბოლოს ეგრიისი აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს სამხრეთით, ჭოროხის შესართავის სექტორამდე, ჩრდილოეთით თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთამდე. IV ს-ის ბოლო არის ლაზეთის სამეფოს განსაკუთრებული გაძლიერების ხანა.²⁴

ლაზების მეფე ბიზანტიის იმპერატორის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. IV-V სს-ში ლაზიკას ტერიტორიაზე არსად არ დგას რომაელთა გარნიზონი. ლაზების ერთადერთი ვალდებულება იყო ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა.²⁵ VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ: „ლაზები თავდაპირველად კოლხების ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ. ხოლო არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ეხმარებოდნენ მათ.“²⁶

VI-V სს-ში ლაზების მეფე ბიზანტიის კეისრის ვასალია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „როცა ლაზებს მეფე მოუკვდებოდათ, სამეფო ტახტის მემკვიდრეს რომაელთა მეფე უგზავნიდა ძალაუფლების სიმბოლოს.“²⁷ თავის მხრივ კი, ლაზთა მეფეს ჰყავდა ვასალები (აბაზგების მთავრები, აფსილების, სვანების ხელისუფალნი). ამ უკანასკნელთ კი ევალებოდათ ლაზიკის მეფისათვის ხარკი ნატურით გადაეხადათ და სამხედრო სამსახურიც გაეწიათ.²⁸

ლაზთა ქვეყნის ასეთმა მდგომარეობამ ათქმევინა ასევე VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს შემდეგი სიტყვები: „ძლიერსა და მამაც ტომებს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელითა და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ. შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომთა შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არცერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე მიწა-წყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავისი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი ხასიათი მიუციათ.“²⁹

ამ სიტყვებით აგათია სქოლასტიკოსმა მშვენივრად დაგვიხატა ლაზიკის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. მართალია, ავტორი სახელმწიფოში საგადასახადო სისტემის არსებობის შესახებ ღუმს, მაგრამ მისი სიტყვები „ქვეშევრდომთა სიუხვით“ ნათელ წარმოადგენას გვიქმნის იმის შესახებ, რომ ლაზების სამეფოში გადასახადების აკრეფის საკითხი მაღალ დონეზე იქნებოდა დაყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ძლიერ ტომებზე ლაზების ბატონობა შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ცნობებს გვაწვდის VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი, აგათიას თხრობის გამგრძელებელი, მენანდრე პროტიქტორი. მას აღწერილი აქვს ბიზანტია-ირანს შორის წარმოებული ომი VI ს-ის II ნახევარში. აქვე მენანდრეს მოეპოვება ცნობა სვანეთის გამო დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ. ავტორი წერს: „სვანეთის მთავარი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც

24 ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ. გვ. 72.


25 იქვე, გვ. 77.

26. პროკოპი კესარიელი, გეორგია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 72.

27 იქვე.

28 ნ. ლომოური, დას. ნაშრ. გვ. 100.

29 Агафий, О царствовании Юстиниана, М.-Л., 1953, ст. 73.



ხლებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს, ტყავს და ზოგს სხვა რამესაც. ხოლო, როგორც სვანთა მთავარი გარდაცვლებოდა, ლაზთა მთავარი ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება.³⁰

ამ ცნობის გამო მაქსიმე ბერძნიშვილი შენიშნავდა, რომ ლაზთა ანუ კოლხთა მეფეებს გააჩნდათ სახარკო სია, სადაც მოხარკე ქვეყნად ჩაწერილი ყოფილა სვანეთი.³¹ მენანდრეს ამ ცნობიდან ირკვევა, რომ სვანები ლაზთა მეფეებს ხარკს უხდიდნენ არა ფულით, არამედ ნატურის სახით.

ჩვენი აზრით, თუ ლაზიკა ბიზანტიის იმპერიის ფორმალურ ქვეშევრდომად ითვლებოდა, რასაც მოწმობს პროკოპი კესარიელის ზემოთ მოყვანილი ცნობა, მენანდრეს ცნობის მიხედვით, სვანები რეალურად იმყოფებიან ლაზთა პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ყოველივე ეს იმის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლაზების სამეფო IV-V საუკუნეებში საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ყოფილა. მისი ძალის სუსხი მაღალმთიან სვანეთსაც კი სწვდებოდა VI ს-ის II ნახევარში. როგორც ცნობილია, ძვ. წ. მთელი VI ს-ის მანძილზე ლაზიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. ძველი კოლხეთისა და მისი მეზობელი ტომებისათვის დამახასიათებელია გადასახადის გაღების ყოველგვარი ფორმა, როგორც ფულით, ისე ნატურით;
2. კოლხები, ჰეროდოტეს ცნობით, ძღვენს იხდიდნენ მონების სახით. ანტიკურ სამყაროში მონის შეყვანა სახარკო ჩამონათვალში ზნეობრივ დანაშაულად არ იყო მიჩნეული;
3. გადასახადის (ხარკის) აკრეფის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებდა სამეფო ხელისუფლება. არიანეს ცნობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სვანთა ტომებს სისტემატიურად, იმიტომ არ შეაქვთ გადასახადი, რომ მათ მეფე არა ჰყავთ. სხვა ტომების შესახებ მსჯელობაზე ავტორი თავს იკავებს;
4. იოსებ ფლავიოსის ცნობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახ. წ. I ს-ში რომის იმპერიის მიერ კავკასიის ხალხების დამორჩილების შედეგად გადასახადის გადახდას რომისათვის დროებით სისტემატიური ხასიათი მიუღია;
5. პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ლაზიკა ბიზანტიის იმპერიის ვასალია, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლაზიკა ხარკს არ უხდის ბიზანტიას და არც სხვა რამეთი ეხმარება;
6. მენანდრეს ცნობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაზებს თვითონ შეუდგენიათ სახარკო სია, სადაც შეუყვანიათ ტომები, რომელთაგანაც გადასახადს ღებულობდნენ ნატურის სახით.

ასეთია ლაზიკის სამეფოს საგადასახადო სისტემის ზოგადი სურათი. ადრე-ბიზანტიური ხანის წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ქვეყანას სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი — საგადასახადო სისტემა ჰქონია, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლაზიკა თავისი ეპოქის სრულყოფილი სახელმწიფო ყოფილა.

30 გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936, გვ. 224.
31 მ. ბერძნიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 53.

რამდენიმე ქართული იურიდიული ანდაზის შინაარსის გაგებისათვის*

როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, ანდაზაში, ამ ცოცხალ „მოარულ“ ხალხურ სიბრძნეში ისტორიკოსი ეძებს ინფორმაციას შორეული წარსულის ყოფისა და სამახსოვრო ამბების შესახებ. იურისტი მათში პოულობს ხალხის ცხოვრების ამსახველ დაუწერელ კანონებს, ეთნოგრაფი — გამქრალი ჩვეულებების და წესების არსებობის მოწმობას და დადასტურებას, ხოლო ფილოსოფოსი ანდაზებში პოულობს ხალხის აზროვნების წყობის, მისი მსოფლმხედველობისა და ლოგიკური აზროვნების, ღირებულებათა სისტემის ამსახველ ცნობებს.

ანდაზა, ისევე როგორც ძველი სიგელ-გუჯარი, ხალხის ისტორიის მოწმეა. ერთ ქართულ ანდაზაში ნათქვამია: „ქვრივს ვინც წაიყვანს, ობლებიც იმან უნდა შეინახოს“.

„ქვრივ“-ში აქ ქვრივი ქალი იგულისხმება. ქვრივ ქალებს კი, როგორც ირაკვეთა, საქართველოში ყოველთვის არ ჰქონიათ უფლება ხელმეორედ გათხოვებისა.

თამარის ისტორიკოსი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი მოგვითხრობს, რომ მეფემ მრავალი ღირსსახსოვარი, სახელოვანი საქმე იღვაწაო და მათ შორის ასახელებს იმასაც, რომ „იხსნა მოვალენი ვალთაგან, და მისცა ობოლთა ღონე და ქურვთა ხელმწიფობა ქორწინებად“.¹⁰ ზემოთ მოტანილ ციტატაში „ხელმწიფობა“ უფლებას ნიშნავს. ისტორიკოსი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ თამარ მეფემ მრავალ სასიკეთო საქმეთა შორის ისიც გააკეთა, რომ მოვალეები ვალისგან გაათავისუფლა, ობლების მდგომარეობა გააუმჯობესა და ქვრივ ქალებს მისცა გათხოვების უფლება.

შუა საუკუნეებში ზინამდვილეში მრავალ ქვეყანაში ქვრივ ქალს ხელმეორედ გათხოვების უფლება არ გააჩნდა. ასე იყო სპარსეთში, ჩინეთში და საქართველოშიც. თამარის ჰუმანურობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან ქვრივ ქალებს, რომელთაც ქმრები ავადმყოფობით გარდაეცვალათ, ან რომელთაც, შესაძლოა, ქმრები ომში დაკარგეს, უბოძა ხელმეორედ გათხოვების უფლება. ეს უფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალებმა მხოლოდ მიმდინარე საუკუნის შუა წლებში მიიღეს.

ეს გარემოება კარგად მეტყველებს XII საუკუნის ქართული კანონმდებლობის პროგრესულ ტენდენციებზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქვრივ ქალს შვილი ან შვილები ეყოლებოდა, ქვრივი ქალის გათხოვებისას ობლების (მაშინ ობლების) აღზრდისა და „შენახვის“ საკითხიც დგებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულმა სოციალურმა პრაქტიკამ ქვრივის ახალ მეუღლეს დაავალა ქვრივ-ობლების შენახვა.

ძველ საქართველოში ნათესაობა დიდი ძალა და სიმაგრე იყო ადამიანისათ-

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 7-8, 1998.

10. „ქართლის ცხოვრება“, ტომი II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 29.

კის. გაჭირვებაში ნათესავის დახმარება თავისთავად იგულისხმებოდა. „უნათესავო ქვაც არ არისო“, ამბობდა ხალხური ანდაზა. რაც უფრო ძლიერი იყო ნათესავთა შორის ნათესაური კავშირი, რაც უფრო გაუყრელად ცხოვრობდნენ ახლო ნათესავები, მით უფრო ძლიერნი და პატივსაცემნი იყვნენ ისინი ხალხის თვალში. გაუყრელი თავადების „სისხლს“ უფრო მეტად აფასებდა კანონმდებელი, ვიდრე გაყრილებისაო.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ოცდამესამე მუხლის მიხედვით „კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხითა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყურად მოკიდებით ამაღლდების და სისხლი გაუდიდდების, ისრე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების“.

ნათესაობა, ნათესაური კავშირი, მოყვრული კავშირურთიერთობა, სოციალური პრაქტიკის მონაცემებით, ღირებულებათა მაშინდელ სისტემაში დიდი ფასეულობა იყო. „ყველა ტყუოდა და სისხლი და ხორცი კი არაო“, ამბობდა ქართული ანდაზა. ნათესაურ კავშირს, გვარის სახით, გარკვეული სახე ჰქონდა და ხალხი მათ ავ-კარგს კარგად იცნობდა, „ავი გვარისაგან, კეთილი საქმის იმედი ნუ გაქვსო“, ამბობდა ქართული ანდაზა.

„წესი“ გვხვდება ძველი ქართული სამართლის ზოგიერთ წიგნში ჩვეულების მნიშვნელობით. მაგალითად, ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მეოცე მუხლის მიხედვით, თუ ვინმე სწორი სწორის ვისმეს პატივსა და ღირსებას ხელყოფდა, „ბრჭობამან და წესმან სისხლი მართალი დააურვებინოს მართლად, წინაღობიცა სრულად მიაცემინონ მართალი“.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 43-ე მუხლის თანახმად, „თუ კაცსა კაცისაგან საკმარისი მიწა წინდად ჰქონდეს, გინა ყანა გინა ვენახი, გინა ჭალა, გინა სახლი და რა გინდა რა გვარი, რა ჟამიერად, ქვეყნისა წესითა, საწინდარი სახსარი აძლიოს, და დაახსნევინოს, მისი საქონელი აიღოს და ადგილი დაუდვას უმიზეზოდ, კაცთა დახედვითა“.

წესი ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილ მუხლებში ჩვეულებას ნიშნავს.

ჩვეულებას ნიშნავს იგი ზემოხსენებული სამართლის წიგნის 49-ე მუხლშიც, სადაც ვკითხულობთ: „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს, იგი წესია, სამართალი არა“.

კანონმდებელი არჩევდა „წესსა“ და „სამართალს“. წესი აქ ჩვეულებაა,¹¹ აქვე, სამართლის წიგნის ხსენებულ მუხლშივე ნათქვამია, რომ „წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუანი არა ემართლებიან“-ო.

აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ხდებოდა „წესის დადებაც“, ისევე, როგორც იდებოდა სამართლის ძეგლის დადებაც. დადებულ წესს შუაკაცები ვერ მოშლიდნენ. თუ რა მიმართება იყო სამართალსა და წესს შორის, ბექას სამართლის წიგნიდან კარგად არა ჩანს, მაგრამ უნდა დავუშვათ, რომ გარკვეული წინააღმდეგობა იქნებოდა მათ შორის. და როცა ხელისუფლება ძლიერი იქნებოდა, სამართალს უპირატესობა მიეცემოდა წესთან შედარებით.

ქართული ანდაზაა: „ადათია და წესია, ფეტვი ალაგზე თესია“. ის, რაც წესია, ჩვეულებაა, მისი დაცვა ჯეროვანია. არსებობს ასეთი ქართული ანდაზაც: „ადათის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა სჯობია“-ო. ამ ანდაზაში ასახული უნდა იყოს ისეთი ვითარება, როდესაც წესის, იგივე ადათის სამოქმედო არეალი იყო ესა თუ ის გვარი და ეს განკერძოებული გვარი ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო და რამდენადაც ეს ხელსაყრელი იყო მისთვის მოცემულ პირობებში,

11. ეს გარემოება აღნიშნული აქვს ი. დოლიძეს, იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი I, თბ., 1963, გვ. 771.



შეინარჩუნებინა ეს გვაროვნული წეს-ჩვეულება. პირველ რიგში, წყაროებში აისახა წარჩინებული გვარების განკერძოებული „წესი“.

როგორც ალაგის წესზეა ლაპარაკი საკანონმდებლო ძეგლში, იქ უნდა იგულისხმებოდეს „წესი“, წეს-ჩვეულება გავრცელებულია მოცემულ ტერიტორიაზე, მოცემულ ხევში და ა. შ., ხოლო როდესაც გვარის წესზეა ლაპარაკი, აქ კი უნდა იგულისხმებოდეს ის გვარი, რომელმაც თავისი განსაკუთრებული წეს-ჩვეულება შეინარჩუნა.

მეფე ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ასმესამე მუხლის მიხედვით „ციციშვილების მეტში ზვრისა და ხოდაბუნის საუფროსო არავისაში არ არის, იმათაც ძველებით, ფიცით გაუტანიათ და მისთვის დარჩომილა“. ის ისეთ „წესად“ უნდა ჩაითვალოს, რომელსაც კანონი ანგარიშს უწევდა.

ძველ საქართველოში, მის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს თემი გარკვეულ როლს ასრულებდა. ცხადია, თემი უფრო ძლიერი იქნებოდა მთებში და მთისწინეთში, ვიდრე ბარში. „თემს“ უძველეს ხანაში სხვა სახელწოდება ექნებოდა. საგულვებელია, რომ მას „სამძო“ ერქვა. „თემი“ ბიზანტიიდან მოძალებულ ტერმინად მოჩანს. საგვარეულო თემი ბარის საქართველოში ძალიან ადრე დაირღვა. რაც შეეხება სამეზობლო, სასოფლო თემს, ისინი ფეოდალურ ხანაში ბარის საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორი იყო. შესაძლოა, რომ სწორედ ეს გარემოება აისახა ანდაზაში: „მეფე გაგიწყრეს, თემს შეეხვეწე. თემი გაგიწყრეს — გადაიხვეწე“.

გადახვეწა, გარდახვეწა სასჯელის ცნობილი სახე იყო ქართულ ფეოდალურ სამართალში. მას იხსენიებს გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნი, გადახვეწას უკავშირდებოდა სხვა სასჯელიც, როგორცაა „მამულის წაღება“, ხსენებული სამართლის წიგნი იხსენიებს „ერთ პირხევს“. ეს ხევი იყო ის ძალა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. „ერთ პირ ხევს“, თემს დიდ ანგარიშს უწევდა მეფე, ანდაზა ჰსახავს პოლიტიკური განვითარების ისეთ დონეს, როდესაც თემი დიდი ძალა იყო და მას მეფისგან შერისხული პირის შეწყალების თუ მეფესთან მისი შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლება ჰქონდა.

საქართველოში, თუ ანდაზებში მიხედვით ვიმსჯელებთ, ცნობილი უნდა ყოფილიყო ე. წ. „მეზობლური სამართალი“. ხსენებული სამართალი მეზობელს მეზობლისთვის დახმარებას ავალდებულებდა. მეზობელს მეზობლის მხრივ დახმარებაზე უფლება ჰქონდა. მას უფლება არა ჰქონდა მეზობლისგან ეთხოვნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღი, სანაყი, ხელსაფქვაკვი, საკვები პროდუქტი და ა. შ. სამეზობლო ურთიერთობათა ამ დონის გამომხატველი უნდა იყოს ანდაზა: „მეზობელს თუ რამე აქვს, შენც გაქვსო“. მეზობელი მეზობლისთვის სოციალური უზრუნველყოფის გარკვეული საშუალებაც იყო. ამდაგვარ ურთიერთობას უნდა ასახავდეს სხვა ქართული ანდაზაც: „მეზობელს თუ მარილს ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარი“. მარილი უნდა ყოფილიყო ის ნივთი, ის სასურსათო პროდუქტი, რომლის გაწილადებაც მეზობლისთვის სავალდებულო იყო, „მეზობელი კარისაო, სინათლეა თვალისაო“, ამბობდა ქართული ანდაზა. ამით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კარეს მეზობელი იყო ის პირი, ვინც მის ჭირსა და ღვინს გაიზიარებდა. სასოფლო თემის შიგნით ახლო მეზობლები ერთმანეთის თვალწინ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ერთმანეთს უცხოთა წინაშე თავდებადაც უდგებოდნენ, ერთმანეთს ბაძავდნენ, ერთმანეთის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ანდაზები: „მეზობელი მეზობლის სარკეაო“, „მეზობელი მეზობლის მჭვრეტელიაო“.

სამეზობლო სამართალმა გარკვეული საუკუნეების გასვლის შემდეგ თავისი დრო მოჭამა და სოციალური პროგრესისთვის ხელისშემშლელადაც კი ჩათვალა ხალხმა. ამ დონის ანდაზა უნდა იყოს: „თუ მეზობლის ამოგდება გინდა, ნურაფერს დაუკავებო“, „მეზობელს თუ ბევრი აქვს, შენ შენი შეგრჩებაო“.

საინტერესოა ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 34-ე მუხლი, სადაც ვკითხულობთ:

„ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან. აგრე ლაშქარსა წამავლისათა შთასადებელიცა ვალია კაცისაგან კაცსა ზედა. აგრევე საჭირისუფლო შესაწევარიცა ვალია – წახურვა მიცვალებულისა – და სხვა მისაღებელიცა.“

და სამდურავით რასათვისმე დაჭირვას, არას ემართლების, თუ არა, ოდესცაღა გაიბჭობიან, დაურვებას ემართლების დაუკლებლად“.


„ქორწილისა სანიჭარს“, ლაშქარს მიმავალს „შთასადებელს“, „საჭირისუფლო შესაწევრს“ და ა. შ. კაცი კაცს უზდიდა, უფრო სწორად, მეზობელი მეზობელს ხელს უმართავდა განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით. და კანონში ჩამოთვლილი იყო ასეთი შემთხვევები, როდესაც მეზობელს მეზობლისთვის მატერიალური დახმარება უნდა გაეწია. და თუ ის ამას არ გააკეთებდა, შეიძლებოდა მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრაც. ასეთი დახმარება სარჩელით იყო უზრუნველყოფილი.

მართალია, მუხლში მეზობელზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა კაცის ვალდებულება კაცის მიმართ. იგულისხმებოდა, რომ ორივე კაცი სამეზობლო თემის შიგნით ცხოვრობდა.

ცხადია, სამეზობლო სამართალი და სამეზობლო ურთიერთობა ხსენებულით არ ამოიწურებოდა. საერთო წესი იყო, რომ სოფლის, თემის, საზოგადოების საერთო ინტერესების გათვალისწინებით მეზობელი მეზობელს უნდა დახმარებოდა პროდუქტებით, ხელი გაემართა მისთვის საოჯახო ნივთებზე, ეთხოვებინა შრომის იარაღები და ა. შ.

ქართულ სამართალში მთელი გახანგრძლივებული ფეოდალიზმის არსებობის განმავლობაში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ფიცს, როგორც მტკიცებულებას. ქართული სამართლის წიგნებისათვის ჩვეულებრივი, მეტად გავრცელებული მტკიცებულება იყო ფიცი, მაგრამ, ცხადია, ზოგჯერ ამ მტკიცებულებას ბოროტადაც იყენებდნენ. გაჩნდნენ ცრუმოფიცრებიც. საქმის ამ ვითარებას ასახავს ქართული ანდაზა „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო“. ქურდი, რომელმაც შინაური ფრინველი მოიპარა, ფიცულობდა, რომ არაფერი მოუპარავს. თანაც ჯიბიდან მამლის ბოლო მოუჩანდა. ანდაზაც ასეთ უსინდისო და ქურდ ცრუ მოფიცარს ამათრახებს. ფიცის, როგორც მტკიცებულების შინაგანი ძალა, იმაში მდგომარეობდა, რომ ფიცის ფორმულაში მოცემული იყო თვითწყველის კლაუზულა და რელიგიური ადამიანი და სინდისიანი პიროვნება თუ გადაცდებოდა და ტყუილად დაიფიცებოდა, ის დაისჯებოდა იმ სასჯელით, რაც ფიცის ტექსტში იყო გათვალისწინებული.

ქურდობა ვისაც ბრალდებოდა, თავი უნდა ემართლებინა თემისა და საზოგადოების წინაშე. საჭირო იყო თანამოფიცარი, რომელიც ქურდობაში ეჭვმიტანილს გვერდით ამოუდგებოდა და მასთან ერთად დაიფიცებდა, რომ ეჭვმიტანილი პატიოსანია, არაა დამნაშავე. თუ ასეთი ეჭვმიტანილი პირი სინამდვილეში დამნაშავე იყო და თანამოფიცარს იშოვნოდა, ეს, რა თქმა უნდა, მისთვის სასჯელისაგან თავის დაღწევის საშუალება იქნებოდა. ასეთი რამ იშვიათობა იყო. ვისაც ხალხში პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა და ამ სახელს უფრთხილდებოდა, ის თავს აარიდებდა საეჭვო რეპუტაციის პიროვნების ფიცით გამართლებას. ამიტო-



ღირსაუფს

ღირსაუფლი

ჯილდო

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და-
თავრებისთანავე ბატონი შოთა ფაფიაშვილი სამუშაოდ მიიწვიეს სისხლის სამართლის კათედ-
რაზე. ეს იყო 1959 წელს და აგერ უკვე ორმოცი წელია მშობლიური უნივერსიტეტისათვის არა-
სოდეს უღალატია — დღემდე წარმატებით საქმიანობს ქართული იურიდიული მეცნიერების გან-
ვითარებისა და ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. მაშინაც კი, როცა იგი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად აირჩიეს, პარალელურად კვლავ აგრძელებდა
ლექციების კითხვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1987 წელს მიენიჭა იური-
დიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ორიოდ წლის შემდეგ — პრო-
ფესორის სამეცნიერო წოდება.

პროფესორი შოთა ფაფიაშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის
დეკანის მოადგილედ, კრიმინალისტიკის ლაბორატორიის გამგედ, საპროკურორო ზედამხედვე-
ლობისა და მართლმსაჯულების კათედრის პროფესორად, პარალელურად ერთხანს საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის უფროსის მოადგილედ სამეცნიერო მუშაო-
ბის დარგში, 1991 წელს საქართველოს კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და-
ნიშნეს და ამ თანამდებობაზე დაჰყო კომიტეტის გაუქმებამდე. ამჟამად ბატონი შოთა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის
პროფესორია. იგი აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სა-
მეცნიერო საბჭოს წევრია. ჰყავს მრავალი ასპირანტი და ხარისხის მაძიებელი.

პროფესორ შოთა ფაფიაშვილს გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი,
რომელთაგან ათზე მეტი დამხმარე სახელმძღვანელო და მონოგრაფიაა. იგი არჩეულია ორი —
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ქართული ფენომენის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მთელ სამეცნიერო-პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანო-
ბას წითელ ზოლად გასდევს მისი დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომის კვალი.

ბატონი შოთას შესანიშნავი ქართული ოჯახი, შეიძლება ითქვას, სისხლხორცეულად არის და-
კავშირებული ჩვენს სათაყვანებელ უნივერსიტეტთან — მეუღლე ეკონომიკური თეორიის კათე-
დრის უფროსი მასწავლებელია. უფროსი ქალიშვილი მამის კვალს გაჰყვა — იურიდიულ მეცნი-
ერებათა კანდიდატია, მუშაობს დოცენტად და პარალელურად საქართველოს პარლამენტის სა-
კონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწედ,
ხოლო უმცროსი ქალიშვილი ბიოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის ასპირანტია და მუშაობს
იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ექსპერტად.

პროფესორ შოთა ფაფიაშვილს ღირსეულად დაუფასდა ამაგი — საქართველოს პრეზიდენ-
ტის ედუარდ შევარდნაძის 1998 წლის 9 ნოემბრის განკარგულებით მაღალკვალიფიციური კად-
რების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.


* * *

**საქართველოს იურისტთა კავშირი და ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია გულ-
წრფელად ულოცავს პროფესორებს რევაზ ზოლოზვილსა და შოთა ფაფიაშვილს
ამ მაღალ ჯილდოს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს პირად ცხოვრებაში
და სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზში.**

ხსოვნა

ბენო

ხომერიკი



მიმდინარე წლის 26 იანვარს 90 წელი შეუსრულდებოდა ბენო ხომერიკს — საქართველოს პროფესიული ადვოკატურის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, სანიმუშო მოქალაქესა და მამულიშვილს.

ბენო ხომერიკი იგონებდა: „ჩემ კიდევ ადვოკატობის დაწყებამდე უკვე მქონდა ჩამოყალიბებული საკუთარი რწმენა მომავალი პროფესიისადმი. მიუტევებელი შეცდომაა, წინასწარ უარყოფითად განეწყო დამნაშავე პიროვნების მიმართ. როგორც ბუნებაში არ არის აბსოლუტურად უარყოფითი მოვლენა, ასევე არ არსებობს ისეთი წყალწალღებული დ მნაშავე, რომლის ხელახლა აღზრდა და გამოსწორება არ შეიძლებოდეს. საჭიროა მასში ჯანსაღი საწყისის მოძებნა და მისი სწორად განვითარება. დამნაშავეს ბოროტი ზრახვების გარდა აქვს რაღაც სხვა — მისწრაფება, მოწოდებაც კი, მას უყვარს ვიღაც, სურს რომ უთანაგრძნონ, ირწმუნონ მისი, უწინარესად კი მოითხოვს, რომ მასაც ადამიანურად მოეპყრონ. ვინ მოსთვლის, ასეთი მიდგომით, რამდენი გზას აცდენილი პირი დაბრუნებია ოჯახს, ს.ზოგადოებას, რამდენი სამართალში მიცემული გაუმართლებია სასამართლოს“.

ბათუმის მე-2 შრომის სკოლის (ე. წ. ჯაყელის სკოლა) დამთავრების შემდეგ ბ. ხომერიკი 1927 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტად. 1931 წელს ამთავრებს იურიდიული ფაკულტეტის კურსს, რომელიც ამ დროისთვის ცალკე ფაკულტეტად გამოიყო, ეს ის წლები, როცა ხსენებულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდნენ ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგაჩიშვილი, შ. ნუცუბიძე, ე. ტატიშვილი და სხვანი. საკუთრივ იურისპრუდენციას კი იგი ეუფლებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩა მისთვის სათაყვანებელ იურისტად და მოქალაქედ.

1931 წლიდან ბენო ხომერიკი მუშაობას იწყებს სარეწაო კოოპერაციის საბჭოში იურისკონსულტად; 1933 წლიდან უფროსი იურისკონსულტია, ხოლო სულ მალე იურიდიული ბიუროს გამგე. ამ დროს განეკუთვნება მისი ერთი ინიციატივა, რომლითაც დაინტერესდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. შემონახულია წერილი, რომლითაც ბენო ხომერიკი თხოვნით მიმართავს დიდ მეცნიერს ისტორიული მიმოხილვის სახით დაეწერა შესავალი ნ. ბახტაძის წიგნისათვის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს შესახებ. აქედან დაედო სათავე დიდ საქმეს — მრავალტომეულის შექმნას, რომელშიც ასახულია ქართული ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ეს იყო ივ. ჯავახიშ-

ვილის დიდხნის ოცნება და სურვილი, რომლის განხორციელებას სჭირდებოდა სათანადო სახსრები, უწინარესად საჭირო თანხები მასშტაბური ექსპედიციებისათვის, რომლებიც შეკრებდნენ მასალებს მთელ საქართველოში. სარეწაო კოოპერაციამ შეძლო საჭირო თანხების მოძიება. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი ბ. ხომერიკი იგონებს: „1984 წელს სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და ჩემი ინიციატივით დაისვა საკითხი შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის შექმნის შესახებ. გადაწყდა, მოეპარაკება გაგვემართა პროფესორ ივ. ჯავახიშვილთან. მალე პრეზიდიუმის სხდომაზე მოვიწვიეთ ბატონი ივანე, მასთან შეთანხმებით შედგა ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა ისტორიის დაწერის მიზნით იტივრთა მომზადება იმ სახით და იმ გეგმით, როგორც ეს მას ჰქონდა ჩაფიქრებული. მასვე უნდა დაეწერა ვრცელი მონოგრაფია. ამასთან დაკავშირებით ბედნიერება მქონდა არაერთხელ შევხვედროდი ბატონ ივანეს, როგორც მის ბინაზე, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1985 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაიგზავნა რამდენიმე ექსპედიცია 25 მეცნიერი მუშაკისა და სპეციალისტის შემადგენლობით. ყველანი ვგრძნობდით, რომ ს ფუძველი ჩაეყარა დიდ, საშვილიშვილო საქმეს. პირადად მე, ბედნიერად ვგრძნობდი თავს იმით, რომ საშუალება მქონდა არაერთხელ შევხვედებოდი ბატონ ივანეს, რომლის დიდი თაყვანისმცემელიც გახლდით. ერთ თავის წერილში ბატონი ივანე გვწერდა, მოხარული ვარ, ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება ამისრულდაო. იმავე წერილში ბატონი ივანე გვპირდებოდა, რომ ამ საქმის წამომწყებთ და ინიციატორებს, მათ ღვაწლსა და დამსახურებას იგი მოიხსენიებდა „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის“ წინასიტყვაობაში“.

ამავე პერიოდს განეკუთვნება კიდევ ერთი საზოგადოებრივი წამოწყება. როგორც სპორტის დიდი მოყვარული და ფეხბურთის ქომაგი, ბ. ხომერიკი, სხვებთან ერთად იყო ინიციატორი საქართველოში სარეწაო კოოპერაციის ბაზაზე საზოგადოება „სპარტაკის“ ჩამოყალიბებისა, რომლის პირველი წესდებაც მისი დაწერილია.

1940 წლიდან ბენო ხომერიკი ადვოკატთა კოლეგიაშია. აქედან მოყოლებული 50 წელი ემსახურა ამ პროფესიას. ახალგაზრდა ბ. ხომერიკის მოხვლა ადვოკატურაში დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც მოღვაწეობდა მთელი პლეადა ბრწყინვალე პროფესიონალებისა: შალვა მესხიშვილი, დიმიტრი დიდუბულიძე, ანდრო გელოვანი, ბიძინა ბარათაშვილი, ნიკოლოზ გიგინეიშვილი, ალექსანდრე საგინაშვილი, ალექსი ჭიჭინაძე, გურამ უგრეხელიძე, მიხეილ ალხაიშვილი, ალექსანდრე ხოჭოლავა და სხვები. სულ მალე ბენო ხომერიკმა თავისი მოწოდებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, ცოდნითა და ღრმა კულტურით გამოჩეულთა შორის დამკვიდრა ადგილი და მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შენელებია იურისტის ღირსების გრძნობა. ეს იყო ნამდვილ ინტელიგენტთა კოჰორტა, რომლებმაც შეგნებულად აირჩიეს მოღვაწეობის ასპარეზი, მიაგნეს ისეთ საზოგადოებრივ ნიშს, რომელიც ეთანხმებოდა მათ არაკონფორმისტულ განწყობილებას ხელისუფლების მიმართ და აძლევდა მუშაობის საშუალებას.

საქართველოში არ განხილულა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე, რომლის განხილვაში მას, როგორც ადვოკატს, მონაწილეობა არ მიეღო. დიდი დამსახურება მიუძღვის ბენო ხომერიკს საქართველოს ადვოკატთა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში და დაოსტატებაში. მარტოოდენ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ადვოკატის პროფესიას ეზიარა ოცდაათ სტაჟიორამდე. 70-იან, 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვევით რეგულარულად კითხულობდა ლექციებს როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის. ამ ლექციებზე იგი აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს პრაქტიკული იურისპრუდენციის სფეროში. იყო კატეგორიული წინააღმდეგი სიკვდილით დასჯისა, მოუწოდებდა უდანაშაულობის პრეზუმფციის განუხრელად შესრულებისაკენ. ამანვილებდა ყურადღებას კანონის უკუძალით მოქმედების დაუშვებლობაზე, სისხლის სამართლის მრავალი მუხლის შეცვლის აუცილებლობაზე; მაგალითად, ბ. ხომერიკი წინააღმდეგი იყო დანაშაულში წამქეზებელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა იმ შემთხვევაში, თუ წაქეზებას დანაშაულის აღსრულება არ მოჰყოლია და სხვა. ბენო ხომერიკის ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ განსწავლულობას ერწყმოდა ორატორული ნიჭი, შინაგანი და გარეგნული მიმზიდველობა, ელეგანტურობა.

ადვოკატურაში მოღვაწეობას ბ. ხომერიკი უთავსებდა სხვა სასიკეთო საქმეებს. იყო იურიდიული მრჩეველი ბევრი გამოჩენილი პიროვნებისა. მთელი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული თედო სახოკიას ოჯახთან. ა. ბურთიკაშვილთან ერთად ეხმარებოდა შალვა დადიანს თეატრალური საზოგადოების საქმიანობაში და სხვა.

გარდაიცვალა 1990 წელს. როგორც ნეკროლოგში აღინიშნა: „ბენო ხომერიკი ღირსეულად დაამთავრებდა იურიდიული აზროვნების ქართველ ქურუმთა პანთეონს“. კეთილი იყოს მისი ხსოვნა.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.



15

24-99

n 3342 /
R.

99-77



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ

F-244

1999